ლიგა

ეროვნული მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 სექტემბერი ოთხშაბათი 2011

№222 (13519) ფასი 80 თეთრი

ხიზანებს გოლი, ქარხელიძეს გაიმგოლი

ბოთას გუნდმა ახალ სეზონში პირველი მატჩი მოიგო 4

მოიგო ინტერმა? NO ვარ!

მილანი პირველი გამარჯვების მოლოდინშია 5

ბარსა: ღამე ღამურებთან 7

მოსალოდნელი დაბრუნება 12

ბოთა ხაბარელი კვლავ პირველია

სალუქვაძის სუპერვერცხლი 11

გაგამარუს ცხრიანი 9

ესპანელები ქართულ კლასიკოში

2003 წლის შემდეგ... 2

ბესიკ ფანგანავაძე მასტერტონიდან

lariwin.com
the better way to play

მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“



როგორია? ! კობი და ბოლონია 14

რუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

დიქსონი: ზელანდიელებმა, ქართველების მსგავსად, სტუმრის ფასი იხიან 8

ქართული ფეხბურთი

● დავა

ვიტ ჯორჯია VS ველაჯიო
გარკვეული გაურკვევლობა

...

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ გარკვეული პერიოდის განმავლობაში „ავაზას“ სტადიონზე ვარჯიშობდა. გარდა ძირითადი შემადგენლობისა, ამ მოედნით კლუბის დუბლშემადგენლობაც სარგებლობდა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, „ვიტ ჯორჯიას“ სტადიონის ქირა დაუგროვდა გადასახდელი.

მოედანს სარეკლამო კომპანია „ველაჯიო“ პატრონობდა, რომელიც კომპანია „ვისოლის“ ბიზნესჯგუფში შედის, შესაბამისად, პრეტენზიები სწორედ „ველაჯიოს“ ჰქონდა „ვეტერინართა“ მიმართ.

„ლელოს“ ინფორმაციით, „ველაჯიომ“ კლუბის წინააღმდეგ სარჩელიც შეიტანა სასამართლოში, ზუსტად რა თანხაზეა საუბარი, ამის გასარკვევად „ლელო“ კომპანიის ხელმძღვანელს - **ლევან კალმახელიძეს** დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს საგაზეთო პუბლიკაციის თემა არ იყო, მაგრამ მცირე ინფორმაციის მოპოვება მაინც შევძელით.

როგორც კალმახელიძე ამბობს, მისთვის უცნობია, სასამართლოთი ირკვეოდა თუ არა გუნდსა და კომპანიას შორის საქმე, მაგრამ შეთანხმება უკვე შედგა.

- თქვენ ვინ მოგაწოდათ ამის შესახებ ინფორმაცია? არ მგონია, საჯარო განხილვად ღირდეს. რაღაცა ნაწილი გადაიხადა კლუბმა, „ავაზაზე“ დიდხანს ვარჯიშობდნენ და კიდევ დარჩათ გადასახდელი.

- რა თანხაზეა საუბარი?

- არ ვიცი, ვერ გეტყვით. ეგ საქმე უკვე დაიხურა და კლუბისგან მიიღეთ ინფორმაცია“.

„ლელო“ „ვიტ ჯორჯიასაც“ დაუკავშირდა, კლუბის მედიაოფიცერმა **დავით თავართქილაძემ** განაცხადა, რომ ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ აქვს და ფინანსური დირექტორისთვის უნდა მიგვემართა.

„ვეტერინართა“ ფინანსურმა დირექტორმა **დავით სამუშიამ** განაცხადა, რომ ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდა ამასთან დაკავშირებით, მაგრამ სტადიონის ქირის დიდი ნაწილი უკვე გადახდილი იყო, ამ საქმეს კი გუნდის ამჟამინდელი თავკაცი ზურაბ ბერიძე უძღვებოდა:

„ერთ ვარჯიშში 200 ლარს, ან ცოტა ნაკლებს ვიხდიდით, როგორც იცით, ჩვენი დუბლშემადგენლობაც მანდ ვარჯიშობდა, ამიტომ სადღაც ერთი თვის იქნება გადასახდელი ალბათ, ზუსტად არც ვიცი. თუმცა, კლუბსა და „ველაჯიოს“ შორის უკვე მოგვარდა ეს საკითხი. ზურას დაუკავშირდით მაინც“.

კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ზურაბ ბერიძემ** კი საერთოდ უარყო, რომ „ვიტ ჯორჯიას“ რაიმე თანხა აქვს გადასახდელი სარეკლამო კომპანიის მიმართ:

„გეუბნებით და ვაცხადებ, რომ „ვიტ ჯორჯიას“ არავისთან არაფერი აქვს გადასახდელი და არც ვალი გვაქვს ვინმესი“.

საინტერესოა, სარეკლამო კომპანიაში ამტკიცებენ, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მათდამი კიდევ აქვს დავალიანება დარჩენილი, კლუბში კი ამას უარყოფენ“. კიდევ უფრო საიტერესო კი ის არის, რომ ამ ამბის დამალვას, ორივე მხარე საგულდაგულოდ ცდილობდა.

მაგდა კლდიაშვილი

● U17

ელიბრაუნდისთვის ბრძოლა დღეიდან იწყება

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების სამზადისის შესახებ სისტემატურად გიამბობდით, გუშინ კი ჩვენი გუნდის ფეხბურთელები წარმოგიდგინეთ. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე დღეს ჩაერთვება. მატჩები მოლდოვაში ჩატარდება. გთავაზობთ ჩვენი, რიგით მე-8 ჯგუფის შეხვედრათა განრიგს.

21 სექტემბერი

13:00 ტირასპოლი
საქართველო-გულგარეთი
17:00 ვალულ ლუი ვოდა
შვედეთი-მოლდოვა

23 სექტემბერი

13:00 ორჰეი
გულგარეთი-შვედეთი
17:00 ვალულ ლუი ვოდა
საქართველო-მოლდოვა

26 სექტემბერი

17:00 ორჰეი
შვედეთი-საქართველო
17:00 ვალულ ლუი ვოდა
მოლდოვა-გულგარეთი

ლევან ჯანეზაშვილი

პირველი ლიგა, V ზური

ბ ზონა

ადელი-სძური	0:1
სამგურალი-აეტი	2:0
გურია-ზოოვეტი	3:0
ჩიხურა-იმერეთი	3:0
ნ. დინამოელი-სულორი	5:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა	5	5	0	0	13-1	15
2. გურია	5	3	2	0	13-3	11
3. ნ.დინამოელი	5	3	1	1	10-3	10
4. ზოოვეტი	5	3	0	2	7-9	9
5. სძური	5	2	1	2	4-6	7
6. სამგურალი	5	1	3	1	4-4	6
7. ადელი	5	1	1	3	6-6	4
8. იმერეთი	5	1	1	3	3-7	4
9. აეტი	5	1	0	4	2-7	3
10. სულორი	5	0	1	4	0-16	1

ა ზონა, 20 სექტემბერი

სამტრედია-ბათუმი	0:1
მეშახტე-მესხეთი	0:0
კოლხეთი (ხ)-ჩხერიმელა	1:2
ჭიათურა-მერცხალი	გადაიდო
ლოკომოტივი-სტუ	გადაიდო

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბათუმი	5	4	0	1	7-4	12
2. სტუ	4	2	2	0	11-7	8
3. მერცხალი	4	2	2	0	8-5	8
4. ჩხერიმელა	5	2	2	1	6-6	8
5. ჭიათურა	4	2	1	1	3-3	7
6. მეშახტე	4	1	1	2	2-2	4
7. მესხეთი	4	1	1	2	2-3	4
8. კოლხეთი (ხ)	5	1	1	3	5-8	4
9. ლოკომოტივი	2	0	1	1	1-2	1
10. სამტრედია	5	0	1	4	2-7	1

საქართველოს ჩემპიონატი

ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები ბაბ	ბაშ	ქ
1	დინამო	5	4	1	0	11	4	13
2	ბაია	6	4	0	2	10	4	12
3	ზესტაფონი	5	3	2	0	10	6	11
4	მეტალურგი	6	3	2	1	6	2	11
5	გაგრა	6	3	1	2	9	6	10
6	მერანი	6	2	2	2	6	8	8
7	ვიტ ჯორჯია	6	2	2	2	6	8	8
8	ტორპედო	5	2	0	3	4	5	6
9	კოლხეთი	6	1	2	3	3	8	5
10	დილა	5	1	1	3	7	9	4
11	სპარტაკი	6	0	3	3	2	6	3
12	სიონი	6	0	2	4	3	11	2

ტორპედო-დინამო
bwin: 4.00 3.20 1.83
Live რეპორტაჟი პირველ არხზე
21.09. ქრისტეფორეს ბაღი ტორპედო

ზესტაფონი-დილა
bwin: 1.30 4.25 9.50
21.09. ზესტაფონი. დ. აბაშიძე **18:30**

დღეს ცხრილი დალაგდება

დღევანდელი ორი მატჩით უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს ერთნაირი რაოდენობის მატჩები დაუგროვდებათ და საქართველოს თასის მერვედფინალების ხვალინდელი კენჭისყრის წინ სატურნირო ცხრილიც საბოლოოდ დალაგდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს თასის გათამაშების რეგლამენტის მიხედვით, მერვედფინალების კენჭისყრის დროს გუნდები ორ კალათაში გადანაწილდებიან. პირველ კალათაში განთავსდებიან 2011/12 წლების ჩემპიონატში თასის კენჭისყრის მომენტისათვის პირველ-მერვე ადგილზე მყოფი გუნდები, ხოლო მეორე კალათაში — დანარჩენი გუნდები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ მატჩებს დამატებითი დატვირთვაც ექნება: ვთქვათ, „ტორპედომ“ წააგო, ხოლო „დილამ“ გაიმარჯვა, მაშინ განთესილთა შორის გორელები აღმოჩნდებიან. თუმცა, ეს უფრო ვარაუდია და ჯობს, დღევანდელ მატჩებზე ვისაუბროთ, რომლებიც კალენდრის თანახმად III ტურში, 21 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო. თუმცა, შეგახსენებთ, რომ იმ დროისათვის „დინამოც“ და „ზესტაფონიც“ ევროტურნირებზე უმნიშვნელოვანეს შეხვედრებს ატარებდნენ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, „ტორპედო“-„დინამოსა“ და „ზესტაფონი“-„დილას“ მატჩები გადაიდო. და აი, ამ ორი საინტერესო შეხვედრის ჩატარების დღეც დადგა — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ტორპედო“-„დინამოს“ ურთიერთდაპირისპირებას უკვე კარგა ხანია „ქართული კლასიკოთი“ „ვნათლავთ“...

ესპანელები ქართულ კლასიკოში

ახალი სეზონის „ქართულ კლასიკოს“ დღევანდელი მეტოქეეს აშკარად განსხვავებული განწყობით ხვდებიან: „ტორპედოში“ სერიოზული საკადრო ცვლილება მოხდა და უპრინციპულეს მეტოქესთან მატჩში (ისე როგორც თვის ბოლომდე დარჩენილ კიდევ ორ ოფიციალურ შეხვედრაში) გუნდს ადგილობრივი სპეციალისტები, 39 წლის **გიორგი სუხიაშვილი** და 33 წლის **კახა ჩხეტიანი** უხელმძღვანელებენ. შეგახსენებთ, რომ ეს „დუეტი“ სექტემბრის ბოლომდე დამოძღვრავენ „ტორპედოს“, რის შემდეგაც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ კლუბს **გია გეგუჩაძე** ჩაიბარებს. ბოლო წლების ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპეციალისტი უმუშევარი საბედნიეროდ დიდხანს არ დარჩენილა და „ზესტაფონიდან“ წამოსვლის შემდეგ კიდევ ერთ იმერულ და ბევრად უფრო ტიტულიან გუნდში იმუშავებს. თუმცა მანამდე „ტორპედოს“ ხომ სატურნირო მდგომარეობა აქვს გამოსასწორებელი: კლუბის ამბიციურ ხელმძღვანელობასა თუ გუნდის მომთხოვნზე მომთხოვნი (ხანდახან, ალბათ, ზომაზე მეტადაც) გულშემატკივარს ნამდვილად არ დააკმაყოფილებთ მერვე ადგილზე ყოფნა! მოკლედ, „ტორპედოს“ დროებით თავკაცებს გუნდის გაძღოლა ერთობ არასახარბიელო პერიოდში უწევთ, მით უფრო, როცა მეტოქედ თბილისის „დინამოა“...

დავით გამეზარდაშვილი

...საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში თბილისის „დინამოს“ შემდეგ ყველაზე მეტი ტიტული ქუთაისის „ტორპედოს“ აქვს მოპოვებული. თუმცა, ამ ორი წარმატებული გუნდის ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში უპირატესობა დინამოელთა მხარეს არის. ეგ კი არა, თავის პრინციპულ მეტოქესთან „ტორპედოს“ საშინაო მატჩი... რვა წელია არ მოუგია! 2003 წლის 14 მარტი იყო, უკრაინელი სპეციალისტის **ალექსანდრ შტელინის** დამოძღვრილმა „ტორპედომ“ ქუთაისში **ივო შუშაკის** „დინამოს“ რომ მოუგო (ის ერთადერთი გოლი **დავით გამეზარდაშვილმა** გაიტანა, გარკვეული პაუზის შემდეგ ამ ცოტა ხნის წინათ კვლავაც რომ დაუბრუნდა მშობლიურ გუნდს). აი, იმის შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ტორპედო“ ვერაფრით ახერხებდა ძველი და პრინციპული მეტოქის დამარცხებას საშინაო შეხვედრებში. სამაგიეროდ, ქუთაისელები ბევრად უფრო წარმატებით ასპარეზობდნენ „დინამოსთან“ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში და ბოლო რვა წლის განმავლობაში ოთხჯერ დაამარცხეს. აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სამი სეზონის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა მართლაც რომ დაობლებული იყო „ტორპედოს“ არყოფნით და საქართველოს სამგზის ჩემპიონი გუნდი მხოლოდ შარშან დაბრუნდა უძლიერესთა რიგებში. ისე, რახან წინა სეზონი ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ოთხი დაპირისპირებიდან ორივე ქუთაისური მატჩი ფრედ (1:1, 0:0) დამთავრდა, III წრის შეხვედრაში თბილისში „დინამომ“ **დავით მუჯირის** შორეული დარტყმით გაიმარჯვა (1:0), IV წრის (და საერთოდ, ჩემპიონატის ბოლო ტურის) პაექრობაში კი „ტორპედომ“ შეძლო სტუმრად გამარჯვება (2:1). და ბოლოს, სამწვრთნელო „საკითხზეც“: **გიორგი სუხიაშვილი** „ტორპედოს“ სამწვრთნელო შტაბში წინა სეზონშიც მუშაობდა, მერე ამავე გუნდის დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელი იყო; ფეხბურთელობის დროს სუხიაშვილს სხვადასხვა ქართული გუნდის („სამგურალი“, „მარგვეთი“, „კოლხეთი-1913“, „ბორჯომი“) ღირსება დაუცავს, თუმცა კარიერის საუკეთესო წლები „ტორპედოში“ აქვს გატარებული. თანაც, უმაღლეს ლიგაში სამწვრთნელო ასპარეზზეც აქვს გამოცდილება მიღებული — 2008-09 წლების სეზონში 15 ტურის განმავლობაში „ბორჯომის“ თავკაცი გახლდათ. აი, რაც შეეხება კახა ჩხეტიანს, მისთვის ეს სეზონი სადებიუტოა მწვრთნელის რანგში: ქუთაისის „ტორპედოს“, „ზესტაფონის“, უნგრული „დებრეცენის“, უკრაინული „ტავრიას“ და აზერბაიჯანული „სიმურგის“ მარცხენაფლანგელმა აქტიური კარიერა წინა სეზონში, ზუგდიდის „ბაიაში“ დაამთავრა.

...ზემოთ, დღევანდელ მეტოქეთა სხვადასხვა განწყობა ვახსენეთ და „დინამოზე“ აღარაფერი გვითქვამს; არადა, **ალექს გარსიას** გუნდი ქუთაისში ერთპიროვნული ლიდერის რანგში და, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით ჩადის. თანაც, ამ სეზონში „დინამო“ სტუმრად მართლაც ჩინებულად ასპარეზობს: სამივე მატჩი მოიგო! ვნახოთ, როგორი იქნება „დინამოს“ ესპანელი თავკაცისათვის და მისი თანამემამულე ფეხბურთელებისათვის (**ჩისკო, ალვარო, კოტო, იაგუე**) პირველი „ქართული კლასიკო“...

შესაშური სტატისტიკა

ჩემპიონატის მეორე ფავორიტი თავის საშინაო შეხვედრას ნახევარი საათით გვიან დაიწყებს და „ზესტაფონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელები თუ გულშემატკივრები დღევანდელ საღამოს... „ტორპედოს“ ქომაგებიც გახდებიან — ქუთაისურ მატჩში მასპინძლებმა „დინამოს“ ქულები რომ დააკარგვინოს, ექვსი ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში ახალგაზრდა სპეციალისტის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი მოექცევა. ოღონდ, ამისათვის „ზესტაფონსაც“ აუცილებლად გამარჯვება სჭირდება და ნურავინ იტყვის, რომ მოქმედ ჩემპიონს დღეს იოლი მატჩი ელოდებაო: ახალი სეზონის სტარტზე გორის „დილა“ მართლაც საინტერესო ფეხბურთს უჩვენებს; რაც მთავარია, ახალგაზრდა სპეციალისტის, **გია ცეცაძის** შეგირდები აქცენტს შემტევ ფეხბურთზე აკეთებენ და არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ „დილამ“ ოთხივე ქულა სტუმრად ჩატარებულ მატჩებში მოიპოვა. თუმცა, „დილას“ დღეს ბევრად უფრო ძლიერი მეტოქე ჰყავს, ვიდრე წინა ტურებში — „ზესტაფონმა“ ზედიზედ ორი მოგებით მესამე ადგილზე გადაინაცვლა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხრილის სათავეში მოქცევის შანსიც გაუჩნდა. მით უფრო, რომ მასპინძლებს თავის დღევანდელ მეტოქესთან მართლაც რომ შთამბეჭდავზე შთამბეჭდავი ბალანსი გააჩნიათ: „ზესტაფონი“ უმაღლეს ლიგაში ათჯერ შეხვედრია გორის „დილას“ და ყველა მატჩიც მოუგია! აღარაფერს ვამბობთ არანაკლებ შთამბეჭდავ ბურთების სხვაობაზეც: 26-3!

გია ტუხაშვილი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: **ოსუბიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კობა ჟორჟიკაშვილი | VI ტურის ნომინანტი მწვრთნელები | ზურაბ ბერიძე

რუსთავული ამბები:

მოხსნილი სტრესი და ახალი მოედანი

ზედიზედ ორი მატჩია, რუსთავის „მეტალურგმა“ თამაში გამოაკეთა და მეტოქეებს ერთნაირი ანგარიშით (2:0) ამარცხებს ÷ V ტურში კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილებმა „მცხეთა პარკზე“ “ვიტ ჯორჯია” გააწბილეს, VI ტურში კი რუსთავში - ქუთაისის “ტორპედო”.

ორივე შეხვედრაში „დუბლი“ შეასრულა 27 წლის დიმიტრი ტატანაშვილმა. “ლელო” რუსთაველთა მთავარ მწვრთნელსა და ბომბარდირს ესაუბრა. ამავე დროს, სტადიონთან დაკავშირებულ სიახლეზეც მოგახსენებთ.



კობა ჟორჟიკაშვილი:

გუნდი ღვინოსავითაა, დრო სჭირდება

კობა ჟორჟიკაშვილმა რუსთავული კლუბი აგვისტოს ბოლოს ჩაიბარა. თავიდან გუნდმა სენსაციური ქულები დაკარგა, სახლში ფოთის “კოლხეთთან” დამარცხდა, მაგრამ ახლა “მეტალურგმა” თამაში გამოასწორა და მეოთხე ადგილზე დაწინაურდა, დაკარგული ქულებით კი მესამეზეა.

- სანაკრებო პაუზა “მეტალურგს” დადებითად წაადგა. ამ მოკლე პერიოდში ასეთი რა შეცვალეთ?

- ეს ორკვირიანი პაუზა არც ისე პატარა პერიოდი იყო და ეს პაუზა ძალიან დაგვეხმარა. გუნდი ორჯერად ვარჯიშებზე გადავიყვანეთ, ფაქტობრივად, შეკრება მოვაწყვეთ და მოთამაშეთა ფუნქციონალური და ტექნიკა-ტაქტიკური მომზადების გაუმჯობესებაზე ვიმუშავეთ. ამას გარდა, შეტევისა და დაცვის ფაზებშიც შევიტანეთ კორექტივები.

რაც მთავარია, ბიჭებმა გაიგეს, რას ვითხოვთ და ჩანაფიქრი როგორ შევასრულოთ. თუმცა მაინც ნაადრევია იმის თქმა, რომ გუნდი ჩემს ყაიდაზე ავათამაშე. მოკლე პერიოდში ეს შეუძლებელიც იყო. შემდეგ ტურში “ზესტაფონთან” უმძიმესი შეხვედრა გველის და ის მატჩი ბევრს გამოაჩენს.

თითქმის ყველა მოთამაშეს ვიცნობდი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შესწავლილი მყავდა. გუნდის და მოთამაშეთა ახლოს გაცნობას, მათი პოტენციალის ზუსტად გამოყენებას დრო სჭირდება. გუნდი უცებ ვერ აშენდება.

სხვათა შორის, კარგი პრეცედენტი იყო, გია გეგუჩაძეს “ტორპედომ” ხუთწლიანი კონტრაქტი რომ გაუფორმა. ეს ნიშნავს, რომ ქუთაისში გუნდის მშენებლობა დაიწყო და იციან, რა უნდათ.

- საამისოდ კარგი მაგალითია “მანჩესტერი”, ფანები ალექს ფერგიუსონის დანიშვნიდან სამ წელში მის გაშვებას ითხოვდნენ, მაგრამ აცალეს და გუნდი ჩამოაყალიბა.

- საერთოდ, გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და ღვინოსავით დრო სჭირდება, კარგიდან საუკეთესო რომ გახდეს. ჩვენ სეზონის მსვლელობისას მოგვიხდა გადაწყობა, შემადგენლობის შეცვლა, “ტორპედოდან” დავიმატეთ გიორგი სეთურიძე, რომელმაც პრობლემური პოზიცია ამოავსო, კარგად ათამაშდა დიმიტრი ტატანაშვილი, მალე ირაკლი მოდებაძეც დაგვიბრუნდება და იმედია, უფრო მოვლონიერდებით.

თუმცა, მთავარი მაინც გუნდში არსებული ატმოსფეროა. “მეტალურგის” მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე პროფესიონალია და გუნდის მისვლისას, უპირველესად, ჯანსაღი მორალური და სტაბილური ფინანსური გარემოს ჩამოყალიბება სურდა. გვითხრა, ეს არ უნდა იყოს ერთწლიანი გუნდი, მშვიდი, სამუშაო ატმოსფერო გვჭირდებაო და ასეც არის – “მეტალურგში” არ არის დაჯგუფებები, ერთიანი, შეკრული გუნდია, ბიჭებს ნევროზი და გაურკვევლობა არ ანუხებთ, რადგან ბუბამ და მეტალურგიულმა ქარხანამ სტაბილური დაფინანსება უზრუნველყვეს, რაც გუნდზე დადებითად აისახა.

ამას გარდა, ბიჭებთან ვიმუშავეთ, თავდაპირველი ნარუმატებლობები რომ დაევიწყებინათ და ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოსულიყვნენ. მიმაჩნია, რომ ბოლო მატჩებში ტატანაშვილის გამოვლენილი გოლეადორული თვისებები და მთლიანად გუნდის უკეთესი თამაში ამის შედეგიც იყო.

საერთოდ, ფეხბურთი მწვერვალის დალაშქვრას ჰგავს და დაბრკოლებებმა არ უნდა შეგვაშინოს, მას კი მხოლოდ ლაღი ადამიანები თამაშობენ.

- რუსთავში ფეხბურთი უყვართ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შემდეგ ხალხი გუნდს მაინც არ წყალობს. თქვენი აზრით, სტადიონის შევსება შესაძლებელია?

- ძალით ვერავის მოიყვან, გულშემატკივარს ის ფეხბურთი უნდა აჩვენო, რომელიც უყვარს და ახარებს. ლიდერების შეხვედრები მაყურებელს კიდევ იზიდავს, დანარჩენ მატჩებში კი ბოლომდე უნდა დაიხარჯო, ხალხმა შენსკენ რომ გამოიხედოს. შესაძლოა, წააგო, მაგრამ გულიანად უნდა იბრძოლო. ამასთან ერთად სანახაობრივ თამაშსაც თუ შესთავაზებ, ეს მაყურებელს უფრო მოიზიდავს.

ამიტომაც უნდა იცოდეს ფეხბურთელმა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხის დამოკიდებულებაა. აქ კიდევ ერთხელ მივუბრუნდები გუნდში არსებულ გარემოს – ფეხბურთი სიამოვნებაა და თუ გუნდში ჯანსაღი გარემო არ არის და თამაში თავად არ განიჭებს სიხარულს, მაყურებელსაც ვერ ასიამოვნებ. ეს ძალიან მარტივი ამბავია. ამ კუთხით ქართული კლუბები თუ იმუშავებენ, ხალხი აუცილებლად შემოტრიალდება.

მერაბ მამულაშვილი

ვერ ვიტყვით, რომ “ვიტ ჯორჯიას” ჩემპიონატის სტარტი წარმატებული გამოუვიდა, მაგრამ ამ სეზონისთვის ვეტერინარებს დიდი მიზნები არც აქვთ დასახული. ასეთი ახალგაზრდული გუნდით ტიტულებისთვის ბრძოლა წარმოუდგენელია, თუმცა “ვიტ ჯორჯიას” ახლაც შესწევს იმის ძალა, რომ საქართველოში ნებისმიერ მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს. ზუგდიდში გამარჯვებით ვიტელებმა სატურნირო მდგომარეობა შედარებით გამოისწორეს და მომავალს ოპტიმიზმით უყურებენ. კარგ განწყობაზეა გუნდის მთავარი მწვრთნელი ზურაბ ბერიძე, რომელიც დღეს “ლელოს” რესპონდენტია.

ეს თაობა ძალიან ბევრს მიაღწევს

- დაახლოებით ნახევარი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც “ვიტ ჯორჯიას” მთავარი მწვრთნელი ხართ. როგორ შეაფასებთ ამ პერიოდში გაწეულ სამუშაოს?

- ბუნებრივია, მთავარი მწვრთნელობა განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა, მაგრამ ახალ თანამდებობასთან ადაპტაციისთვის დიდი დრო ნამდვილად არ დამჭირვებია, რადგან “ვიტ ჯორჯიაში” არაერთი ნელინადი მაქვს გატარებული, მთავარი მწვრთნელი ადრეც ვყოფილვარ და კლუბის შიდა სამზარეულოს შესანიშნავად ვიცნობ. საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო გავწიეთ და გვაქვს იმის საფუძვლიანი იმედი, რომ ჩვენი შრომა ნაყოფს ახლო მომავალში გამოიღებს. ვისარგებლებ შემთხვევით და თანადგომისთვის დიდ მადლობას გადავუხდი ჩემს ასისტენტ რამაზ სვანაძეს, მეკარეთა მწვრთნელ ლევან აბაშიძეს, მთელ სამწვრთნელო, სამედიცინო და ტექნიკურ პერსონალს. მათ გარეშე “ვიტ ჯორჯია” ვერ იქნებოდა ის, რაც დღეს არის.

- მიმდინარე სეზონის სტარტზე ნაჩვენები შედეგები თქვენთვის რამდენად დამაკმაყოფილებელია?

- კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ, კარგი იქნებოდა, თუნდაც ორი ქულით მეტი გვქონოდა, მაგრამ საგანგაშო მდგომარეობაში ნამდვილად არ ვართ და გვაქვს იმედი, რომ უახლოეს პერიოდში სატურნირო მდგომარეობას კიდევ უფრო გავუმჯობესებთ.

- ამ სეზონისთვის კლუბს კონკრეტული მიზანი თუ აქვს დასახული?

- საკუთარ შესაძლებლობებს რეალურად ვაფასებთ. ვფიქრობ, “ვიტ ჯორჯიამ” ჩემპიონატის საუკეთესო ხუთეულში მოსახვედრად უნდა იბრძოლოს. ზედა რვა გუნდში შესვლის ძალა თავისუფლად შეგვწევს, მაგრამ ბიჭებს ასეთი მოკრძალებული ამოცანა რომ დავუსახოთ, ეს მათ ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფითად იმოქმედებს.

- განვლილი მატჩებიდან რომლებს გამოარჩევთ?

- ყველაზე კარგად გასახსენებელი ის შეხვედრებია, სადაც გამარჯვებას მიაღწიეთ. პირველ ტურში გორის “დილასთან” საშინაო მატჩში ჩემმა ფეხბურთელებმა საოცარი შეუპოვრობა გამოამჟღავნეს, ჩამორჩენა ორჯერ აღმოფხვრეს და გაიმარჯვეს კიდეც. უაღრესად მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ ზუგდიდში, სადაც, რეალურად, ფრესაც კარგ შედეგად მივიჩნევდით. არ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, თითქოს ეს მატჩი შემთხვევით მოვიგეთ. ყველაფერი კანონზომიერი იყო. აქცენტი სწრაფ გოლზე გავაკეთეთ და მიზანსაც მივაღწიეთ. პირველ ტაიმში შეტევას განვაგრძობდით, შეხვედრის მეორე ნახევარში კი სქემა ლოგიკურად შეეცვალეთ და თამაში კონტრშეტევებზე ავაგეთ. “ბაიამდე” სათასო შეხვედრა გვქონდა, სადაც პირველლიგელ სტუ-ს 6:0 ვძლიეთ. ამან ბიჭებს საკუთარი თავის რწმენა შეუმატა. მგონია, რომ შემობრუნების წერტილი სწორედ ეს მატჩი იქნება და მალე “ვიტ ჯორჯიას” პროგრესი თვალსაჩინო იქნება.

- ყველაზე მეტად გული რომელმა წარუმატებელმა შეხვედრამ დაგწყვიტათ?

- “დინამოსა” და “მეტალურგთან” ჩვენი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ და მარცხიც ლოგიკური იყო, “მერანსა” და “სიონთან” კი ქულები არ უნდა დაგვეკარგა.

- როგორია “ვიტ ჯორჯიას” ამჟამინდელი თაობა და რის მიღწევა შეუძლია მას?

- ობიექტურად გეუბნებით, რომ ძალიან პერსპექტიული ბიჭები არიან და ჩვენი გუნდის წინა თაობებს არათუ არაფრით ჩამოუვარდებიან, არამედ სჯობიან კიდეც. ეს თაობა ძალიან ბევრს მიაღწევს. თუ გუნდის ბირთვს შევინარჩუნებთ, მალე “ვიტ ჯორჯია” უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

- რომელიმე ფეხბურთელის პროგრესს ხომ არ გამოარჩევთ?

- გვარების დასახელებას მოვერიდები, რადგან გულშემატკივარი და მედიაც კარგად ხედავს, რომელი ფეხბურთელები გამოირჩევიან “ვიტ ჯორჯიაში”. თითოეული მოთამაშის კმაყოფილი ვარ, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად. მთავარია, რომ ყველა თავდადებით შრომობს, რასაც შედეგი აუცილებლად მოჰყვება.

- ახალწვეულებმა გაამართლეს თქვენი მოლოდინი?

- როგორც იცით, მათი უმრავლესობა ჯერჯერობით დუბლშემადგენლობაში თამაშობს და იქიდან ცდილობს მთავარ გუნდში დამკვიდრებას. მონდომება არც ერთს აკლია და ვნახოთ, როგორ განვითარდებიან. თითოეულ მათგანს გულდასმით ვაკვირდები და შრომა და მონდომება არავის დაეკარგება.

- კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან ნდობას ძველებურად გრძნობთ?

- აბსოლუტური ნდობა მაქვს, რისთვისაც ხელმძღვანელობას და განსაკუთრებით, ჩვენს პრეზიდენტს დიდ მადლობას ვუხდი. ამ ნდობის გასამართლებლად ძალისხმევას არ დავიშურებ.

- როგორ მოგწონთ მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის საერთო დონე და ელით თუ არა საინტერესო სეზონს?

- იმიხ მიუხედავად, რომ უმაღლესი ლიგის დაწყებიდან მხოლოდ რამდენიმე ტური გავიდა, აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უაღრესად დაძაბული ჩემპიონატი გვექნება. უმაღლეს ლიგაში ერთი ხელწამოსაკრავი გუნდიც აღარ თამაშობს, მაღალი მიზნებისთვის კი რამდენიმე უმაღლესლიგელი იბრძვის. ჩემპიონობის მთავარ კანდიდატებად “დინამო” და “ზესტაფონი” მიმაჩნია, ახალი მწვრთნელების მისვლა კი უთუოდ დადებითად იმოქმედებს “მეტალურგსა” და “ტორპედოზე”.

ლევან ჯანეზაშვილი

საფრის და სახელის შეცვლაზე ფიქრობენ

რუსთავის სტადიონზე 2010 წლის დასაწყისში ხელოვნურსაფრიანი მოედანი დააგეს. თავიდან უეფას კომისიამ მას კრიტიკული შეფასება მისცა, მაგრამ მერე პრობლემები გამოასწორეს და “ფოლადზე” ბურთის კარგად გაგორება შესაძლებელი გახდა.

თუმცა, რუსთავის “მეტალურგის” ახალი ხელმძღვანელობა ხალიჩის აღებას და ბუნებრივი ბალახის დაგებაზე ფიქრობს. ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ ზაფხულში გაჩნდა, როდესაც მეტალურგიულ ქარხანაში ახალი ხელმძღვანელების მისვლამ გუნდის მმართველობაშიც ცვლილებები გამოიწვია.

“მართლაც ასეა, “მეტალურგის” ხელმძღვანელები საფრის გამოცვლას და ხალიჩის ბუნებრივით შეცვლას აპირებენ. ხელოვნურ საფარს სათადარიგო მოედანზე გადაიტანენ, ცენტრალურზე კი მაღალი ხარისხის მოედანი დაიგება. როდის მოხდება ეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს საჭირო საქმე იქნება. ფეხბურთს ბალახზე თამაშობენ, ბუნებრივი საფარი კი ხელოვნურს ყველანაირად სჯობს - უფრო მეტია თამაშის ტემპიც და სილამაზეც, ხალიჩა კი ტრავმიანობისა და სხვა მრავალი პრობლემის მიზეზი ხდება”, – გვითხრა “მეტალურგის” მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა**.

“ბალახის დაგება მართლაც გვსურს, რადგან მინდორზე სულ სხვა ფეხბურთია და მოთამაშეებისთვისაც ბევრად უკეთესი იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამუშაოს უახლოეს პერიოდში დავიწყებთ. ეს როდის მოხდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ იდეაში გვაქვს” – ამბობს “მეტალურგის” მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძე**.

იმის გამო, რომ უეფა გრანტებს გამოყოფს, საქართველო ექსპერიმენტალურ პოლიგონად და ხელოვნურსაფრიანი მოედნების ცენტრად არ უნდა იქცეს. ფეხბურთი ბურთი და მოედანია და არა ბურთი და ხალიჩა. საქართველო კი ნორვეგიია არ გახლავთ, სადაც ხალიჩა იძულებითი აუცილებლობაა. ამიტომაც ვფიქრობთ, “მეტალურგის” თავკაცების ეს ჩანაფიქრი რაც უფრო ადრე განხორციელდება, მით უკეთესი გუნდისთვის და ქართული ფეხბურთისთვის; რადგან ნელს გამოჩნდა – ევროთასებზე რაც უფრო შორს წავიდნენ ქართული კლუბები, მით მეტმა ინფრასტრუქტურულმა პრობლემამ იჩინა თავი. ბოლოს კი უეფას ისტორიაში უნიკალური შემთხვევა მოხდა – მესამე ეტაპზე გასული ერთი ქვეყნის სამ კლუბს ერთ სტადიონზე (“ბორის პაიჭაძეზე”) მოუხდა თამაში.

ამ დროს რუსთავში ბალახის საფარი რომ ყოფილიყო, “მეტალურგს” საფრანგეთის “რენის” “ფოლადზე” მასპინძლობის მეტი შანსი ჰქონდა.

დაბოლოს: რუსთავული კლუბის მართველები სახელის შეცვლაზე ისევ ფიქრობენ, რადგან საბჭოურ სიმბოლიკასთან ასოცირებული “მეტალურგი” (კომუნისტური ქვეყნების გარდა, მსგავს არასაფეხბურთო სახელებს არსად იყენებდნენ) არ მოსწონთ.

“იდეაში სახელის შეცვლაზე ვფიქრობთ, ვიმსჯელეთ კიდეც, მაგრამ სეზონის მსვლელობის დროს სახელის გადარქმევა სასურველი არ არის და ჯერ ამ იდეაისგან თავი შევიკავეთ. თუმცა სახელი “მეტალურგი” უკეთესის სურვილს ნამდვილად ტოვებს”, – გვითხრა ტყავაძემ.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან

გოლი იღბალი და მონდომებაა

ჩეხეთისა და უკრაინის კლუბებში ნათამაშები საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი საქართველოში ზამთარში დაბრუნდა და "დინამოში" ჩაირიცხა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა, ზაფხულში გაუშვეს და სეზონი დაწყებული იყო, რუსთავის "მეტალურგში" რომ მივიდა.

თავიდან "მეტალურგშიც" ვერ ბრწყინავდა, უფრულადაც კი გამოიყურებოდა, მაგრამ "ვიტ ჯორჯიასთან" და ქუთაისის „ტორპედოსთან" გატანილი ოთხი გოლით ბომბარდირთა დავაში ყველაფერი „არია'' – სულ რაღაც ორ ტურში რუსთაველთა 27 წლის თავდამსხმელი საუკეთესო მეგოლეებში გალიდერდა და იმედი გაჩნდა, რომ ტატანაშვილი "ამერიდან" ნაცნობი თავდამსხმელის "პარამეტრებს" მალე მიუახლოვდება.

- საქართველოში გიცნობენ და გაფასებდნენ, მაგრამ უკრაინიდან დაბრუნებული საკუთარ თავს არ ჰგავდი. ეტყობა, ახლა წარუმატებლობის პერიოდი დასძლიე.

- მეც ასე მგონია, მაგრამ საამისოდ გარკვეული დრო დამჭირდა. თბილისის "დინამოში" ტრავმის გამო ვერ ვითამაშე, ახლა კი უმაღლეს ლიგასთან ხელახალი ადაპტაცია გავიარე. ეტყობა, ეს საჭიროც იყო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თბილისის "დინამოში" პირველივე შეხვედრაში ცხინვალის "სპარტაკთან" კოჭის სახსარი დამიზიანდა და ფეხი ძალიან მტკიოდა.

- ვერ იმკურნალე?

- ექიმს არც ვეუბნებოდი.

- ტრავმას ბევრი მოთამაშე მალავს - ეს ხომ ისევ თქვენთვის არის ცუდი?

- გასაგებია, მაგრამ თამაშის ძალიან დიდი სურვილი მქონდა. თანაც ეს პრობლემა თავად უნდა გადამელახა, გაჩერებაც არ გამოდიოდა. საბედნიეროდ, ახლა კარგად ვარ, ფორმაშიც შევედი და ძალიან მიხარია, გატანა რომ გავიხსენე.

სანაკრებო პაუზამაც დროულად მომისწრო, კარგად მოვემზადე და ფიზიკურად მოვმჯობინდი, რაც ჩემი პრობლემა იყო. შეკრების გაუვლელად თამაში ძალიან მიჭირდა. ამ ორმა კვირამ კი მოსამზადებელ ეტაპზე გაცდენილი ამანაზღაურებინა.

- ორ ტურში ბომბარდირებშიც დაწინაურება ნიშნავს, რომ საქართველოში მეგოლეობა ადვილია?

- ადვილი არსად არის, ბომბარდირობაზე ლაპარაკი კი ჯერ ნაადრევია, მაგრამ ლიდერობა მსიამოვნებს. ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის, ბიჭები ხელს რომ არ მიწყობდნენ, მარტო ვერაფერს გავხდებოდი.

საერთოდ, ასეთ დროს ბევრს ნიშნავს გამხნევება, გვერდში დგომა. ფეხბურთელს კარიერაში კარგი პერიოდიც აქვს და წარუმატებლობისაც. ზოგჯერ არაფერი გამოგდის, ნერვიულობ, თამაში არ მიგდის და ისეთ მომენტს ვერ იყენებ, რომელსაც ვერაფრით ახსნი. და თუ გაიხსნები, შეიძლება შემთხვევით მოხვედრილი ბურთიც ბადეში აღმოჩნდეს – იღბალი ბევრს ნიშნავს.

მე კი ხელმძღვანელებისა და მწვრთნელის თანადგომა დავინახე და ამანაც გამხსნა, მაგრამ თავად თუ რა მოინდომე, არაფერი გამოგივა. საბედნიეროდ, ახლა საქმე კარგად ამეწყო და იმედია, ასეც გაგრძელდება.

საერთოდ, რაც არ უნდა გაგამხნევონ და გვერდში დაგიდგნენ, საკუთარ თავს ხელში თუ არ აიყვან და არ მოინდომებ, არაფერი გამოგივა, მონდომება კი ყოველთვის გიფასდება. მაგრამ ნდობას რომ ხედავ, ეს სხვა სტიმულია, ორმაგად ცდილობ პასუხისმგებლობა გაამართლო.

- შენი აზრით, წელს ბომბარდირობისთვის რამდენი გოლი იქნება საკმარისი?

- ჩემი აზრით, 20-იც საკმარისი იქნება. ვფიქრობ, რომ ამდენი მაინც უნდა გავიტანო, რადგან ყველა თავმოყვარე თავდამსხმელი ბომბარდირობისთვის იბრძვის. თუმცა ჩვენთან ძლიერი თავდამსხმელები თამაშობენ და ეს ძნელი ამოცანა იქნება.

- საქართველოში ყველა ლიდერ გუნდს იცნობ - მათ ფონზე "მეტალურგს" როგორ შეაფასებდი?

- ჩვენი მიზანი ჩემპიონობისთვის ბრძოლაა, რადგან კარგად დაკომპლექტებული და ამბიციური გუნდი გვყავს, ასეთივე არიან მწვრთნელი და ხელმძღვანელიც, რაც ბევრს ნიშნავს. ჩემი აზრით, "მეტალურგს" დიდი პოტენციალი აქვს.

მერაბ მამულაშვილი

ზესტაფონი

ახალი ტექნოლოგია იმერეთში



"ზესტაფონში" ტექნოლოგიური ინოვაციების დამკვიდრება მიმდინარეობს. რამდენიმე დღის წინ ქალაქს სპორტის სფეროში მოღვაწე საქვეყნოდ ცნობილი ფირმა "პოლარის" წარმომადგენელი **როლანდ შრიმპფი** ესტუმრა. გერმანელი სპეციალისტის ვიზიტი საქართველოს ჩემპიონთა სანვრთნელ პროცესში ულტრათანამედროვე სისტემა Polar Team 2-ის დანერგვასთან იყო დაკავშირებული.

ცნობისთვის, Polar Team 2-ის ტექნოლოგიას ფეხბურთის გარდა, აქტიურად იყენებენ ველოსპორტში, სათხილამურო სპორტში, მარათონსა და ტრიატლონში. ამ თანამედროვე სისტემით სარგებლობს ინგლისის პრემიერლიგის უკლებლივ ყველა კლუბი, გერმანიაში კი - მიუნხენის "ბაიერნი", ლევერკუზენის "ბაიერი", დორტმუნდის "ბორუსია", "ვოლფსბურგი", "მაინცი" და "ბოხუმი". ამ ულტრათანამედროვე ტექნოლოგიას იყენებენ გერმანიის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები. "პოლარის" პროდუქციას ინტენსიურად იყენებენ მსაჯებიც. როგორც როლანდ შრიმპფმა განაცხადა, "ზესტაფონი" პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველი კლუბი გახდა, რომელმაც ამ ტექნოლოგიის გამოყენება გადაწყვიტა.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერი

ხიზანიშვილმა ქაისერის მოაგებინა

"ქაისერისფორმა" გუშინ "გაზიანთეფსფორთან" გასვლითი მატჩი ცუდად დაიწყო და პირველი ტაიმი 0:1 დათმო. **შოთა არველაძის** გუნდს სუპერლიგის მესამე შეხვედრაში მესამე მარცხი ემუქრებოდა, მაგრამ მეორე ნახევარში "ქაისერიმ" სიტუაცია სათავისოდ შეატრიალა.

46-ე წუთზე პარაგვაელმა კრისტიან რივეროსმა ანგარიში გაათანაბრა, 69-ე წუთზე კი გამარჯვების გოლი **ზურაბ ხიზანიშვილმა** გაიტანა. ეს მისთვის პირველი თურქული გოლი იყო. ზურამ "ქაისერის" სამივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, გუშინ კი ყვითელი ბარათიც მიიღო.

"ქაისერი" თურქეთის 18-გუნდიანი ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში დღეისთვის მე-11 ადგილზეა.

ლევან ჯანეზაშვილი

ლომაია დაშავდა

გიორგი ლომაია აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ორი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, მოედანზე დაბრუნების შემდეგ კი კიდევ ერთი უსიამოვნება შეემთხვა – აზალ-თან შეხვედრის მიწურულს საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ ტრავმა მიიღო. ცნობისთვის, ის შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. მართალია, ლომაიამ ბაქოს "ინტერის" ვარჯიში გამოტოვა, მაგრამ პირველადი ინფორმაციით, მისი დაზიანება საგანგაშო არ არის და იგი მოედანს მალე დაუბრუნდება.

ლევან ჯანეზაშვილი



ლეგიონერი

იაშვილი ისევ დამარცხდა

კვლავ ცუდად მისდის საქმე **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუეს", რომელმაც გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მერვე ტურში "ზანკტ პაულის" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. იაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ ყვითელ ბარათს დასჯერდა.

იაშვილს კარგი პირადი სტატისტიკა აქვს – 3 გოლი მიმდინარე სეზონში, მისი გუნდის სატურნირო მდგომარეობა კი საგანგაშოა. "კარლსრუეს" რვა ტურის შემდეგ ექვსიოდე ქულა აქვს და 18-გუნდიან მეორე ბუნდესლიგაში მხოლოდ მე-15 ადგილზეა.

ლევან ჯანეზაშვილი

● სერია A. IV ტურის წინ

ალეგრი: დროა მოვიგოთ!

კონტე: რა დროს ეიფორიაა?!

ნოვარა-ინტერი 3:1

ნოვარა (4-3-1-2): უიკანი - დელაფიორე, ლისუცო, პაჩი, გემიტი - პორკარი, რადოვანოვიჩი (64. მარიანინი), რიჯონი - მაცარანი (68. ტესერი) - მორიმოტო, მეჯორინი (62. ჯორჯი).

ინტერი (3-4-3): ჟულიო სეზარი - ლუსიო, კივუ, რანოკია - ძანეტი, კამბიასო, სნეიდერი (67. სარატე), ნგატომო - მილიტო, ფორლანი (46. პაცინი), კასტანიოსი (46. ობი).

გოლები: 1:0 მეჯორინი (38), 2:0 რიჯონი (86-აენ), 2:1 კამბიასო (89), 3:1 რიჯონი (90)

გაფრთხილება: დელაფიორე - კივუ, პაცინი, ობი, ლუსიო

გაძევება: რანოკია (85)

კუთხური: 5-5; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 10-7 (8-2); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

მაყურებელი: 15 000

მილანის „ინტერის" კრიზისი ოფიციალურად გაფორმდა - ნუხელ იტალიური ფეხბურთის გრანდი დებიუტანტ „ნოვარას" ესტუმრა და 1:3 დამარცხდა. არ ვართ დარწმუნებული, რომ როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ **ჯანპიერო გასპერინი** კვლავ „ინტერის" მწვრთნელი იქნება. ყოველ შემთხვევაში 1 ქულა სამი თამაშიდან და შერცხვენა ჩემპიონთა ლიგაზე საკმარისი საფუძველია მას თავის 3-4-3 შლეგი ტაქტიკიანად კარზე მიუთითონ. „ნოვარას" შემადგენლობაში კი დუბლით **მარკო რიჯონი** გამოირჩა, სტუმრებს კი თამაშის მიწურულს **ანდრეა რანოკია** გაუძეევეს.

დღეს

მილანი-ულინეჯი 22.45

ტრავმა: ბოატენგი, რობინიო, გატუზო, იბრაჰიმოვიჩი, ამბროზინი, ფლამინი - ასამოა, კოდა, ფერონეტი, ფლორო ფლორესი, პასკუალე.

ჩეზენა-ლაციო 22.45

ტრავმა: რენელა, ანტონიოლი - რადუ, მაური, ბრავა.

კიევო-ნაპოლი 22.45

ტრავმა: აჩერბი, პელისიერი, ლუჩანო - ბრიტოსი, დონადელი.

ფიორენტინა-პარმა 22.45

დისკვალიფიკაცია: ჯოვინკო (პარმა).

ტრავმა: ლაძარი, კროლდრუპი, ვილარდინო - ბრანდაო.

ჯენოა-კატანია 22.45

ტრავმა: ბოვო, მერკელი, ედუარდო, მესტო - ლიამა, ალმირონი, ლეგროტალიე, ისკო.

იუვენტუსი-ბოლონია 22.45

ტრავმა: იაკვინტა - ხიმენესი, რაჯი, ლორია, ჩერუბინი, ტაიდერი, კრუზი.

ლეჩე-ატალანტა 22.45

ტრავმა: კაროციერი - ლუკინი, პეტინარი.

პალერმო-კალიარი 22.45

ტრავმა: დი მიკელე, ჩეტო, ალვარესი - ერიკსენი, ლეგამენტი, რიენტრო, ელ ქაბირი.

ხვალ:

რომა-სიენა 22.45:

ტრავმა: სისინიო, სტეკელენბურგი, ჟუანი - რეჯინალდო, ანჯელა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ნაპოლი	2	2	0	0	6-2	6
2. იუვენტუსი	2	2	0	0	5-1	6
3. უდინეზე	2	2	0	0	4-0	6
4. კალიარი	2	2	0	0	4-2	6
5. ნოვარა	3	1	1	1	6-5	4
6. ჯენოა	2	1	1	0	4-3	4
7. კატანია	2	1	1	0	1-0	4
8. პალერმო	2	1	0	1	4-4	3
9. ფიორენტინა	2	1	0	1	2-2	3
10. ლეჩე	2	1	0	1	2-2	3
11. პარმა	2	1	0	1	3-5	3
12. კიევო	2	0	1	1	3-4	1
13. ლაციო	2	0	1	1	3-4	1
14. რომა	2	0	1	1	1-2	1
15. სიენა	2	0	1	1	0-1	1
16. მილანი	2	0	1	1	3-5	1
17. ინტერი	3	0	1	2	4-7	1
18. ჩეზენა	2	0	0	2	1-4	0
19. ბოლონია	2	0	0	2	0-4	0
20. ატალანტა	2	1	1	0	3-2	-2

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მეოთხე ტურში გამოკვეთილ ცენტრალურ პაექრობას ვერ ვიხილავთ, მაგრამ იტალიური ფეხბურთის მოყვარულებისთვის თითოეული პაექრობა საინტერესო უნდა იყოს. ავიღოთ ნებისმიერი მატჩი, თუნდაც „ჩეზენა"-"ლაციო" - საინტერესოა, მოახდენს თუ არა რომაული გუნდი რეაბილიტაციას „ჯენოასთან" განცდილი მარცხის შემდეგ? - თუ, კიდევ ერთხელ წაიფორხილებს და დაგვარწმუნებს, რომ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა „ბიანკონერელესტესთვის" ჯერ კიდევ ადრეა. ან თუნდაც „კიევო"-"ნაპოლი", მატჩი, სადაც ნეაპოლელებმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ საჩემპიონო ამბიციები. აუცილებლად დაცხება სიცილიაში, სადაც „პალერმო" „კალიარის" მიიღებს - „ინტერთან" გამარჯვების შემდეგ, **მანჯას** შეგირდები „ატალანტასთან" დამარცხდნენ და შეეცდებიან, რომ საკუთარი გულშემატკივრების გულები კიდევ ერთხელ მოიგონ; მაგრამ, იოლად არც „კალიარი" აპირებს რაიმეს დათმობას, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, სარდინიელებმა პირველ ორ ტურში ექვსი ქულა აიღეს და რიგით მესამე, ოფიციალურად კი მეოთხე ტურს ამბიციამოძალებულები ხვდებიან... ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართება „სან სიროზე", „მილანი" „უდინეზეს" უმასპინძლებს და ამ მატჩის შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ...

„ნაპოლისთან" განცდილი მარცხის შემდეგ, **მასიმილიანო ალეგრის** კრიტიკის მოსმენა მოუხდა, რაც მისთვის არცთუ ხშირი ამბავია. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე სულ ხოტბასა და ქებაში აქვს გატარებული წლები „კალიარის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე, „მილანში" კი პირველივე წელს სკუდეტო მოიპოვა და ბუნებრივია, მასზე ძვირი არავის დასცდენია. და აი, სამხრეთში განცდილი მწარე მარცხი და კრიტიკა, რომელიც შესაძლოა აკლდა კიდეც „როსონერის" თავკაცს... კონკრეტულად რისთვის გააკრიტიკეს ალეგრი, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, რადგან იტალიურ მასმედიაში თითოელი შეხვედრის ყველა ეპიზოდი სულ დეტალებში ირჩევა და წვრილმანი შეცდომებიც კი კრიტიკის საბაბი ხდება, რისთვისაც ჩვენ დღეს ნამდვილად ვერ მოვიცლით. ამიტომ, პირდაპირ ალეგრის გადავცეთ სიტყვა, რომელიც „უდინეზეს" წინააღმდეგ შეგირდებს მაქსიმალური მობილიზებისკენ მოუწოდებს:

„ნეაპოლური მატჩი უნდა დავივიწყოთ და „უდინეზესთან" მოახლოებულ შეხვედრაზე გადავერთოთ. ფრიულელები შესანიშნავ ფორმაში არიან, რაც განვლილ ორ ტურში კარგად გამოჩნდა. ამიტომ, მაქსიმალური მობილიზება გვმართებს, რომ მიჯრით მეორე შეხვედრაში არ დავკარგოთ ქულები. ტრავმირებული ფეხბურთელების რიცხვი მცირდება და ეს ძალიან კარგია, მაგრამ ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჯერ კიდევ ვერ შეძლებს თამაშს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შვედი ჩემპიონთა ლიგის მომდევნო შეხვედრისთვის დაგვიბრუნდება. თუმცა, ლიგამდე მნიშვნელოვანი თამაშები გვაქვს ჩასატარებელი, მათ შორის უახლოესი „უდინეზესთან" - დროა მოვიგოთ".

სანამ **იბრაჰიმოვიჩი** დაბრუნდება, „მილანის" შემტევ ტანდემს **ანტონიო კასანო** და **ალეშანდრე პატო** ქმნიან. თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯეებთ, ასე იქნება „უდინეზესთან" შეხვედრაშიც და ვნახოთ, რას გამორჩებიან იტალიის და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელები.

დიდი სამზადისი აქვთ უდინელებსაც, რადგან პირველ ორ ტურში ექვსი ქულა აიღეს და სურთ, არც „მილანთან" გაიფუჭონ შესანიშნავი სტატისტიკა. სტუმართათვის ფრე მისაღები შედეგი იქნება, რასაც თვით **ანტონიო დი ნატალე** გულახდილად აღიარებს: *„როდესაც „მილანთან" თამაშობ და თანაც გასვლაზე, ძალების სრული მობილიზება გმართებს. მოედანზე საბრძოლველად, სამი ქულის მოსაპოვებლად გავალთ, მაგრამ თუ შეხვედრა ფრედ დასრულდა, „სან სიროს" ნამდვილად კმაყოფილნი დავტოვებთ. ამაში გასაკვირი არაფერია და იმედია, ჩვენი გულშემატკივრები არ მინყენენ. ისე კი, დარწმუნებული ვარ, რომ ტრიბუნებზე შეკრებილი ტიფოზები საინტერესო დაპირისპირებას იხილავენ".*

კონტემ არ უნდა მოვდუნდეთო

„უდინეზეს" მთავარი მწვრთნელი **ფრანჩესკო გვიდოლინი** თავის სტიქიაშია და აცხადებს, რომ მისი გუნდის მიზანი ელიტარულ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა: *„განვლილი ორი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩავატარეთ, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცაში უნდა ვიფრინოთ და ილუზიური მიზნები დავისახოთ. ჩვენი ამოცანა სერია A-ში ადგილის შენარჩუნებაა და თუ ყველაფერი გაცილებით უკეთ წავა, აი შემდეგ უკვე მოგვეცემა საშუალება, რომ მიზნებს გადავხედოთ. „მილანთან" ურთულესი მატჩი გველის, რადგან მოქმედი ჩემპიონი ორ შეხვედრაში ზედიზედ ქულებს იშვიათად კარგავს. ამიტომ, თავს ზემოთ უნდა ავხტეთ და მთელი 90 წუთის განმავლობაში თავდადებით გავისარჯოთ".*

ტურინის „იუვენტუსი" საკუთარ მოედანზე „ბოლონიას" მიიღებს და შეეცდება, რომ მიჯრით მესამე გამარჯვება მოიპოვოს. მიუხედავად იმისა, რომ წინა ტურში „ბიანკონერიმ" არც თუ დამაჯერებელი თამაში აჩვენა, ტურინში მაინც ეიფორიული განწყობა შეინიშნება - ხუმრობა საქმე ხომ არაა, „იუვე" ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ ლიდერთა შორის გაერია, თუნდაც ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ ორი ტურის შემდეგ; ასეთმა ატმოსფერომ **ანტონიო კონტე** შეაშფოთა და შეგირდების გასაგონად პრესისთვის კომენტარი მყისიერად გააკეთა:

„პირველ ორ ტურში გამარჯვება ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ. თუ მოვდუნდებით და ჩავთვლით, რომ ყველაფერი შეგვიძლია, აუცილებლად დავისჯებით. ამიტომ, „ბოლონიასთან" პაექრობას სრული მობილიზებით უნდა შევხვდეთ".

კონტე ტრადიციას არ უღალატებს და იტალიური ფეხბურთისთვის ერთობ უჩვეულო ტაქტიკას: 4-2-2-2-ს, იგივე 4-2-4-ს გამოიყენებს. შეტევის წინა ხაზზე სავარაუდოდ **ალესანდრო დელ პიეროს** და **მირკო ვუჩინიჩს** ვიხილავთ, ფლანგებიდან კი **სიმონე პეპე** და **მილოშ კრასიჩი** შეუტევენ. საყრდენ ნახევარმცველებად **ანდრეა პირლო** და **არტურო ვიდალი** გაირჯებიან, დაცვაში კი წესით შემდეგი ოთხეული უნდა ვიხილოთ: **ლიხტშტაინერი, ბარცალი, კიელინი, დე ჩელიე.**

„ბოლონიას" თავკაცი **პიერპაოლო ბიზოლი** ფრთხილ სტრატეგიას აირჩევს და შეგირდებს 3-5-1 ტაქტიკით განალაგებს - შეტევის წინა ხაზზე რა თქმა უნდა, **მარკო დი ვაიო** ითამაშებს, რომელიც მიმდინარე სეზონშიც გუნდის მთავარი იმედია. დი ვაიოს თქმით, თავს კიდევ უფრო უკეთ გრძნობს, ვიდრე თუნდაც ერთი წლის წინ და გოლებსაც უხვად გვპირდება. რაც შეეხება უშუალოდ „იუვენტუსთან" შეხვედრას, მარკოს დიდი იმედი აქვს, რომ ტურინელთა ახალ არენაზე სადებიუტო შეხვედრაშივე მოახერხებს თავის გამოჩენას. აქვე ვთქვათ, რომ ტურის უკანასკნელი შეხვედრა ხვალ გაიმართება, „ოლიმპიკოზე" ერთმანეთის პირისპირ სატურნირო ცხრილის მოულოდნელი მეზობლები: „რომა" და „სიენა" წარსდგებიან.

ლაშა წიკლაური

C ჰეპატიტი

თბილისის მერიის, ეროვნული სკრინინგ ცენტრის და კომპანია ჰოფმან ლა როშის ხელშეწყობით მიმდინარეობს სკრინინგის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული პაციენტების გამოვლენას სწრაფი ტესტის მეშვეობით.

გამოკვლევა უფასოა და ტარდება ეროვნულ სკრინინგ ცენტრში

მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 69, ტელ:2140093

ტესტის ჩატარება შეუძლია 20-55 წლის ასაკის ყველა მსურველს. C ჰეპატიტის გადაცემა ხდება ინფიცირებულ სისხლთან ან სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტის დროს.

ვირუსით ინფიცირების შეასაძლო გზებია:

- ინფიცირებული სისხლის ან მისი პროდუქტების გადასხმა;
- ცუდად გასტერილებული ინსტრუმენტების (რობორს სამედიცინო, ასევე არა სამედიცინო) გამოყენება, მათ შორის ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებისას;
- სამედიცინო ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტა;
- სტომატოლოგიური მანიპულაციები;
- საბაზანო აქსესუარების საზიარო გამოყენება;
- მრავალ შემთხვევაში გადაცემის გზა უცნობია;

დროულად ჩაიტარეთ გამოკვლევა და დაიცავით ღვიძლი მძიმე ვირუსული დაზიანებისაგან!

ეროვნული სკრინინგ ცენტრი

გამოკვლევის შედეგი კონფიდენციალურია.

Roche

უცხოური ფეხბურთი

● ლიგა 1. VII ტურის წინ



რემი გარდის გუნდი ჯერჯერობით ყველას აოცებს

ლიონელთა პასუხისმგებლობა

ბორდო-ლილი	1:1
დღეს	
აიაჩო-მონაკელიე	21:00
კანი-ლიონი	21:00
დიჟონი-ბრესტი	21:00
ლორიანი-ოსერი	21:00
მარსელი-ევიანი	21:00
ნანსი-ვალანსიენი	21:00
ჰსჟ-ნიცა	21:00
სოშო-რენი	21:00
სტ. ეტიენი-ტულუზი	21:00

"ლიონი" ახალი მწვრთნელის ეპოქასნელ-ნელა ეგუება. **კლოდ პიუელის** ხელმძღვანელობით სამწლიანი უტიტულო პერიოდის შემდეგ საფრანგეთის 7-გზის ჩემპიონები, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ არიან მზად, იბრძოლონ ოქროს მედლებისთვის. მათ ეს უკვე დაამტკიცეს "მარსელთან" შეხვედრაში, როცა მრისხანე მეტოქე მშრალად დაამარცხეს და ლამის 2-ნლიანი განშორების შემდეგ ცხრილის სათავეში გამაგრდნენ. პირველი ტაიმის უმაღლეს დონეზე ჩატარების შემდეგ სტუმარმა გუნდმა თამაშს მოუმატა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერს გამორჩა. *"არ ვაპირებ ვინმეს დაეუმალო, რომ ძალიან მიხარია პირველ ადგილზე გადასვლა. ვფიქრობ, ეს მომენტი ფეხბურთელებისთვისაც უმნიშვნელოვანესია,"* – განაცხადა "ლიონის" ახალბედა დამრიგებელმა. საფეხბურთო ექსპერტებისთვის გაოცებას იწვევს ამ გუნდის ასპარეზობა, რადგან სეზონის წინ გუნდმა რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი დაკარგა – **ჟერემი ტულალანი** (მალაგა), **მირალემ პიანიჩი** (რომა), **სესარ დელგადო** (მონტერეი, მექსიკა), **პაპე დიაკატე** (გრანადა), გასხვისებული ფეხბურთელების გარდა გუნდს რამდენიმე ლიდერი ტრავმირებული ჰყავს - **ლისანდრო ლოპესი, იოან გურკუფი, კრისი, ჯონ მენსა** და **ედერსონი**. მოკლედ, რემი გარდს შარშანდელი შემადგენლობა ლამის "ხელში შემოადნა", მაგრამ სეზონის დაწყებიდან მოყოლებული უკვე 9-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. *"წაუგებელი სერია მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ის საკუთარი ძალების რწმენას გვმატებს და სამომავლო პერსპექტივებს თვალწინ გვიშლის. მე ვთხოვე ფეხბურთელებს, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აეღოთ საკუთარ თავზე, ვიდრე ეს წინა სეზონებში ხდებოდა. პირველ ადგილზე ჩვენ გუნდი დავაყენეთ, შემდეგ კი თითოეულის პირადი ამბიციები"* – ამბობს გარდი.

"ნიცასთან" საშინაო დაპირისპირების წინ ოპტიმისტურად არის განწყობილი "პარი სენ-ჟერმენის" თავდამსხმელი **კევინ გამეირო**. თუმცა ის აცნობიერებს, რომ ფეხბურთელებს უფრო მეტი გუნდური მუშაობა მართებთ. პარიზელები "ევიანთან" შეხვედრაში ახლოს იყვნენ სეზონში მეორე მარცხთან, მაგრამ ჯერ **ხავიერ პასტორეს** ბრწყინვალე ინდივიდუალურმა ოსტატობამ, როცა ადგილზე სამი ფეხბურთელი მოატყუა და გოლი ისე გაიტანა, შემდეგ კი სტუმართა მეკარის აშკარა შეცდომამ, მათ ქულის მოპოვების საშუალება მისცა. *"რა თქმა უნდა, ჯობია, რომ როგორც ერთიანმა გუნდმა ისე ვიმოქმედოთ, მაგრამ ამის მისაღწევად დრო გვჭირდება. იმედგაცრუებულები ვართ, რომ "ევიანთან" ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ მეორე მხრივ ჩვენი მტკიცე ხასიათი ყველას ვაჩვენეთ. დებიუტანტების კვალად გუნდში მრავლად გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან საუკეთესო ფორმაში. თუკი შემეკითხებით, როდის ვიხილავთ ჭეშმარიტ "პარი სენ-ჟერმენს", გიპასუხებთ, რომ არ ვიცი, მაგრამ აშკარაა, კვირიდან კვირამდე ვძლიერდებით. "ნიცასთანაც" რთული შეხვედრა გვექნება, მერე რა, რომ აუტსაიდერია? შეიძლება მართალიც იყოს, როცა ჩვენზე ამბობენ, მათი წინასამატჩო განწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ძლიერ მეტოქეს ეთამაშებიანო. განწყობა ხომ ჩვენზეა დამოკიდებული და ყველაფერს უნდა შევეჩვიოთ,"* – აცხადებს გამეირო.

ანტუან კომბუარემ "ევიანთან" ფრედ ნათამაშები შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მერე რა, რომ შუა კვირაში ევროპის ლიგის მატჩი გვქონდა, ეს გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება, რადგან ვალდებულნი ვართ, ყველა ფრონტზე კონკურენტუნარიანნი ვიყოთო. *"თამაშის დასრულებისას ბიჭებს ისიც ვუთხარი, ხომ ხედავთ, რომ სისოკო, სახო, ოარო და ბიშევაცი გვაკლდნენ, კინკილა ქულა მხოლოდ იმიტომ ავილეთ, რომ ცუდად ვითამაშეთ-თქო".* "პარი სენ-ჟერმენის" დამრიგებელი მის გუნდში მიმდინარე მოვლენებს რეალურად აფასებს და ვფიქრობთ, რომ მას ეს აუცილებლად დაუფასდება. მით უფრო, რომ ტრავმირებული ფეხბურთელების დაბრუნება უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი. **ზუმანა კამარა** დღე-დღეზე დაბრუნდება, **მამადუ სახო** ოქტომბერში განაახლებს ვარჯიშს, ხოლო **ბიშევაცი** მომდევნო მატჩსღა გამოტოვებს დისკვალიფიკაციის გამო. **მოჰამედ სისოკომ** დუბლების შემადგენლობაში უკვე ითამაშა 75 წუთი, თუმცა ის ძირითად გუნდში სათამაშოდ ჯერ მზად არ არის.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლიონი	6	4	2	0	11-5	14
2. მონაკელიე	6	4	1	1	12-5	13
3. ტულუზი	6	4	1	1	10-6	13
4. ლილი	7	3	3	1	12-9	12
5. ჰსჟ	6	3	2	1	9-6	11
6. ლორიანი	6	3	2	1	8-5	11
7. რენი	6	3	2	1	11-9	11
8. სოშო	6	2	3	1	10-9	9
9. ოსერი	6	1	4	1	9-8	7
10. ევიანი	6	1	4	1	6-6	7
11. ბორდო	7	1	4	2	8-9	7
12. კანი	6	2	1	3	7-8	7
13. სტ. ეტიენი	6	2	1	3	5-9	7
14. დიჟონი	6	2	0	4	5-13	6
15. ბრესტი	6	0	5	1	5-6	5
16. ნიცა	6	1	2	3	5-6	5
17. აიაჩო	6	1	2	3	6-12	5
18. ვალანსიენი	6	1	1	4	7-8	4
19. ნანსი	6	0	3	3	4-7	3
20. მარსელი	6	0	3	3	6-10	3

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურკუფს არ აჩქარებენ

"ლიონი" დიდებულ ფორმაშია მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელები აკლია. ჟურნალისტები გაფაციცებით ელოდებიან, თუ როდის დაბრუნდება გუნდში **იოან გურკუფი**. თუმცა **რემი გარდი** სიტუაციის დაჩქარებას არ ცდილობს. მისი თქმით, იოანი ლიგა 1-ისთვის ჯერ მზად არ არის. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრების 25 წლის ფეხბურთელს 1 მაისის შემდეგ მუხლის სერიოზული ტრავმის გამო არ უთამაშია. აგვისტოში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ მან ინდივიდუალური ვარჯიშები შაბათს, 16 სექტემბერს განაახლა, თუმცა კოჭზე მცირე ტკივილების გამო პროცესი ისევ შეწყვიტა. ასე რომ, მოედანზე მისი დაბრუნება რამდენიმე დღით კიდევ გადაიდო. *"ტკივილები, რამაც გურკუფი ამ დღეებში შეაწუხა, გადატანილ ოპერაციასთან არაფერ შუაშია, - განუცხადა "ეკიპს" რემი გარდმა. – მას არა მუხლი, არამედ კოჭი აწუხებს. გარწმუნებთ, სანერვიულო არაფერია".*

არადა, ოპერაციის შემდეგ ფეხბურთელის მკურნალი ექიმის განცხადებით გურკუფი მოედანზე დაბრუნებას სექტემბრის მეორე ნახევარში მოახერხებდა. რემი გარდს კი იმედი ჰქონდა, რომ ლიდერს "მარსელთან" მე-6 ტურის დაპირისპირებაში გამოიყენებდა. "კანთან" დღევანდელ შეხვედრაში გარდი კიდევ ერთ წამყვან ნახევარმცველ **კიმ კალსტრიომს** ვერ გამოიყენებს. მან "მარსელთან" შეხვედრაში ფეხის სერიოზული დაბეჟილობა მიიღო.

ჩემპიონატში პირველი ადგილის დაკავების შემდეგ ლიონელთა მოტივაცია გაიზარდა. ფეხბურთელებს უკვე სჯერათ თავიანთი გუნდის. საბრძოლო განწყობაზეა თავდამსხმელი ჯიმი ბრიანი. აი, რა განაცხადა "რადიო მონტე კარლოს" ეთერში 26 წლის შემტევმა: *"უმთავრესი ამ წუთას ის არის, რომ ლიდერობისთვის საკმარისი ქულები დავაგროვეთ, მაგრამ ქულების გარდა მნიშვნელოვანი იყო ის გუნდური სულისკვეთება, რაც ვაჩვენეთ. რა თქმა უნდა, ყველას ესმის, რომ მხოლოდ 6 ტური მოვილიეთ, თუმცა გარწმუნებთ, რომ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ, რომ ლიდერობა შევინარჩუნოთ".*

დამნაშავე სახო



მამადუ სახო ერთი ევროთი დაჯარიმდა

"ეკიპის" ცნობით, "პარი სენ-ჟერმენის" კაპიტანი და საფრანგეთის ნაკრების 21 წლის ცენტრალური მცველი **მამადუ სახო** სასამართლომ დამნაშავედ ცნო "პარიზიენის" ჟურნალისტის ფიზიკურ შეურაცხყოფაში და მას სიმბოლური სანქცია, ერთი ევროს გადახდა დააკისრა. ეს ამბავი 2010 წლის თებერვალში მოხდა: დედაქალაქური გამოცემის ჟურნალისტი (მისი ვინაობა დღემდე არ სახელდება) ერთ-ერთი მატჩის შემდეგ კლუბის ადმინისტრაციამ გასახდელში დაპატიჟა, სადაც მხოლოდ ფეხბურთელები და პრესსამსახურის ნარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ეტყობა, ფეხბურთელი უცხო ადამიანის იქ ყოფნამ სასტიკად გააღიზიანა და ყოველგვარი "შესავლის" გარეშე მას თავს დაესხა. *"მამადუ ზურგ ზე მომახტა, შეურაცხყოფა მომაყენა და მუშტი საკმაოდ ძლიერად ჩამცხო, თუმცა ამ სიტუაციაში კლუბის პრესტაჟშე ჩაერია და ფეხბურთელის შემდგომი აგრესიისგან დამიცვა,"* - აღნიშნავს დაზარალებული გამოძიებისთვის მიცემულ ინტერვიუში. აღსანიშნავია, რომ პირველმა ინსტანციამ ფეხბურთელის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნები ვერ ამოიკითხა და სახო გაამართლა. "პარიზიენის" ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილებამ არ დააკმაყოფილა და ის ზედა ინსტანციაში სააპელაციო წესით გასაჩივრა. ამჯერად ყველაფერი მასმედიელთა სასარგებლოდ დასრულდა. საკასაციო წესით (მესამე ინსტანცია) ეს გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება, ამრიგად, სახოს მისთვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება მოუწევს. გამომცემლობის იურისტები აცხადებენ, რომ მათთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება და ის, რომ ჟურნალისტი ფეხბურთელისგან მატერიალურ სარგებელს არ ელოდა, სარჩელის მოთხოვნაშიც მშვენივრად ჩანდა, ისინი კომპენსაციის სახით სწორედ ერთ ევროს ითხოვდნენ.

ანელკა MLS-ში?

გუშინდელ ნომერში გაუწყებდით, "ჩელსის" 32 წლის ფრანგმა თავდამსხმელმა **ნიკოლა ანელკამ** შესაძლოა კარიერა "პარი სენ-ჟერმენში" განაგრძოს-თქო. აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს სარფიან კონტრაქტს ამერიკულ მლს-შიც სთავაზობენ. *"შემიძლია გითხრათ, რომ ნიკოლა სერიოზულად განიხილავს ამერიკის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში გადასვლის ვარიანტს. სხვათა შორის, მას ეს შანსი აგვისტოშიც ჰქონდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო გარიგება არ შედგა. ახლა ის მზადაა, მიუბრუნდეს ამერიკელთა წინადადებას. ამას გარდა ჩემს კლიენტს სხვა ქვეყნებიდან მიღებული წინადადებებიც აქვს,"* – განუცხადა goal.com ანელკას აგენტმა **მიხაელ ვიზენფელდმა**

გვერდი მოამზადა
ლევან ბიგილაშვილმა



● მარსელი

მანდანდას ჩაკეტილი წრე

მარსელის "ოლიმპიკის" კრიზისი საფრანგეთში ყველას პირზე აკერია. ჩემპიონატის ფავორიტს 6 ტურის შემდეგ 3 ფრე და ამდენივე წაგება აქვს. პროვანსელები ცხრილში მე-20 ადგილს იკავებენ. ამ პირობებში კაპიტანმა **სტივ მანდანდამ** თავი ვალდებულად ჩათვალა, რათა გუნდის გარშემო შექმნილ სიტუაციაზე ჟურნალისტებთან გულწრფელად ელაპარაკა. მანდანდამ თანაგუნდელებს გზეთიდან მიმართა: *"ჩემთვის აშკარაა, რომ ვარჯიშებ ზე ისე არ ვიხარჯებით, როგორც საჭიროა. ჩვენ ბევრად მეტი მონდომება უნდა გამოვავლინოთ, უფრო აგრესიულები ვიყოთ. შექმნილ რთულ მდგომარეობაში არავის აქვს ბედზე წუწუნის უფლება და ამ ეტაპზე მით უმეტეს სასაცილოა ლაპარაკი რამე ტიტულებზე. ახლა ყველა ზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველანი ერთად ამ ორმოდან რაც შეიძლება სწრაფად ამოვიდეთ. დიახ, ჩვენ აშკარად გვაქვს გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემები, რადგან ყოველ ნარუმატებლობასთან ერთად ვკარგავთ საკუთარი თავის რწმენას, თითქოს რაღაცნაირ ჩაკეტილ წრეზე ვმოძრაობთ... ჩვენ სწორედ ახლა გვჭირდება გაბრიელ ჰაინცეს დონის ლიდერი, რომელიც თანაგუნდელებს თავის გარშემო შემოიკრებს. საჭიროა ერთიანი სულისკვეთება, რათა საბანს ყველა თავისკენ არ ექაჩებოდეს. თუკი ვინმეს არ შეუძლია თანაგუნდელის აზრს ყური დაუგდოს, მას ჩვენთან ერთად არაფერი ესაქმება".*

ესპანეთი. ლა ლიგა. IV ტური

დღეს

რეალ სოსიედადი–გრანადა 1:0

რეალ სოსიედადი (4-2-3-1): ბრავო - ესტრადა, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - მარიგა, ილარამენდი - გრიზმანი (76. კადამური), არანბურუ (80. ზურუტუზა), ველა (82. სარპონვი) - აგირეჩე.

გრანადა (4-2-3-1): რობერტო - ნიომი, დიახატე, მანნსა, სიკერა - მოისესი (80. აბელა), იდბია - ხარა (61. ფრანრიკო), მარტინმი, დ. ბენიტესი - ურე (82. ოკალო).

გოლი: 1:0 ესტრადა (63)

გაფრთხილება: მარტინესი, ესტრადა, ილარამენდი, გრიზმანი, აგირეჩე - სიკერა, ხარა

კუთხური: 5-4; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-15 (4-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 15 000

ოსასუნა–სევილია 0:0

ოსასუნა (4-2-3-1): ა. ფერნანდესი - ბერტრანი, როეერსიო (67. ფლანიო), რუბენი, რაიტალი (73. დამია) - ჟუნიალი, ლოლო (56. რაულ გარსია) - სუხუდო, ნინო, ლამბა - კიკე სოლა.

სევილია (4-2-3-1): ვარასი - კოკე, კასერესი, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - ტროხოვსკი (65. რაკიტიჩი), ფასიონ - ხესუს ნავასი, დელ მორალი, არმენტეროსი (68. პეროტა) - ნეგრედო (74. კანუტე).

გაფრთხილება: ? - ?

კუთხური: 5-3; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 15-11 (8-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 18 000

ვილიარეალი–მალიორკა 2:0

ვილიარეალი (4-4-2): დ. ლოპესი - მარიო, სპატა, მუსაჩიო, კატალა - ბ. ვალერო (71. კამუნიასი), ბრუნო, დე გუზმანი, კანო - ნილმარი (81. მარკო რუბენი), როსი.

მალიორკა (4-2-3-1): ავატე - სენდროსი, ჩიკო, რამისი, კასერესი - პინა, ტისონე (64. ალფარო) - ნსუე, ტეიფრა, იენგა (72. კასტრო)- ვიტორი.

გოლები: 1:0 როსი (7), 2:0 ნილმარი (51)

გაფრთხილება: ჩიკო, ტისონე, პინა

კუთხური: 4-2; **ჯარიმა:** 9-14; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13-9 (9-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 21 000

ბუშინტური ძალიან უინტერესოდ დაიწყო, „ბარსელონასთან“ შერცხვენილმა „ოსასუნამ“ „სევილიას“ გოლი არ გაატანინა, თუმცა არც თავად მოუკლავს თავი, ხოლო „რეალ სოსიედადმა“ „გრანადას“ მცველ **ესტრადას** გოლის წყალობით სძლია. „ვილიარეალმა“ სეზონში პირველად მოიგო, **როსისა** და **ნილმარის** გოლებით „მალიორკა“ დაამარცხა - 2:0.

დღეს

ატლეტიკო–სპორტინგი 22:00

დისკვალიფიკაცია: ამორებიეტა

ტრავმა: ანდერი, კასტელიო, ოსიო (ბილბაო)

რაიო ვალეკანო–ლევანტე 22:00

ტრავმა: ფარინოსი, ხორდა, დელ ორნო (ლევანტე)

რასინგი–რეალი 22:00

დისკვალიფიკაცია: ხედირა (რეალი)

ტრავმა: მუნიტისი, ტორეხონი (?), კოლსა, კენედი - კოენტრაო, პეპე, შაპინი, ალონსოპი

ვალენსია–ბარსელონა 00:00

ტრავმა: მიგელი, რ. ჯოშუა, თოპალი, პარეხო - სანჩესი, ინიესტა, პიკე

ხვალ

ესპანიოლი–ხეტაფე 22:00

დისკვალიფიკაცია: ხ. ლოპესი

ტრავმა: ალბინი, კამენი - ლოპესი, გავილანი, ალბერტაცი, დ. კასტრო

ბეტისი–სარაგოსა 00:00

დისკვალიფიკაცია: მარიო

ტრავმა: რ. კასტრო, უსტარიცი, როდრიგესი - ორიოლი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ვალენსია	3	3	0	0	6-3	9
2. ბეტისი	3	3	0	0	5-2	9
3. სევილია	4	2	2	0	5-3	8
4. ბარსელონა	3	2	1	0	15-2	7
5. სოსიედადი	4	2	1	1	5-4	7
6. რეალი	3	2	0	1	10-3	6
7. ვალაბა	3	2	0	1	6-2	6
8. ვალეკანო	3	1	2	0	2-1	5
9. ლევანტე	3	1	2	0	2-1	5
10. ოსასუნა	4	1	2	1	2-9	5
11. ატლეტიკო	3	1	1	1	4-1	4
12. ვილიარეალი	4	1	1	2	4-8	4
13. სარაგოსა	3	1	1	1	2-7	4
14. ესპანიოლი	3	1	0	2	3-4	3
15. მალიორკა	4	1	0	3	1-4	3
16. გრანადა	4	1	0	3	1-6	3
17. ბილბაო	3	0	1	2	4-6	1
18. ხეტაფე	3	0	1	2	3-6	1
19. რასინგი	3	0	1	2	3-8	1
20. სპორტინგი	3	0	0	3	2-5	0

ბომბარდირები: 5 - სოლდადო (ვალენსია), მესი (ბარსელონა); 4 - რონალდო (რეალი); 3 - აგირეჩე (რეალ სოსიედადი), კასორლა (მალაგა), მიკუ (ხეტაფე), ნეგრედო (სევილია), ფაბრეგასი (ბარსელონა), ფალკაო (ატლეტიკო).

ღამით ღამურებთან

ვინ ვის: კუპერი VS მოურინიო

2011/12 წლეების სეზონში ჯერ ესეთი მატჩი არ ყოფილა, როგორიც ამაღამ „მესტალიაზე“ უნდა გაიმართოს - „ვალენსია“, რომელსაც კვლავ ჩინებული სასტარტო სპურტი გამოუვიდა, ჩემპიონ „ბარსელონას“ უმასპინძლებს. ამასობაში, ვალენსიაში შერცხვენილი „რეალი“ ჯავრის ამოყრას საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცის, **ექტორ რაულ კუპერის** „რასინგზე“ აპირებს. სიმართლე ვთქვათ, არგენტინელს ძალზე სუსტი გუნდი ჰყავს და, თუ „რეალი“ სანტანდერშიც ჩაიმუხლებს, **ჟოზე მოურინიო** ვეღარაფრით გაამართლებს „სამეფო კლუბის“ წარუმატებლობას. ტური კი ხვალ დასრულდება, როცა სევილიაში თანალიდერი „ბეტისი“ „სარაგოსას“ მასპინძლობს.

დავუბრუნდეთ ტურის ცენტრალურ შეხვედრას: რა ამოცანა დგას **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდის წინაშე? როგორმე უნდა გაანეიტრალონ „ღამურების“ ბომბარდირი **რობერტო სოლდადო**. შეგახსენებთ, რომ სოლდადო „რეალის“ აღზრდილია, თუმცა ამ გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა, სამ სეზონში სულ ორი გოლი გაიტანა, „სამეფო კლუბისგან“ დანუნებული „ოსასუნასა“ და „ხეტაფეში“ გაიხსნა, „ვალენსიას“ კი ისე მოერგო, თითქოს სულ იქ თამაშობსო - პირველივე სეზონში 18 გოლი გაიტანა ჩემპიონატში, ახლა კი სამი ტურის შემდეგ 5 გოლით **ლიონელ მესისთან** ერთად ბომბარდირია.

ვალენსიაში ბევრი ინერვიულეს იმის გამო, რომ „სპორტინგთან“ მატჩში სოლდადომ ფეხი იტკინა, თუმცა სერიოზული არაფერია და თავდამსხმელი **ვალდესის** კარს შეუტევს. მოკლედ აქეთ სოლდადო, იქით მესი - ლა ლიგის ორი მთავარი მეგოლე მიმდინარე ჩემპიონატში. არგენტინელმა „ბარსას“ გოლების მესამედი გაიტანა წლეულს, ხოლო ესპანელმა - „ვალენსიას“ გოლების 83%.

რას უნდა უფრთხოდნენ სტუმრები? **უნაი ემერის** ტაქტიკურ წიაღსვლებს. „ვალენსიას“ ბასკი მწვრთნელი ამ საქმის დიდოსტატია. ამიტომაც, არ გაგიკვირდეთ, თუ მის არსენალში რაიმე სიურპრიზსაც ვიხილავთ.

რა ამოცანაა „ვალენსიას“ წინაშე? თითქმის გადაუჭრელი ერთდროულად მესის, **ფაბრეგასის, ჩავის** და **ვილიას** გაჩერება. ყველა დიდებულ ფორმაშია. „ღამურებს“ კიდევ გაუმართლათ, რომ **ალექსის სანჩესი** და **ანდრეს ინიესტა** აკლიათ კატალონიელებს, ხოლო დაცვის ცენტრში **ჟერარდ პიკეს** დაყენებას პეპი ალბათ ვერ გარისკავს, ის ხომ ახლახან მორჩა და ტრავმის მიღების რისკი დიდია. ცალკე თემაა „ელ გუახეს“ დაბრუნება „მესტალიაზე“, მას ხომ 108 გოლი (საშუალოდ 22 გოლი ჩემპიონატში) აქვს გატანილი „ღამურების“ მაისურით. ასტურიელი „მესტალიას“ გმირია, ხუთი სეზონის მანძილზე აქ მას ოვაციებს უწყობდნენ. და აი, მეორედ 7-იანი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს.

„ვალენსიამ“ ბოლოს 2008 წელს მოუგო „ბარსას“ - 3:2. მაშინ **ხუან მატამ** გაიბრწყინა, რომელსაც ახლა „ჩელსისთვის“ გააქვს. შარშან გვარდიოლას გუნდმა ვალენსიაში მესის გოლის წყალობით იმარჯვა.

კანტაბრიაში დაჭრილი „რეალი“ მიდის, რომელსაც ერთი სტატისტიკური დეტალი უმაგრებს ზურგს - 2006 წლის დეკემბრის შემდეგ „სამეფო კლუბმა“ ყველა საჩემპიონატო მატჩი მოიგო, რომელიც შუა კვირაში გაიმართა. ბოლოს ასეთი მატჩი მაისში „ხეტაფესთან“ შედგა და მაშინ „რეალმა“ 4:0 მოიგო, **კრიშტიანო რონალდომ** კი ჰეთ თრიკი შეასრულა.

„ლევანტეში“ მხოლოდ სამი ქულა არ დატოვა მოურინიოს გუნდმა, ტრავმები მიიღეს **ფაბიო კოენტრაომ** და **მარსელომ**. პორტუგალიელმა და ბრაზილიელმა ცაციებმა მარცხენა ფეხის კუნთები დაიზიანეს და ახლა „რეალს“ მარცხენა ფლანგზე პრობლემები ელის, ორივე 2-2 კვირით გამოაკლდა მადრიდულ გუნდს.

ექტორ კუპერს დისკვალიფიკაციამოხდილი სენეგალელი ნახევარმცველი **პაპე დიოპი** უბრუნდება, ითამაშებს ალბათ **მარკ ტორეხონიც**. *„რომ მოუგო „რეალს“, უნდა ითამაშო ისე, როგორც დიდმა გუნდმა“*, - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე არგენტინელმა მწვრთნელმა.

ჰატარა მეგობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლი სოუფიანისთვის

მეგობრები

„ოსასუნასთან“ მატჩში **ლეო მესიმ** ერთბაშად სამი გოლი გაიტანა, რომელთაგან ერთ-ერთზე უნდა მოგითხროთ. უფრო სწორად იმაზე, რაც გოლის გატანის შემდეგ მოხდა. 24 წლის არგენტინელი ჩვეულებრისამებრ გოლს ზეაღმართული ხელებით აღნიშნავს, მაგრამ ამჯერად ის ორივე ხელით ფეხებს შეეხო, რათა გოლი პატარა მეგობარ **სოუფიანისთვის** ეძღვნა.

მათი მეგობრობა იანვარში დაიწყო, როცა მესიმ პირველად ნახა 10 წლის ბიჭუნა, სოუფიანი კატალონიის ქალაქ მანლეუში ცხოვრობს, ის ლაურინ-სენდროუს ძალიან იშვიათი სინდრომითაა დავადებული. ეს დაავადება კიდურების განვითარებას ხელს უშლის. მაშინ სოუფიანს და მისი ოჯახის წევრებს პირველი გუნდის ვარჯიშზე დასწრების უფლება მისცეს. ბიჭუნა ფეხის პროთეზებს ატარებს, რომელიც „ბლაუგრანას“ ფერებშია შეღებილი და 10-იანი აწერია. მესი შოკში ჩააგდო ასეთი ერთგული ფანის ხილვამ. მაშინ სოუფიანი 3-4-ჯერ მესისთან ერთად ბურთსაც შეეხო. *„ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ის ჩემი მეგობარია“*, - აღფრთოვანებული იძახდა სოუფიანი ვარჯიშის შემდეგ.

პარასკევს მათი გზები ისევ გადაიკვეთა, „ესპორტს-3-ის“ ინიციატივით, მესი და სოუფიანი სტუდიაში შეხვდნენ, სადაც ბიჭუნამ მეგობარს სთხოვა, თუ შეგიძლია, ერთი გოლი მე მომიძღვნაო. მესი უმალ დათანხმდა. *„კი, მაგრამ როგორ გამოხატავ ამას, შენ ხომ ყოველთვის ხელებს მაღლა წევ. მინდა, რომ ხელებით ფეხებს შეეხო“*, - უთხრა სოუფიანმა. მესიმ პირობა შეუსრულა პატარა ფანს, რომელმაც ალბათ მსოფლიოში უბედნიერეს ადამიანად იგრძნო თავი.

იშვიათი ხედი

ქვეულმოქმედი მოუ

ჟოზე მოურინიოს ბევრი აკრიტიკებს და კიდევ უფრო მეტს ის უბრალოდ არ უყვარს. სიმართლე ითქვას, ჟოზე თავად უდიდესი გამღიზიანებელია, ზოგჯერ ისეთს იტყვის და გააკეთებს, რომ, ნებით თუ უნებლიედ, მის წინააღმდეგ განეწყობი. თუმცა არსებობს სულ სხვა მოურინიოც, მუდამ თავის ფეხბურთელებზე მზრუნველი მწვრთნელი, კაცი, რომელსაც ლამის ყველა მისტირის, საიდანაც კი წასვლა უნევს. მოურინიო კარგი მეოჯახე და... ქველმოქმედი.

ჟოზემ „ბობი რობსონის ფონდს“ და „მკერდის კიბოთი დაავადებულ ადამიანთა დახმარების კავშირს“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტიტული - ფიფას სამწვრთნელო „ოქროს ბურთი“ - შესწირა. 2010 წელს „ინტერის“ მწვრთნელობისას სამი ტიტული მოპოვების შემდეგ, მოურინიო „ოქროს ბურთით“ დააჯილდოვეს. პორტუგალიელმა ჯილდო აუქციონზე გასაყიდად გაიტანა. შეგახსენებთ, რომ სერ **ბობი რობსონი** ჟოზეს მასწავლებელი იყო, 1992 წელს მოუმ ინგლისელთან ლისაბონის „სპორტინგში“ თარჯიმნად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ისინი ერთად მუშაობდნენ „პორტუსა“ და „ბარსელონაში“. *„მამა ძალიან იამაყებდა ჟოზეს ამ გადაწყვეტილებით. მთელი ოჯახი მისი მადლიერი ვართ“*, - განაცხადა სერ ბობი რობსონის ვაჟმა, **მარკმა**. რობსონის ფონდი“ კიბოს ადრეულ სტადიაში გამოვლენის ექსპერიმენტებს აფინანსებს. რობსონი 2009 წელს სიმსივნით გარდაიცვალა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ჟოზემ ბობი რობსონის ფონდს ოქროს ბურთი შესწირა

ქოლესტერინის საზომი აპარატი
54 ლარი

გლუკომეტრები
25-99 ლარი
შას „კონტრასტი“
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

lariwin.com
the better way to play

მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორი ონლაინ კაზინო „ლარი“

ერთიანი ბიბლიოთეკა

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჯანგავაძე მასტერტონიდან

● რაგბი. მსოფლიოს თასი

დღე მეორე – მასტერტონის მერია და საუმართმოყვარე მასპინძლები

საქართველოს ნაკრები მეორე დღეა, რაც ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ კუნძულის სამხრეთში, პატარა ქალაქ მასტერონში იმყოფება, რომლის მოსახლეობაც სულ რაღაც 20 ათას კაცს ითვლის.

მიუხედავად ამისა, "ბორჯღალოსნების" მასტერტონში ყოფნის მეორე დღე პირველზე უფრო საინტერესო გამოდგა. სანამ ამის შესახებ მოგითხრობთ, პირველი დღის ამბების გამოხმაურებაზე გეტყვით.

გაზეთების პირველი ფურცლები საქართველოს ნაკრების მორაგბეებისა და ვაირარაპას რეგიონის ბავშვების შეხვედრის სურათებითაა აჭრელებული. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ნაკრები, ფაქტობრივად, ყველაზე პოპულარულია მსოფლიოს თასზე და ყველგან ძალიან გულღიად, მეგობრულად იღებენ.

ირაკლი ჩხიკვაძე სტუმრად მასტერტონელებთან

აკი, გაუკვირდა კიდეც ერთ-ერთ ბრიტანელ ჟურნალისტს ჯერ კიდევ დანიდინში ყოფნისას, პრესკონფერენციაზე **რიჩი დიქსონს** ჰკითხა:

"საქართველო ახალი ზელანდიიდან შორსაა, ისინი აქ უცხოელები არიან. წესით, ადგილობრივებთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეთ, თუმცა მათ მასპინძლები ყველგან სიხარულით ხვდებიან. ხომ ვერ გვეტყვით, რატომ ხდება ასე?"

ამაზე "ბორჯღალოსანთა" თავკაცმა უპასუხა:

- ქართველი ბიჭები ძალიან უბრალონი, უშუალონი არიან ურთიერთობაში. ამასთან, ქართველები, ახალ ზელანდიელების მსგავსად ძალიან სტუმართმოყვარეები არიან. მათ იციან სტუმარ-მასპინძლობის ფასი. ადგილობრივებს გულღიად, კეთილ დამოკიდებულებაზე სიკეთითვე პასუხობენ. ცხვირს მაღლა არ წევენ და ახალ ზელანიდელი ქომაგის მიმართ ყურადღებას იჩენენ. ცხადია, ეს ადგილობრივებს ძალიან მოსწონთ".

ქართველი მორაგბეების ქება-დიდებით იწყება "ოტაგო დეილი ტაიმსის" გამხსნელი წერილი. თურმე ნუ იტყვით და, სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელს, ენაჭარტალა და ინტრიგან **პიტერ დე ფილიერსს** დაუჩივლია, ამდენი ჰაკა და ჰარე მაირა რა ამბავია, შეეწუხდით, აღარ შეგვიძლიაო.

სტატიის ავტორი, ცხადია, "ბოკეს" თავხედ თავკაცს, რომელმაც ადგილობრივებს ამ გამონათქვამით შეურაცხყოფა მიაყენა, მიწასთან ასწორებს და სამაგალითოდ, თუ როგორ უნდა სცე პატივი ახალ ზელანდიელი ხალხის ადათ-წესებს, საქართველოს ნაკრები მოჰყავს.

ერთი სიტყვით, "ბორჯღალოსნებმა" თავი არა მარტო კარგი თამაშით, კულტურული ქცევითაც გამოიჩინეს. რაც შეეხება ჩვენი გუნდის თამაშს, საქართველოს ნაკრების მხარდამჭერი წერილები განუწყვეტლივ ქვეყნდება.

გუშინ დილით ერთ-ერთ ავსტრალიურ სარაგბო ვებ გვერდზე გამოქვეყნდა სტატია სათაურით - "საქართველო ამტკიცებს, რომ ღირსია ექვს ერში შესასვლელი კარი გაუღონ". ავტორი მატჩის პერიპეტიებს იხსენებს, რასაც მის მიერ სათაურში გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად იყენებს.

ბრიტანეთში გამომავალი გაზეთის "სანდი ტაიმსის" სარაგბო მიმომხილველმა **სტივენ ჯოუნზმა** სატატია ასე დაიწყო.

"კარგი იყო საქართველო. ეს არის ყველაზე სწრაფად განვითარებადი სარაგბო ერი მთელ მსოფლიოში. საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები ევროპაში დომინირებენ. "ოტაგო სთედიუმზე" მათ ფანტასტიკურად ითამაშეს და საჯარიმოები კარში ზუსტად რომ დაერტყათ, არავინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა.

ანგარიში 41:10 ინგლისის ნაკრების სასარგებლოდ არის ფარსი. ის არ ასახავს იმას, რაც სინამდვილეში მოედანზე ხდებოდა.

დამკვიდრებულია სენტენცია, რომ საქართველოს ნაკრების უკანა ხაზი, ეს არის შვიდი კაცი, რომელიც დგას და მორკინალების თამაშს უცქერის. ინგლისთან მატჩში ეს ასე არ იყო.

შაბათს ქართველებმა ინგლისელებზე უკეთ ისაპარე ზეს. ისინი უფრო ორგანიზებულ, აგრესიულ და შემოქმედებით რაგბის თამაშობდნენ."

ამის მერე წერილის ბოლომდე ჯოუნზი ინგლისის ნაკრებს აკრიტიკებს და ბოლოს დასძენს.

"მიეცით კიდევ ერთი შანსი საქართველოს ნაკრებს ინგლისის ეროვნულ გუნდს ეთამაშოს და ვნახავთ, ვინც მოიგებს."

ერთი სიტყვით, მსოფლიო იმედის თვალით გვიყურებს. ფიქრობენ, რომ ჩვენი თამაშით რაგბის მამები ბევრ რამეს შეცვლიან.

ჩვენი გუნდის დიდი იმედი აქვს პატარა ქალაქ მასტერტონის მოსახლეობასაც. გუშინ "ბორჯღალოსნებს" მიღება ქალაქის მერიაში გაუმართეს. მერის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სცენა ადგილობრივ სიმღერის გუნდს დაუთმეს, რომელმაც საქართველოს ჰიმნი ჯერ ქართულად იმღერა, მერე კი ინგლისურად. უნდა ითქვას, რომ ნათარგმნი ორიგინალს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ცხადია, საქმეში ქართული დელეგაციის წარმომადგენელი, ქართული ხმების მომღერალი **გივი ჭიჭინაძე** ჩაერთო, რომელსაც მაორებმა ტე ტანე კაი ვაჯტა შეარქვეს, ქართულად ეს ნიშნავს, კაცი, რომელიც მღერის. მან მასპინძლებს იტალიური ოპერიდან ორი არია მიუძღვნა, რამაც, ცხადია, დიდი ოვაციები გამოიწვია.

შეხვედრას ესწრებოდა ლეგენდარული პიროვნება, მასტერტონის მკვიდრი **ბრაიან ლოჰორი,** რომელიც 1987 წელს გამართულ მსოფლიოს თასზე ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელი იყო. მაშინ "ოლ ბლექსი" ჩემპიონი გახდა და მას შემდეგ მიღწეულის გამეორებას ვერაფრით ახერხებს. ლოჰორი საქართველოს ნაკრების ლიდერთან, **მამუკა გორგოძესთან** მივიდა და სახსოვრად მცირე სუვენირი უბოძა, მერე კი საქართველოს ნაკრების მორაგბეებს მიმართა:

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

რაგბი

"მივესალმები საქართველოს, როგორც ერთ-ერთ სარაგბო ერს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს პატარა ქალაქში. მხოლოდ სამი ერია დედამიწაზე, რომლისთვისაც რაგბი ეროვნული თამაშია, ესენია: ახალი ზელანდია, საქართველო და უელსი.

იმედი მაქვს, რომ ახალ ზელანდიაში ყოფნით ისეთივე ნასიამოვნები ხართ, როგორიც ჩვენ თქვენი თამაშის ხილვით. ვიცი, რომ მომდევნო ორი კვირა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თითოეული თქვენგანისთვის. სათამაშო ორი მატჩი დაგრჩათ და ძალიან კარგი იქნებოდა, შინ ორი მოგებით ხელდამშვენებული თუ დაბრუნდებით. თავი წესრიგში თუა და სხეულიც ხელს გიწყობთ, ეს აუხდენელი ოცნება სულაც არ არის.

ვაირარაპას მოსახლეობამ და განსაკუთრებით ბავშვებმა თქვენ მიგიღეს გულითადი სიყვარულით. გაკვირვებული დარჩებით, რამდენი ადგილობრივი ქომაგი აპირებს თქვენს გულშემატკივრობას რუმინეთისა და არგენტინის ნაკრებებთან მატჩში.

ჩვენ თქვენთან ვართ და გისურვებთ წარმატებას. იღბალი არ მინდა გისურვოთ, ძლიერ გუნდს იღბალი არ სჭირდება. ის თვითონ ქმნის თავის ბედს. გადით, ითამაშეთ და მოიგეთ. აგერ უკვე სამი თვეა, განა ტყუილად ვატარებთ, თქვენი ქვეყნის დროშით მოხატულ მაისურებს.

იმედი მაქვს, ვაიარარაპადან საუკეთესო მოგონებები გაგყვებათ."

ამის შემდეგ მასპინძლებს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** მიმართა.

"მადლობა მინდა გადაგიხადოთ გულთბილი მასპინძლობისთვის, ჩვენ ნამდვილად ბედნიერები ვართ, რომ დღეს თქვენს პატარა, კოხტა ქალაქში ვსტუმრობთ. ახალ ზელანდიაში ჩამოსვლის დღიდან აქაურების დიდ ყურადღებას ვგრძნობთ. ქვინზთაუნში, ინვერქარგილსა და დანიდინში მოსახლეობამ დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა, თუმცა მასტერტონი მაინც გამორჩეულია.

ჩვენ აქ რაგბის სათამაშოდ ჩამოვედით, მაგრამ ამასთან ერთად თქვენს კულტურას, ყოფას ვეცნობით. ახალზელანდიელები ფანტასტიკური, ძალიან მეგობრული, ძალიან კეთილი და უაღრესად სტუმართმოყვარე ხალხი ხართ. ამას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ.

ჩვენს ხალხს, - ქართველებს და ახალზელანდიელებს რაგბი გვაერთიანებს. გილოცავთ მსოფლიოს თასის გათამაშების ბრწყინვალედ ჩატარებას. ტურნირი შესანიშნავად არის ორგანიზებული და, ვფიქრობ, ის საუკეთესოა აქამდე გამართულ შეჯიბრებებს შორის."

მერიაში გამართული მიღების შემდეგ "ბორჯღალოსნები" სასტუმროში დაბრუნდნენ, თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა. საღამოს ექვს საათზე ქართული დელეგაციის ორ-ორი წევრი მასტერტონელებმა ოჯახებში გადაიპატიჟეს. ნაკრების მედია მენეჯერ **ლაშა ხურციძეს,** "ბორჯღალოსანთა" გარემარბ **ირაკლი ჩხიკვაძეს** და მე მასტერტონში საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების ორგანიზატორის, **კეტრინ სტიდის** ოჯახში სტუმრობის პატივი გვხვდა წილად.

ამ ქალბატონზე აუცილებლად ცალკე უნდა ვთქვათ. მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე სამი თვით ადრე, ჩვენი გუნდისთვის მასპინძლობის გასაწევი საორგანიზაციო კომიტეტი სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა. ამ დროის განმავლობაში უზარმაზარი საქმიანობაა გაწეული, ის, რომ მთელი რეგიონი საქართველოს დროშებითაა მოფენილი, სწორედ მისი ძალისხმევის დამსახურებაა.

კეტრინი პროფესიით პედაგოგია და მასტერტონის დაწყებით სკოლაში ასწავლის. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ახალგაზრდობაში რაგბის თამაშობდა და მისი მწვრთნელი სწორედ მომავალი მეუღლე იყო. რაგბის თამაშობს კეტრინის სამივე შვილი, ორი გოგონა და ერთი ვაჟი.

ქალაქგარეთ მდებარე, საკმაოდ მყუდრო ერთსართულიან სახლში კეტრინმა და მისმა ოჯახმა გულთბილი მასპინძლობა გაგვიწიეს. საქართველოს შესახებ არაფერი უკითხავთ, რადგან ბოლო სამი თვის განმავლობაში იმდენი ინფორმაცია დააგროვეს, რომ თითქმის ყველაფერი იცოდნენ.

ცხადია, მთელი ოჯახი საქართველოს ნაკრების ქომაგია. საკმაოდ გემრიელი ვახშმის შემდეგ რაგბიზე, ერთმანეთის გეგმებსა და სხვა ათას წვრილმან საკითხზე ვისაუბრეთ. პატარა ბობის, რომელიც მესამეხაზელობას აპირებს, "ოლ ბელქსში" ყვლაზე მეტად შუამარბი **მაა ნონუ** მოსწონს. ძალიან ქომაგობს ცხრა ნომერ **პირი ვიპუსაც** და რატომღაც მთელმა ოჯახმა **სონი ბილ ვილიამსის** ხსენებისას გრიმასა შეკერა - ეგ ხომ მორაგბე არ არისო.

ერთი სიტყვით, მთელი ახალი ზელანდიის ფავორიტი **რიჩი მაქოა,** კეტრინ სტიდის ოჯახისთვის კი იგი "ოლ ბელქსის" ერთი რიგითი მორაგბე აღმოჩნდა. არადა, სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან მაქოას სარეკლამო ბილბორდი დგას, ყველა გაზეთისა და ჟურნალის გარეკანზე სწორედ მისი პროფილი ან ანფასია გამოსახული. რიჩი ეროვნული გმირია. ახალზელანდიელებისთვის რაგბი და რიჩი მაქოა ერთი და იგივე სიწმინდეა.

მოკლედ, მასტერტონში გატარებული მეორე დღე შესანიშნავი იყო. დღეს კი ქართველი მორაგბეები პირველ ვარჯიშს გამართავენ და რუმინეთის ნაკრებთან მატჩისთვის მზადებას შეუდგებიან. ტრავმირებულ მორაგბეთაგან შესაძლოა მხოლოდ **ირაკლი მაჩხანელმა** ვერ ივარჯიშოს, საგანგაშო არაფერია, მაგრამ მას ფეხი მაინც აწუხებს და უახლოეს დღეებში გაირკვევა, შეძლებს თუ არა "სტეჟარის" წინააღმდეგ თამაშს.

იტალია-რუსეთი	53:17
C ჯგუფი	
1. ირლანდია – 5 ქულა, 2. ავსტრალია – 5, 3. იტალია – 5, 4. აშშ – 4, 5. რუსეთი – 1.	
დღეს	
იაპონია-ჯონგა	11:30

ქართული სპორტი

● სუმო. აკი ბაშო. 11-25 სექტემბერი

გაგამარჯ ჩემპიონის წინააღმდეგ

24 წლის **თეიმურაზ ჯუელემა (გაგამარუ)** აკი ბაშოს ორი მესამედი ისე განვლო, რომ ბოლოსკენ სულ დარჩეულ სუმოისტებთან ბრძოლა დაიბევა. დღეს ის კარიერაში პირველად დაეჭიდება ოძეკი **ბარუტოს,** ესტონელ ჩემპიონს. მანამდე კი მისი ბალანსი 9-1-ია და ქართველზე წინ ცხრილში მხოლოდ დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოა** (ათივე მოგებით).

გუშინ გაგამარუ მე-5 მაეგაშირა **გოეიდოს** ხვდებოდა, რომელიც 2009 წელს სეკივაკეს ტიტულს ატარებდა, 140-კილოიანი იაპონელი ქართველის მავაშის ჩაეჭიდა, ჩვენებურმა ძალზე ძნელად შეძლო მისი ჩამოცილება კოტენაგეს ილეთით. გაგამარუმ ზედიზედ მე-9 ორთაბრძოლა მოიგო. ერთ ბაშოზე ელიტაში ზედიზედ 9 მოგება აქამდე არც ერთ ქართველს არ ჰქონია (**კოკაიმ** ძურიოს დივიზიონში ზედიზედ 10 მოიგო, **ტოჩინოშინმა** - 11, მაგრამ ორ ბაშოზე).

კოკაიმ (**ლევან ცაგურია**) დარბაზში მოისროლა **დაიდო** და ახლა ერთი მოგებაღა სჭირდება ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად და წინსვლის დასაბევებლად. ტოჩინოშინი (**ლევან გორგაძე**) კი ვერ გაუმკლავდა ოძეკი **ჰარუმაფუჯის,** იმპერატორის თასის ბოლო გამარჯვებულს, თუმცა კი ბრნყინვალე შეტევით სცადა მონღოლის დაგდება. ტოჩინოშინი ერთადერთია ქართველებში, რომელსაც უარყოფითი ბალანსი აქვს - 4:6.

X დღე

ჰაკუჰო-ტოკიტენკუ (იორიკირი), ბარუტო-ტოჩიოძანი (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), კოტოშოგიკუ-კისენოსატო (იორიკირი), კაკურიუ-ჰომაშო (კატასუკაში), ტოიონოშიმა-არანი (ოშიდაში), ოკინოუმი-იოშიკაძე (იორიკირი), ტაკეკაძე-ვაკანოსატო (ჰატაკიკომი), **გაგამარუ**-გოეიდო (კოტენაგე), ტოჩინოვაკა-მიაბიამა (იორიკირი), ვაკაკიიუ-ტოიოჰბიკი (უვატენაგე), საგაცუკასა-ტაკაიასუ (იორიკირი), ფუჯიაზუმა-კიოკუტენჰო (იორიკირი), შოტენრო-კაისეი (ცუკიოტოში), ტაკანოიამა-ტამავაში (ჰიკაკე), კიტატაიკი-კიმურაიამა (ოშიდაში), ასასეკირიუ-ტოსაიუტაკა (იორიკირი), ამინიშიკი-ჰოჩიამა (სუკუინაგე), იოძიაზუმა-ტამაასუკა (იორიტაოში), **კოკაი**-დაიდო (ოშიტაოში).

საბურნირო მდგომარეობა

10-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა).
9-1: კოტოშოგიკუ (სეკივაკე), **გაგამარუ** (მაეგაშირა 11).
8-2: ბარუტო (ოძეკი), **კისენოსატო** (სეკივაკე), **კიტატაიკი** (მ 11).
7-3: გოეიდო (მ 5), **ტოჩინოვაკა** (მ 7), **კიოკუტენჰო** (მ 10), **ამინიშიკი** (მ 12), **კოკაი** (მ 16)... **4-6: ტოჩინოშინი** (მ 4).

XI დღე

ჰაკუჰო-კაკურიუ, ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, ბარუტო-**გაგამარუ**, კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი, ტოიონოშიმა-ვაკანოსატო, იოშიკაძე-არანი, ჰომაშო-ოკინოუმი, ტაკეკაძე-ტოკიტენკუ, **ტოჩინოშინი**-ტაკაიასუ, მიაბიამა-კაისეი, გოეიდო-კიოკუტენჰო, ვაკაკიიუ-საგაცუკასა, ფუჯიაზუმა-ტამაასუკა, ტოჩინოვაკა-კიტატაიკი, ტოიოჰბიკი-ტოსაიუტაკა, **კოკაი**-ტამავაში, ამინიშიკი-კიმურაიამა, ასასეკირიუ-ჰოჩიამა, იოშიაზუმა-შოტენრო, დაიდო-ტაკანოიამა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჩოგბური

მაკას მოულოდნელი მარცხი

ორი კარგი ტურნირის შემდეგ (იტალიურ ბიელასა და მესტრეში) შეჯიბრება ჩააგდო **მაკა ჩახნაშვილმა** (175). საქართველოს მეორე ჩოგანი საფრანგეთში, სან მალოს ტურნირში (100 ათასი დოლარი) გამოდიოდა, სადაც პირველ წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეულ ვეტერან **სვეერინ ბელტრამს** (243, მსოფლიოს ყოფილი 34-ე ჩოგანი 2007 წელს) შეხვდა. მოულოდნელად, მაკამ იოლად დათმო მატჩი - 1:6, 2:6. წარუმატებელი გამოდგა მისი ასპარეზობა წყვილთა ბადეშიც (ესპანელ **ესტრელა კაბესა-კანდელასთან** ერთად) - ქართულ-ესპანური დუეტი პირველ წრეში კოლუმბიურთან (**კასტანიო, დუკე-მარინო**) დამარცხდა - 2:6, 2:6.

ამერიკულ ალბუკერკში (75 ათასი დოლარი) პირველ ნომრად განთესეს 21 წლის **ანა ტატიშვილი,** რომელიც პირველ წრეში პორტუგალიელ **მიშელ ლარშერ დე ბრიტოს** (199) ხვდება. წყვილებში ანა ისევ ამერიკელ **ჯეიმი ჰემპტონთან** ერთად ითამაშებს, ეს დუეტი ალბუკერკში მე-3 ნომრად განთესეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული ჩოგბურთი

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის სპეციალური გამოშვება

ელიტისაკენ თბილისის გავლით

საქართველოში ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირებს 1999 წელს ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ ჩვენთან ქალთა და ვაჟთა 32 შეჯიბრება ჩატარდა (ასპარეზობა მხოლოდ 2008 წელს არ გამართულა რუსეთ-საქართველოს ომის გამო) და მათში 2000-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. განვლილ პერიოდში ყველაზე დიდ ღონისძიებას ბათუმმა უმასპინძლა 2004 წელს. მისი საპრიზო ფონდი იყო 75 000 ამერიკული დოლარი. მაშინ ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა ანა ივანოვიჩმა ანა ჩაკვეტაძეს სძლია ფინალში და მთავარი ჯილდო დაიმსახურა. ამ ორი სპორტსმენის გარდა, საქართველოში გამართულ შეჯიბრებებში სხვადასხვა დროს მოუსინჯავთ ძალები დღეს უკვე მსოფლიო რეიტინგის საუკეთესო წარმომადგენლებს - ელენა დემენტიევას, ელენა იანკოვიჩს, ვერა ზვონარიოვას, ნადეჟდა პეტროვას, ანასტასია მისკინას, ალიონა და კატერინა ბონდარენკოებს. მომავალშიც ბევრი ნიჭიერი ჩოგბურთელი გაიკაფავს გზას საქართველოს კორტებიდან საერთაშორისო ელიტისკენ.

- წლეულს ზედიზედ სამი ტურნირის გამართვა გადავწყვიტეთ აღმავალი საპრიზო ფონდით, - გვითხრა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა**. - განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კალენდარში „საქართველოს თასის“ ღირა გათამაშების შეტანა (საპრიზო ფონდი 10 000 $), რითაც ახალგაზრდა ქართველ ჩოგბურთელებს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისა და მეტი გამოცდილების მიღების საშუალება მივეცით. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და, პირადად, მინისტრ ვლადიმერ ვარძელაშვილს, რომელმაც მაშინვე თანადგომა აღგვითქვა და სიტყვა საქმედ აქცია. გვერდით დაგვიდგა უკრაინის ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ხარკოვის ოლქის ვიცე-გუბერნატორი იური საპრონოვი, რომლის ფონდთანაც წლეულს იანვარში მემორანდუმი გავაფორმეთ. ქართულ-უკრაინული პროექტით ორგანიზებულ ღონისძიებაში საქართველოს 20-მა ახალგაზრდა ჩოგბურთელმა მიიღო მონაწილეობა. სასიამოვნოა, რომ ერთეულთა ფინალში ჩვენებურები შეხვდნენ ერთმანეთს და წყვილთა პაექრობაც ქართველთა დუეტმა მოიგო.

მეხუთე წელიწადია, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასთან აქტიურად თანამშრომლობს ბათუმის ნავთობტერმინალი. ამ კომპანიის ხელმძღვანელობა (უფროსი აბაი ტურიკპენბაევი) საშურ საქმეს აკეთებს ქართული ჩოგბურთის განვითარებისთვის. ბათუმში კორტების აღდგენის შემდეგ ეს შეჯიბრება ისევ აჭარის დედაქალაქს დაუბრუნდება. საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისა და ქვეყნის სპორტული სტრუქტურების მესვეურთა მიზანია, ჩვენთან სპორტის ამ სახეობის გეოგრაფია გაიზარდოს, თბილისისა და ბათუმის ფარგლებს გასცდეს. ამ მხრივ სასიამოვნო ის არის, რომ საქართველოს საჩოგბურთო რუკაზე დამკვიდრდა თელავი. სამი წლის განმავლობაში ტარდებოდა აქ ქალთა ოცდახუთათასიანი საერთაშორისო ტურნირები. საპრიზო ფონდი წლეულს 50 ათასამდე გაიზარდა. თანხის მოძიება, უპირველესად, შესაძლებელი გახდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის - ბატონი გია ნაცვლიშვილის თანადგომით, რომელიც რამდენიმე წელიწადია, ფინანსურად ეხმარება მოწინავე ქართველ ჩოგბურთელებს. საგულისხმოა ისიც, რომ სეოკ-ის ძალისხმევით ჩვენთან უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ზედიზედ ორჯერ ჩატარდა ჩოგბურთის მწვრთნელთა გადასამზადებელი სემინარები.

თელავის ტურნირის ღირსეულად ჩატარებაში თავის წვლილს შეიტანს კახეთის სამხარეო ხელმძღვანელობა. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო შვიდი წელიწადია, საერთაშოისო შეჯიბრება ასეთი მაღალი საპრიზო ფონდით არ მოგვინყვია. ჩვენს გოგონებს საშუალება ეძლევათ, ოსტატობა აიმაღლონ, სარეიტინგო ქულები გამოიმუშაონ და ფინანსურად ბიუჯეტიც გაიუმჯობესონ.

მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩვენი მუდმივი სპონსორი - მინისა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი“, რომელიც საქართველოში საერთაშორისო ტურნირების დასაბამიდანვე ჩვენს გვერდით დგას.

საერთაშორისო შეჯიბრებები მხოლოდ სპორტული პაექრობები როდია. ის დატვირთულია კულტურული ღონისძიებებით, საინტერესო შეხვედრებით. ერთი სიტყვით, ჩოგბურთელთა აქტიურ დასვენებასაც გულისხმობს. მათ ორგანიზებაში კი რამდენიმე წელიწადია, GMC-ის ჯგუფი გვეხმარება.

კიდევ ერთხელ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანსა და ორგანიზაციას, რომლებიც უანგაროდ უდგანან გვერდში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას.

GMC GROUP

BORJOMI

თათია მიქაძე

მეექვსე პირველი

გასულ უქმეებზე ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში **თათია მიქაძემ სოფიო ქვაცაბაია** დაამარცხდა და მთავარი პრიზი მოიპოვა. წინა დღეს კი სწორედ სოფიოსთან ერთად წყვილებში მიაღწია მსგავს წარმატებას.

თათია მიქაძე 23 წლისაა (1988 წლის 27 მარტს დაიბადა თბილისში). თერთმეტი წლის განმავლობაში მამა-შვილ გურამ და ეკა თოხაძეების დახმარებით ეუფლებოდა ჩოგბურთის საიდუმლოებას. დიდ სარბიელზე გასვლის შემდეგ ერთი წელიწადი ამერიკაში იმაღლებდა ოსტატობას. 2007 წელს თბილისის ტურნირის ერთეულთა თანრიგში "ბორჯომის თასი" მოიგო, შარშან ხარკოვის 25-ათასიანზე იყო პირველი, ნლეულს კი, როგორც ვთქვით, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ორი მთავარი პრიზი დაიმსახურა, თუმცა წყვილებში აქამდე ორჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე - ასტანასა და თბილისში სოფიო შაფათავასთან ერთად 25-ათასიან ტურნირებში ყველას აჯობა.

- თბილისის ტურნირამდე ორ შეჯიბრებაში ვიასპარეზე. ბაქოში ერთი წრე გავიარე, მეორეში კი ანა ტატიშვილთან დავმარცხდი, თურქეთში კი პირველივე შეხვედრა წავაგე. ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. ვეცდები, „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ შარშან მოპოვებული 12 ქულა დავიცვა. ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან მოვხვდი, სადაც ორ მეტოქეს ვაჯობე.

- ალბათ, თელავის ტურნირშიც გიხილავთ.

- რა თქმა უნდა. იქაც საკვალიფიკაციოდან გავიკვალავ გზას. კარგია, რომ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ზედიზედ სამი ტურნირის ორგანიზება შეძლო, თანაც საკმაოდ კარგი ფულადი პრიზებით. ახალგაზრდა ჩოგბურთელებს საკუთარი ძალების შესამოწმებლად შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცათ.

- სამომავლოდ რას აპირებთ?

- თელავის შემდეგ ერევანში გავეგზავნები, სადაც 25-ათასიანი ტურნირი გაიმართება. მერე საფრანგეთში ვაპირებ წასვლას. ვეცდები, სეზონი მაჟორულ ნოტზე დავასრულო.

- ოჯახი ხელს არ შეგიშლის?

- პირიქით. ჩემი მეუღლე ბაქარ ცეცხლაძე ყოფილი სპორსტმენია და მაქსიმალურად მეხმარება, რომ ყოველთვის მზად ვიყო საასპარეზოდ. ის რომ არა, ჩოგბურთს, ალბათ, თავს დავანებებდი.

ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ

ჩოგბურთელ ქალთა 10-ათასიანი საერთაშორისო ტურნირის მსვლელობისას თბილისს ეწვია უკრაინის ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, იური საპრონოვის ფონდის საჩოგბურთო პროგრამის დირექტორი **ვსევოლოდ კევლიჩი,** რომელიც ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა:

- ხარკოვის ოლქის ვიცე-გუბერნატორმა იური საპრონოვმა 2008 წელს ჩამოაყალიბა უკრაინის ჩოგბურთელ ქალთა დახმარების ფონდი და იმავე წლიდან ტურნირების სერიასაც ატარებს. ამგვარმა ღონისძიებამ დადებითი შედეგი გამოიღო - ჩვენი ქალები, რომლებიც ევრო-აფრიკულ ზონაში გამოდიოდნენ, ახლა მსოფლიოში მე-6 ადგილზე არიან. ალბათ, ჩვენი მანდილოსნების ამგვარმა წინსვლამ გადააწყვეტინა ახლო წარსულში სახელოვან ჩოგბურთელს ქალბატონ ლეილა მესხს, რომ საპრონოვის ფონდს დაკავშირებოდა. შეჯიბრებები უფრო საინტერესო რომ ყოფილიყო, ჩვენც ვეძებდით პარტნიორს. ქალბატონმა ლეილამ თანამშრომლობა სწორედ ამ დროს შემოგვთავაზა. ასე ვთქვათ, ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ და ორმხრივ სასარგებლო მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი. ეს არის ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და საუკეთესო კონტაქტების თვალსაჩინო მაგალითი. „ბათუმის ნავთობტერმინალის“ თასზე საპრონოვის ჯგუფიდან სამი ჩოგბურთელი ასპარეზობს, მათ შორის - ელენა სვეტულინა, რომელმაც შარშან ახალგაზრდებში როლან გაროსი მოიგო.

ХАРКІВСЬКИЙ МІСЬКИЙ БЛАГОДІЙНИЙ ФОНД ЮРІЯ САПРОНОВА

- თქვენი თანამშრომლობა გაისად თუ გაგრძელდება?

- გადაჭრით რამის თქმა გამიჭირდება, რადგან 2012 წელს უკრაინა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წარმომადგენელებს მასპინძლობს. მატჩები ხარკოვშიც გაიმართება და ახლა მთელი ყურადღება ევროპირველობისკენაა მიმართული, ამიტომ ზაფხულში საჩოგბურთოდ არ გვეცლება. ისე კი, დიდი სურვილი გვაქვს, რომ წლევანდელი პროექტი გაისადაც გაგრძელდეს და თბილისის ტურნირის დაფინანსებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

თელავს ჩოგბურთი ეზეიმება

საქართველო GEORGIA

საქართველოში კარგა ხანია, ჩოგბურთი თბილისის ფარგლებს გასცდა და რეგიონებშიც ნელ-ნელა იდგამს ფესვებს. დასტურად თელავიც გამოდგება. სამი წლის განმავლობაში აქ ქალთა ოცდახუთათასდოლარიანი საერთაშორისო ტურნირები იმართებოდა, წლეულს კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და თანადგომით შეჯიბრების საპრიზო ფონდი უფრო სოლიდური გახდა - 50 ათას დოლარამდე გაიზარდა, რამაც პროფესიონალ ჩოგბურთელთა დიდი ინტერესი გამოიწვია: 26 სექტემბრიდან თელავს 20 ქვეყნის 100-მდე წარმომადგენელი ეწვევა.

- შეჯიბრებისთვის მონდომებით ვემზადებით, - გვითხრა კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა **გიორგი ღვინიაშვილმა.** - სპორტულ სამყაროში ჩვენს კუთხეს უმთავრესად ჭიდაობით იცნობდნენ, ახლა მსოფლიოს ჩოგბურთითაც დავამახსოვრებთ თავს. 50-ათასიანი ტურნირის მასპინძლობა დიდი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც, ამიტომ ყველაფერს ვიღონებთ, სტუმარ-მასპინძლები გულნაკლული არ დავტოვოთ. კორტები და სასტუმროები სრულ წესრიგშია და სტუმართა დასახვედრად მზად ვართ.

ნავთობტერმინალი ძალას იკრებს

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტები საერთაშორისო ტურნირს - „ბათუმის ნავთობტერმინალის“ თასის გათამაშებას (საპრიზო ფონდი 25.000 $) მასპინძლობს. შეჯიბრებას ხუთი წლის წინათ დაედო სათავე აჭარის დედაქალაქში, თუმცა ბათუმში მხოლოდ ორჯერ მოხერხდა მისი ჩატარება. იქაური კორტების უვარგისობის გამო „ნავთობტერმინალმა“ თბილისში გადმოინაცვლა.

აი, რა გვითხრა ბათუმის ნავთობტერმინალისა და ბათუმის საზღვაო პორტის ჯგუფის ხელმძღვანელმა **აბაი ტურიკპენბაევმა:**

„მოხარული ვარ, რომ ჩვენი ჰოლდინგი ტრადიციის ერთგული რჩება და კვლავაც ქალთა ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის სპონსორია. ეს შეჯიბრება ხელს უწყობს როგორც ქართული ჩოგბურთელების კვალიფიკაციის ამაღლებას, სპორტის ამ სახეობის განვითარებას, ასევე ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას. ჩვენი დიდი სურვილია, ასპარეზობა ბათუმს დაუბრუნდეს, რადგან ზაფხულობით მცხუნვარე მზე, სუფთა ჰაერი და ლივლივა ზღვა უფრო მეტ მაღალი რეიტინგის მქონე ჩოგბურთელსა და ტურისტს მოიზიდავს.

შეჯიბრების თბილისში გადატანა ქალბატონი ლეილა მესხის წინადადებითა და დახმარებით მოხერხდა, რომ ის საერთაშორისო ფედერაციის კალენდრიდან არ ამოვარდნილიყო. ახლა კი დროა, „ნავთობტერმინალი“ დაუბრუნდეს აჭარის დედაქალაქს, რომელიც დღითი დღე ლამაზდება და მშვენდება. კორტების მფლობელებსაც საინტერესო პროექტი და იდეები აქვთ. იმედია, ისინი დროულად შეძლებენ ბაზის რეკონსტრუქციას და ბათუმელები დიდი ჩოგბურთით კვლავ გაიხარებენ“...

ახლა კი "ნავთობტერმინალის" გუშინ გამართული შეხვედრების შედეგებს გაგაცნობთ:

ერთეულები. **ლესია ცურენკო (უკრაინა)-ანა შკუდუნი (უკრაინა) 6:1, 6:4, ელინა სვიტოლინა (უკრაინა)-მაია კაციტაძე (რუსეთი) 6:3, 6:1, ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა)-ანდრეა კლეპაჩი (სლოვენია) 6:2, 1:6, 3:1 (მეტოქის უარი), ოლგა იანჩუკი (უკრაინა)-მელანი კლაფნერი (ავსტრია) 6:3,6:3, იონა-რალუკა ოლარუ (რუმინეთი)-მასა ზეკ-პესკირიჩი (სლოვენია) 6:3, 0:6, 6:3, ანდრეა კოჩ-ბენვენუტო (ჩილე)-ანასტასია ვოვკი (რუსეთი) 6:2, 6:1.**

Batumi Oil Terminal

ვლადიმერ ერგი

დიდი ოჯახის სითბო იზიდავთ

მეექვსე წელიწადია, თბილისის საერთაშორისო ტურნირების მთავარი მსაჯია სერბი **ვლადიმირ ერგი.** როგორც თავად ამბობს, საქართველოს დედაქალაქში თავს სტუმრად სულაც არ გრძნობს.

- აქ იმდენი სითბო და სიყვარული მხვდება, რომ თქვენკენ ყოველთვის მომიხარია. ექვსი წლის განმავლობაში საოცრად შეიცვალა საქართველო - უწინდელთან შედარებაც არ შეიძლება.

რაც შეეხება ჩოგბურთს, აქაც იგრძნობა წინსვლა. უწინ თქვენი გოგონები ერთ-ორ წრეს თუ გაივლიდნენ, ახლა კი ბოლო ორი წელიწადია, ფინალში ქართველები ხვდებიან ერთმანეთს. ექვსი წლის წინათ ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი.

ტურნირებზე ძლიერი ჩოგბურთელები იყრიან თავს. ისინი თბილისში მხოლოდ საპრიზო ფონდის ბათრით როდი ჩამოდიან. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები საქართველოში თავს კომფორტულად გრძნობენ, მათ დიდი ოჯახის სითბო იზიდავთ. თანაც შეჯიბრებები, ტრადიციულად, უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული - მოასპარეზეებს ყველა პირობა აქვთ თამაშისა და აქტიური დასვენებისთვის. ეს ყველაფერი ლეილა მესხის დამსახურებაა. თავისი ორგანიზატორული ნიჭი მან ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც დაამტკიცა, სადაც დირექტორად იყო მიწვეული.

თბილისის შემდეგ ჩოგბურთელები თელავში გადაინაცვლებენ, სადაც, ასევე, სითბო და სიყვარული დახვდებათ. ქომაგებსაც საინტერესო პაექრობები ელით. ასე რომ, საქართველოში დიდი საჩოგბურთო ზეიმი გრძელდება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

®

ტყვიის სროლა. მსოფლიოს სუპერთასი

ვერცხლი და შანსი სალუქვაძისგან

ნინო სალუქვაძეს სულ ცოტა დააკლდა, მეათედ მოეპოვებინა მსოფლიოს სუპერთასი - პოლონურ ვროცლავში მიმდინარე ტურნირში ჩვენი მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი 787,8 ქულით მეორეზე გავიდა. თუმცა ეს მცირე დანაკლისი სატურნირო განლაგებიდან ჩანს, თორემ ქულებს თუ გადავხედავთ, ჩვენებურმაც და სხვებმაც გამარჯვების შანსი საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ დაკარგეს, იმდენად ჩამორჩნენ ოლიმპიადის ვერცხლის და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან ჩეხ **ლენკა მარუსკოვას**, რომელმაც შესარჩევი 588 ქულით მოიგო. მეორეზე ბულგარელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მარია გროზდევა** (583) გავიდა, სალუქვაძე (582) კი მესამე იყო.

სალუქვაძე შესარჩევის პირველ ნახევარში ყველაზე ცუდად მეორე სერიაში გამოვიდა, როცა 96 ქულა დააგროვა, პირველსა და მესამე სერიებში კი 98-98 აჩვენა. სამწუხაროდ, სწრაფ სროლებში კიდევ უფრო მოუკლო - პირველ ორ სერიაში 95 და 96 დააგროვა. ბოლოს კი გაარტყა ყველა სულ ათიანში ერთის გარდა და 99 ქულაც მოაგროვა, მაგრამ ჩეხს კი ჩამორჩა გვარიანად. ამხელა უპირატესობის აღმოფხვრა იმთავითვე შეუძლებელი ჩანდა და სალუქვაძის მთავარ საზრუნავად პრიზიორთა შორის მოხვედრა რჩებოდა, რადგან მდევრები კვალში ედგნენ - 581 ქულა ჰქონდათ მონღოლ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონსა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ **გუნდეგმაა ოტრიადსა** და რუს მსოფლიოს ჩემპიონ **კირა კლიმოვას**, 580 - ჩინელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ინ ჩენს**, 579 - ბულარელ **ანტოანეტა ბონევას**. ამ მჭიდროდ განლაგებულ ჯგუფს შედარებით დიდი სხვაობით ჩამორჩა ბოლო სამეული - უკრაინელმა ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ოლენა კოტევიჩმა** მხოლოდ 576 ქულა დააგროვა, ათეულის ორი უტიტულო მონაწილე კი კიდევ უფრო ცუდად გამოვიდა - ჩინელმა **ჯინ იუანმა** 568 ქულით დაასრულა გამოსვლა, ინდოელმა **რაჰი სარნობატიმ** - 560.

საბედნიეროდ, ფინალი სალუქვაძემ მაღალ დონეზე ჩაატარა - 205,8 ქულა დააგროვა და მარუსკოვასაც (202,4) კი აჯობა, თუმცა ჩამორჩა ჩინელ ჩენს (206,9). ფინალი თავიდან კარგად კი დაიწყო, მაგრამ ბოლო ნახევარში ცოტა მოუკლო - პირველ ორ სერიაში ათიოდ ტყვია ათიანის ზონაში მოარტყა, მეორე ნახევრის ათი ცდიდან კი 4-ჯერ - ცხრიანში. საბოლოოდ მარსკოვა 790,4 ქულით ჩემპიონი გახდა, სალუქვაძემ (787,8) ვერცხლი ირგუნა, მესამეზე ჩენი გავიდა (786,9).

სალუქვაძეს ისევ რჩება მსოფლიოს სუპერთასის მეათედ მოპოვების შანსი, რადგან 23 სექტემბერს ბნევმატური პისტოლეტიდანაც ისვრის. შეგახსენებთ, რომ ჩვენი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი მსოფლიოს სუპერთასის ფლობითაც რეკორდსმენია და ოლიმპიადებში მონაწილეობის მხრივაც - გაისად ლონდონში თავის მეშვიდე თამაშებში გამოვა.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

პრეზიდენტიც გახდა და ფინალისტიც

გიგა პაპუაშვილი

ძნელი სათქმელია, გორის ჩოგბურთში დასადგურებული უმოქმედობის თაობაზე ჩვენი კრიტიკული ნერილის გამო მოხდა, თუ დამთხვევაა, მაგრამ გორის სპორტის მესვეურთა ჩოგბურთის კორტებზე სტუმრობა და იქ ტურნირის გამართვა რომ ჩვენ მიერ SOS რუბრიკით ამ სამი კვირის წინათ („ლელო", 29 აგვისტო) გამოქვეყნებულ ნერილს დროის მცირე მონაკვეთში რომ მოჰყვა, ფაქტია. ისე, სასიხარულოა, თუ ქალაქში ასე საქმიანად რეაგირებენ კრიტიკაზე. მოკლედ, რამდენიმე დღეა, რაც ჩატარდა ნელინადზე მეტი ხნით აბსოლიტურად უმოქმედო და უპრეზიდენტოდ დარჩენილი შიდა ქართლის ჩოგბურთის რეგიონალური ფედერაციიის სხდომა. ადგილობრივი ხელისუფლების ნარდგენით პრეზიდენტად აირჩიეს **ანატოლი ავაზნელი.** ახალმა პრეზიდენტმა უმალვე კორტებზე გუბერნატორის თასის გათამაშება ჩაატარა. შეჯიბრებაში პრეზიდენტმა თავადაც მიიღო მონაწილეობა და ფინალშიც გააღწია. ავაზნელს გადამწყვეტი შეხვედრა უნივერსიადის შარშანდელმა პრიზიორმა **გიგა პაპუაშვილმა** მოუგო. საუკეთესოები გაირკვა გოგონებშიც. ფინალში **ლიკა მესროპაშვილს ხატია გოგოლაძე** დაუპირისპირდა და დაამარცხა კიდეც. შეჯიბრებაში ოცამდე ჩოგბურთელი ასპარეზობდა. თითქმის ყველა მათგანი ადგილობრივი მწვრთნელის **ნუგზარ კოპაძის** შეგირდები არიან. ახალმა პრეზიდენტმა როგორც გოგონათა ისე ვაჟთა შორის საუკეთესო სამ-სამ სპორტსმენს ჩოგნები გადასცა საჩუქრად, გამარჯვებულები პაპუაშვილი და გოგოლაძე კი თასებით და 150-150 ლარით დააჯილდოვა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები

კოკოშკოვი და კითხვის ნიშანი

გუშინ რედაქციაში არაერთმა მკითხველმა დარეკა შეკითხვით - რჩება თუ არა **იგორ კოკოშკოვი** საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე?

დაახლოებით ასეთივე კითხვა დავუსვით მწვრთნელს საბერძნეთთან მატჩის შემდეგ. გვაინტერესებდა მისი განწყობა და მოსაზრება საქართველოს ნაკრების შესახებ. გასაკვირი ნამდვილად არ არის საიდან გაჩნდა ეს კითხვა - სერბ სპეციალისტს ხომ ოთხწლიანი კონტრაქტი ევრობასკეტის შემდეგ ამოწურა. მან ჩვენი გუნდი 2008 წელს ჩაიბარა და ჯერ მეორე ლიგიდან ამოიყვანა, შემდეგ ევრობასკეტზე გაიყვანა, სადაც პირველი ჯგუფური ეტაპის ბარიერი დასძლია.

- საქართველოში ოთხი წელია ვმუშაობ, გუნდთან ერთად ბევრს მივაღწიე. მოხარული ვარ, რომ ქართველთა ნაკრების განვრთნამ მომიწია. ასეთ გუნდთან ყოველთვის სიამოვნებით ვიმუშავებ. თუმცა, დარჩენა-არდარჩენაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან ევრობასკეტი ახლა დასრულდა, - გვითხრა იგორ კოკოშკოვმა.

წუხელ საზღვარგარეთ დავუკავშირდით კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, **ბესიკ ლიპარტელიანს**, რომელმაც აღნიშნა:

- მართალია, იგორ კოკოშკოვს კონტრაქტის ვადა ამოეწურა, მაგრამ უსაფუძვლოა ლაპარაკი მის შემცვლელზე. იგორს რომ დავემშვიდობეთ კონტრაქტზე სიტყვაც არ თქმულა. ისიც გააანალიზებს სიტუაციას, ჩვენც ყველაფერს ავნონ-დავნონით და შემდეგ დავილაპარაკებთ. სწორედ ურთიერთსაუბრის შემდეგ გადაწყდება დარჩება თუ არა იგი საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე.

სადღეისოდ საკითხი ასე დგას: ჯერ კალათბურთის ფედერაციამ უნდა შეაფასოს ნაკრების მწვრთნელის მუშაობა და გადაწყვიტოს სჭირდება თუ არა იგორ კოკოშკოვი გუნდს. მერე მწვრთნელს დაელაპარაკება და ბევრი რამ მას შემდეგ გაცხადდება. იგორ კოკოშკოვის მუშაობაზე ყველას საკუთარი მოსაზრება აქვს (ჩემს შეფასებას უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ), თუმცა ერთზე უნდა შევთანხმდეთ: კოკოშკოვმა 2008 წლიდან დღემდე დიდი მოცულობის სამუშაო გასწია და საქართველოს ნაკრებმა სწორედ მის ხელში მიაღწია ისტორიულ შედეგს. თუმცა როგორც თავად ამბობს, ამაში მთავარი როლი კალათბურთელებს მიუძღვით...

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი. სოხუმი

ვეფ რიგასთან მატჩი გადაიდო

21 სექტემბრისთვის რიგაში დაგეგმილი სპარინგ-მატჩი ლატვიის საუკეთესო გუნდ „ვეფ რიგასა" და „სოხუმს" შორის გადაიდო სოხუმელთა მთავარი მწვთნელის, **აინარს ბაგატსკისის** თხოვნით.

- ამის შესახებ მან შეატყობინა მეტოქე გუნდის ხელმძღვანელობას, რომელიც გაგებით მოეკიდა თხოვნას, - გვითხრა რიგაში მყოფმა „სოხუმის" პრესატაშემ **თენგიზ პაჭკორიამ**.

საქმე ისაა, რომ სოხუმელთა სამმა მოთამაშემ ტრავმები ჯერ ვერ მოიშუშა. საწვრთნელ პროცესში ჩართული არ არის **ირაკლი სორდია**, ასევე ტრავმები ანუხებთ **გრეგორი სტიემსმას** და **მიხეილ ბერიშვილს.** ეს ორი კალათბურთელი ვარჯიშობს, მაგრამ სრული დატვირთვით თამაში ჯერ არ შეუძლიათ.

„სოხუმი" რიგაში შეკრებაზე 24 სექტემბრამდე დარჩება, შემდეგ კი თბილისში დაბრუნდება, ევროჩელენჯისა და საქართველოს სუპერლიგის თამაშებისთვის მზადებას შინ განაგრძობს.

ქადრაკი

ალბენური ორი ვერცხლი

მერი არაბიძე

ბულგარეთში დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა. შეჯიბრებაში საქართველოს 29 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათგან მხოლოდ ორმა შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა: 8-წლიანებში **თამარ ესაძემ** მასპინძელ **სალიმოვას** მსგავსად 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მეორე ადგილზე გავიდა. 18-წლიანებში კონტინენტის სამგზის ჩემპიონმა **მერი არაბიძემ** ბოლო ტურში **საბინა გულიევა** კი დაამარცხა, თუმცა მხოლოდ 7 ქულას მოუყარა თავი, ნახევარი ქულით ჩამორჩა მოლდოველ **დიანა ბასიუს** და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა.

თამარ ესაძე

ვაჟა დანელია



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ვეტერანი მოჭიდავე, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ექსტრაკლასის მსაჯი, ღირსებისა და ფილა-ს ორდენების კავალერი

ჯუმბერ დავლიანიძე

და უსამძიმრებს ოჯახს.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ველოსპორტში

ალბერტ თავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და ფსკ „დინამო" დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და მეგობარი, ღვაწლმოსილი მოჭიდავე, ღირსების და ფილა-ს ორდენების კავალერი, ჭიდაობის საერთაშორისო მსოფლიო ფედერაციის ექსტრაკლასის კატეგორიის მსაჯი

ჯუმბერ დავლიანიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ქ. თბილისის ველოსპორტის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ველოსპორტში

ალბერტ თავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უცხოური ფეხბურთი

სადაურსა სად წაიყვან

რაფა ბენიტესმა შეიძლება მოსკოვის სპარტაკი ჩაიბაროს

მოსკოვის "სპარტაკის" მთავარ მწვრთნელად შეიძლება ესპანელი სპეციალისტი **რაფაელ ბენიტესი** დაინიშნოს. ალბათ გახსოვთ, რომ ის 2010 წლის დეკემბერში "ინტერიდან" გათავისუფლების შემდეგ უმუშევარია და ძირითადად მაუწყებლებისთვის კომენტარებით იქცევს თავს. როგორც ვებგვერდი "ინსაიტფუტბოლი" იუწყება, "სპარტაკის" ხელმძღვანელობა მზადაა, რაფას ორწლიან ხელშეკრულებაში ექვსი მილიონი ევრო შესთავაზოს. პირველ ეტაპზე ესპანელს პროგრამა მინიმუმი – რუსეთის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში ღირსეული ასპარეზობა დაევალება. შემდეგ კი, შეიძლება ამბიციები გაეზარდოს. კლუბის ამჟამინდელი აღმასრულებელი დირექტორი, მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებელი **ვალერი კარპინი** წელიწადზე მეტია ისეთ სპეციალისტს ეძებს, ვისაც რეალურად ხელენიფება გუნდის გაძლიერება და მასთან ერთად მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა.

აქვე გეტყვით, რომ პორტუგალიური პრესის ცნობით, "პორტუ" მზადაა მოსკოველებს 25 წლის **ველიტონში** 7 მილიონი ევრო გადაუხადოს. ბოლო პერიოდში თავდამსხმელზე რუსეთში დიდი ზენოლაა, რადგან ის ზედიზედ ორჯერ გააძევეს მეკარეების წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის. პირველ შემთხვევაში მას 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, ანალოგიური საქციელის დუბლებში ჩადენის გამო კი სანქციაზე ჯერ არ უმსჯელიათ.

ამბები

შოვაკოვსკი დაფიქრდა

კიევის "დინამოს" ვეტერანი მეკარე **ალექსანდრ შოვკოვსკი** ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. *"ზოგადად ძალიან არ მიყვარს საკუთარი თავისთვის პირობების დათქმა და ჩემიევნების ჩარჩოებით შეზღუდვა, მაგრამ ცხოვრებაში არსებობს რაღაც, რისი გათვლაც წინასწარ მეტ-ნაკლებად შეიძლება და იცი, როგორ მოიქცევი ამა თუ იმ სიტუაციაში. არ მინდა, კატეგორიული განცხადება გამომივიდეს, მაგრამ ალბათობა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უკრაინის ნაკრებში თამაშს შევწყვეტ, ძალიან დიდია. სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს, რომ მე ეს გადაწყვეტილება შევცვალო. თუმცა ახლა შორეულ მომავალზე ვლაპარაკობთ. ამ ეტაპზე ჩემი ფიქრები მხოლოდ იმას დასტრიალებს, რომ მაქსიმალურად ავიმაღლო ფიზიკური კონდიციები, რათა "დინამოსა" და ნაკრებისთვის საჭირო სტანდარტები დავაკმაყოფილო. და რა იქნება ხვალ და ზეგ, ეგ არავინ იცის. ცხოვრება ხანდახან ძალიან მკაცრად მსჯიდა იმის გამო, რომ სამომავლო გეგმებზე საჭიროზე მეტს ვლაპარაკობდი. ჩვენ მხოლოდ გეგმების დანყობა შეგვიძლია, მათი რეალიზაცია კი მხოლოდ ჩვენზე კი არა, ხშირად ბედზეა დამოკიდებული,"* – აცხადებს 36 წლის ფეხბურთელი.

დისკვალიფიკაცია ჩხუბის გამო

შვეიცარიული "ლოზანის" 29 წლის კონგოელი თავდამსხმელი **მეტ მუსილუ** ქუჩაში ჩხუბისთვის შვეიცარიის საფეხბურთო ლიგამ 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. კურიოზული ის არის, რომ მას მეტოქის ფეხბურთელებთან უსიამოვნება თამაშის შემდეგ ავტომანქანების სადგომზე მოუვიდა. ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა ნარდგენილი მტკიცებულებები და ფეხბურთელი მუშტების ზედმეტად აქტიურად ქნევისთვის სამგალითოდ დასაჯა.

უხეშობა ისჯება

"სპორტუს" 20 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **ჯეიმს როდრიგესმა** "ფეიერენშესთან" შეხვედრაში (0:0) ნერვები ვერ მოთოკა და მეტოქეს უხეშ თამაშზე არასპორტული პასუხი გასცა – მუცელში მუშტი უთავაზა, რაც მატჩის არბიტრს არ გამოჰპარვია. კოლუმბიელმა პირდაპირ წითელი ბარათი მიიღო, რაც ნიშნავს, რომ მას მინიმუმ 2 მატჩით აუკრძალავენ მინდორზე გამოსვლას. თუმცა გამორიცხული არ ის არის, რომ საფეხბურთო ლიგის მიერ დაკისრებული სანქცია ბევრად უფრო მკაცრი აღმოჩნდეს. ამრიგად, სამწუხაროა, მაგრამ პარასკევს "ეშტადიო დრაგაუზე" ჯეიმსი "ბენფიკასთან" "პორტუგალიის დერბის" გამოტოვებს.

ვიტესის მორიგი ტრავმა

"ტრანზონსპორის" 29 წლის სლოვაკი თავდამსხმელი **რობერტ ვიტეკი** დიდი უიღბლო ფეხბურთელია. მან მუხლის ჯვარედინი მყესები კიდევ ერთხელ დაიზიანა და უფეხბურთოდ მთელი 4 თვე მოუწევს გაძლება. "ნიურნბერგში" ვიტეკის ბუნდესლიგური კარიერა ბრწყინვალედ იწყებოდა, გახდა რა გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, მაგრამ ჯვარედინი მყესების ტრავმამ მისი წინსვლა მაშინ პირველად შეაფერხა. გერმანიის შემდეგ მან ბედი "ლილში" სცადა, მაგრამ კარიერა არც იქ აეწყო. 2010 წლის იანვრიდან სლოვაკმა იჯარით თურქულ "ანკარაგიუჯუს" მიაშურა, წელს კი თავი "ტრაბზონში" ამოყო.

ლევან ბიგილაშვილი

ქართული სვეტი

ძიუდო. ეროვნული ნაკრები

ხაბარელი დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდოს ქართველ ქომაგთა ოცნება ასრულდა და **შოთა ხაბარელი** ვაჟთა ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა. ჯერ ყველა დეტალი საბოლოოდ გარკვეული არ არის, მაგალითად, რა ფუნქციას შეასრულებს ავსტრიელი **პეტერ ზაიზენბახერი**, მაგრამ ცნობილია, რომ გუნდში ისიც დარჩება და, სავარაუდოდ, უფრო ფიზმომზადებას გაუძღვება, სავარჯიშო პროცესს კი ხაბარელი წარმართავს. ახლა სწორედ ამ ფუნქციათა გადანაწილებაზე მიდის მსჯელობა, თუმცა გადაწყვეტილია, რომ ავსტრიელი მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება.

ეს ამბები გუშინწინ საღამოს, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **მარიუს ვიზერის** თბილისში სტუმრობისას გაირკვა. ის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე მოიწვიეს, თუმცა მიზეზი სწორედ ეს იყო - კონსულტაციები ზაიზენბახერის შეცვლის თაობაზე. მართალია, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი ალექსიძე** გუშინ გავრცელებულ ხმებს სასტიკად უარყოფდა და ჭორს უწოდებდა (!), თუმცა, იმედია, უკვე ფედერაციაც საქმის კურსშია.

პარიზში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების წარუმატებელმა გამოსვლამ და უსახურმა ჭიდაობამ სპორტის მმართველ წრეებში შოკისმაგვარი რეაქცია

> **მას შემდეგ, რაც ქართული ძიუდოს იაპონურ თარგზე მოჭრის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, ის კვლავაც მშობლიურ საწყისს დაუბრუნდა და მოსავლელად ისევ ძველ გამზრდელს ჩააბარეს**

გამოინვია და ზაიზენბახერის შეცვლაც მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, თუმცა რატომღაც ანგარიშს უწევდნენ ვიზერის ფაქტორს. თავის დროზე ავსტრიელის კანდიდატურა მასთანაც შეათანხმეს - კონსულტაციები გაიარეს, ოღონდ ცოტა გაუგებარია, მისი ფაქტორი ახლაც რატომ ხდებოდა ამდენად მნიშვნელოვანი. ასეა თუ ისე, ახლა წინააღმდეგი არც ის წასულა...

ამდენად, მას შემდეგ, რაც ქართული ძიუდოს იაპონურ თარგზე მოჭრის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, ის კვლავაც მშობლიურ საწყისს დაუბრუნდა და მოსავლელად ისევ ძველ გამზრდელს ჩააბარეს. ძიუდოს ქართველი ქომაგი ხაბარელის დაბრუნებას აქამდეც ითხოვდა, რადგან ჩვენი საქმეც ზუსტად ისე იყო, „თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს პანტასაო". ჰოდა, ისიც დაბრუნდა და გვჯერა, ლონდონის ოლიმპიადაზე შედეგსაც მიაღწევს, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, „მეორედ მოსვლა" ახალი დაპირისპირების საგანიც გახდეს - ჯერ ისევ მძლავრობს სპორტული სამყაროს ის ნაწილი, რომელმაც თავის დროზე ხაბარელი ნაკრებიდან გაუშვა. არაა გამორიცხული, მათ ახლაც მოინდომონ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, მაგრამ იმედია, სახელმწიფო სტრუქტურები ამჯერადაც თავის სიმაღლეზე დადგებიან..

გუშინ ხაბარელსაც დავუკავშირდით, რომელმაც მცირე კომენტარი გააკეთა: *„მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ამ შემოთავაზებას ნამდვილად არ ველოდი. ოლიმპიადამდე ცოტა დროა დარჩენილი, თუმცა, ვფიქრობ, ჩემი გუნდის დახმარებით, რომელთან ერთად ადრეც ვიბრძოდი - მწვრთნელთა ჯგუფი, სამედიცინო ჯგუფი და ასე შემდეგ, მდგომარეობის გამოსწორება და თამაშებზე წარმატების მოპოვება შესაძლებელია. კონკრეტულად ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით, 2-3 დღეში მეტი მეცოდინება".*

მოკლედ, ასეთია სადღეისო ვითარება, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს. ამ ნერილისთვის წერტილის დასმა აქ შეიძლებრდა, რომ არა ერთი გარემოება - რევანშის საფრთხე. ეს შიში მისი დაბრუნების ალბათობას ქვეცნობიერად ყოველთვის თან სდევდა და მით უფრო გაძლიერდება ახლა, როცა მწვრთნელმაც თავისი გუნდი ახსენა. ჩვენ ადრეც ვამბობდით, რომ ხაბარელის გაშვებაც დანაშაული იყო და არც მისი გუნდი იმსახურებდა ისეთ მოპყრობას. განსაკუთრებით - ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **ბორის ფირცხელიანი**, რომელიც მსოფლიოს პირველობიდან ოქროს მედლით დაბრუნდა, მაგრამ მადლობის ნაცვლად ნაკრებიდან გაუშვეს. ქართული ძიუდოსთვის მისი დაბრუნებაც აუცილებლად მიგვაჩნია, როგორც სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელ **გურამ რატიშვილის, ბიძინა მოხევიშვილისა** და **ჯემალ ნათელაშვილისა**. ბუნებრივია, ნებისმიერ მწვრთნელს საკუთარი გუნდი ჰყავს შემოკრებილი და ხაბარელიც თავისუფალი უნდა იყოს არჩევანში. ქართული ძიუდო ასეთ სავალალო მდგომარეობამდე ჩვენმა ისტორიულმა სენმა - შურმა მიიყვანა. გვინდა, ის ამ ცუდ სენზე მაღლა დადგეს და ყველაფერი ციცი გონებით გადაწყვიტოს. დავაკონკრეტებთ - უფრო ასაკობრივ ნაკრებებს ვგულისხმობთ, სადაც კარგი მწვრთნელები მოვიდნენ. ახალგაზრდები, რომლებმაც უკვე, დროის არცთუ ისე ხანგრძლივ მონაკვეთში მიაღწიეს პროგრესს. არც ისინი არ უნდა დავუკარგოთ ქართულ ძიუდოს - მათი ახლებური ხედვა, ახლებური მიდგომაც ძალიან გვჭირდება. ხაბარელმა ამ დაუმსახურებელი მოპყრობის პერიოდში არაერთხელ იგრძნო ხალხის, რიგითი ქომაგის დიდი სიყვარული - მის გამოჩენას ნებისმიერ საზოგადოებაში მუდამ ახლდა ოვაცია. იმედია, ამხელა სიყვარულს, ამხელა დივიდენდს რევანშისტული მიდგომით არ გაფლანგავს. კულუარული ინფორმაციით, ხაბარელმა ზაიზენბახერს უკვე უთხრა, რომ უშუალოდ ნაკრებში მისი სამსახური არ დასჭირდება. სავარაუდოდ, ის დაბრუნების სანაცვლოდ ზემდგომთაგან თავის საქმეებში ჩაურევლობის გარანტიასაც მიიღებდა და ნაკრებში რაც უფრო თავისუფალი იქნება, მით უკეთესი საერთო საქმისთვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხაბარელი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიცაა, ანუ მის ხელში თავს იყრის საკმაოდ დიდი ძალაუფლება - ერთდროულად იქნება გადაწყვეტილების მიმღებიც და აღმასრულებელიც, რაც დემოკრატიულ პრინციპებს გამორიცხავს. იმედია, ფედერაცია ფუნქციებს ამ პრინციპების სრული დაცვით გადანაწილებს.

ირაკლი თავაძე

● ბაიერნი

შემდეგი, თუ შეიძლება!

მხოლოდ ერთი გაშვებული გოლი ექვსი ტურის შემდეგ, რეკორდმაისტერის ახალი რეკორდი და ბრწყინვალე პერსპექტივა



სიხარული მიუნხენურად: ტონი კროოსი და თომას მიულერი

სეზონი ახალი დაწყებულია, მიუნხენის „ბაიერნი“ კი უკვე შეუჩერებელია. ბავარიულმა გრანდმა მორიგი კალენდარული მატჩი შაბათსაც ასპროცენტიანი დამსახურებით მოიგო (2:0 შალკესთან) და ბუნდესლიგაში ახლა უკვე ერთპიროვნული ლიდერია. თუკი ამ სეზონში „ბაიერნის“ მიერ ყველა ტურნირზე ჩატარებულ შეხვედრებს თვალს გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ გელზენკირხენში მიუნხენელებმა ზედიზედ მერვე ოფიციალური მატჩი მოიგეს და რაც ყველაზე საინტერესოა, რვავე შეხვედრაში მშრალი ანგარიშით გაიმარჯვეს. აქვე ერთი საინტერესო ფაქტიც: გერმანიის ჩემპიონატის მომდევნო ტურში რეკორდმაისტერი „ლევერკუზენს“ უმასპინძლებს – გუნდს, რომელსაც ბავარიელთა ამჟამინდელი თავკაცი **იუპ ჰაინკესი** ზაფხულამდე ავარჯიშებდა.

საინტერესოა ისიც, რომ „შალკესთან“ მოგებული მატჩით „ბაიერნმა“ მორიგი რეკორდი დაამყარა. 1972/73, 1992/93 და 2001/02 წლების სეზონებში, მიუნხენურ გრანდს ექვსი ტურის შემდეგ ორ-ორი გოლი ჰქონდა გაშვებული, ახლა კი, მხოლოდ ერთი გოლი აქვს წაგებული, რაც რეკორდია. ესეც რომ არ იყოს, ზედიზედ ხუთმატჩიანი მშრალი სერია ბავარიელებს ბოლოს 2003 წლის დასაწყისში ჰქონდათ. დღეს მიუნხენური კლუბის ბურთების შეფარდება (ბუნდესლიგაში) +17 გახლავთ და ექვსი ტურის შემდეგ ასეთი მაჩვენებელი ბავარიულ გრანდს აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1972/73 წლების სეზონში ჰქონდა.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ გერმანიის ჩემპიონატის ლიდერს გოლი ძალიან დიდი ხანია, არ გაუშვია – ზუსტად რომ ვთქვათ, რეკორდმაისტერის მეკარე **მანუელ ნოიერს** 748-წუთიანი მშრალი სერია აქვს. ზედიზედ რვა თამაშში კარის მშრალად შენახვა შესანიშნავი შედეგია და უკეთესია, ვიდრე 13 წლის წინათ ნაჩვენები შედეგი, 1998 წლის დეკემბრიდან 1999 წლის მარტამდე მიუნხენელებმა კარი მშრალად ზედიზედ შვიდ შეხვედრაში შეინახეს. აქვე გაგახსენებთ, რომ იმ სეზონში ბავარიული გიგანტი შესანიშნავ ფორმაში იყო, მაგრამ სეზონი უიღბლოდ დაასრულა – მართალია, გერმანიის ჩემპიონი გახდა, მაგრამ გერმანიის თასის ფინალი „ვერდერთან“ პენალტების სერიაში წააგო, ჩემპიონთა ლიგის ფინალში კი, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ლეგენდარული მარცხი (1:2) განიცადა.

2002/03 წლების სეზონში მიუნხენელთა კარს **ოლივერ კანი** იცავდა, რომელმაც 803-წუთიანი უგოლო სერია გამოაცხო, რაც მაშინ „ბაიერნის“ ახალი რეკორდი გახლდათ. კანისა და კომპანიის ეს მართლაც გრანდიოზული მიღწევა მალევე გააუმჯობესა „შტუტგარტის“ მეკარე **ტიმო ჰილდებრანდმა**, რომელმაც 2002/03 წლების მიწურულიდან მოყოლებული, პლუს 2003/04 წლების სეზონის საწყის ტურებში კარი მშრალად 884 წუთის მანძილზე შეინახა.

ციფრები ციფრებად, მაგრამ ამას სტატისტიკაც რომ არ მოწმობდეს, ისედაც ცხადია: ჰაინკესის გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და თუ ასე გააგრძელეს, ბავარიელები ამ სეზონს ძალიან კარგად ჩაატარებენ. მიუნხენელთა მომავალი მეტოქე ჰაინკესის ყოფილი გუნდი „ლევერკუზენია“, რომელმაც გასულ უქმეებზე „კიოლნთან“ 1:4 წააგო და წესით, „ბაიერნს“ არც გერმანიის ვიცე-ჩემპიონის დამარცხება უნდა გაუჭირდეს.

რობენმა ვარჯიში დაიწყო, ოლიჩი მალე დაიწყებს

ყურადსაღებია კიდევ ერთი ამბავიც: თუკი ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის დაწყებამ „ლევერკუზენს“ დაღლა დაატყო, „ბაიერნზე“ ამას ნაღდად ვერ ვიტყვით. *„ძალიან კარგ ფორმაში ვართ და რაც ყველაზე მთავარია, ფეხბურთის თამაშით უდიდეს სიამოვნებას ვიღებთ. ახლა იმდენად კარგად ვართ, რომ ნებისმიერ მეტოქეს უდიდესი სიამოვნებით ვეთამაშებით. ეს სეზონი ერთი ამოსუნთქვით უნდა ჩავატაროთ,“* - აცხადებს ბავარიელთა ერთ-ერთი ლიდერი **თომას მიულერი**. ჰაინკესი კი მიიჩნევს, რომ მის გუნდს კიდევ აქვს პროგრესის რესურსი. „დონ იუპის“ თქმით, როცა **არიენ რობენი, მარიო გომესი** და **ივიცა ოლიჩი** გამოჯანმრთელდებიან, რეკორდმაისტერი კიდევ უფრო უკეთ ათამაშდება. აქვე გეტყვით, რომ რობენმა გუნდთან ერთად ვარჯიში უკვე დაიწყო, ოლიჩი კი მზადებას რამდენიმე დღეში განაახლებს. თავად ხორვატს იმედი აქვს, რომ ორ კვირაში მოედანზე გასვლას მოახერხებს.

● დორტმუნდის ბორუსია

კრიზისი, რომელსაც ველოდით

შვიდი თვეა, გერმანიის ჩემპიონს სტუმრად არ მოუგია...

ხანდახან ისეც ხდება, ბედნიერება უბედურებად რამდენიმე წამში გადაიქცევა ხოლმე. მაგალითად, გასულ კვირას, დორტმუნდის „ბორუსიას“ ბედნიერება უბედურებად ზუსტად 116 წამში გადაექცა – გერმანიის ჩემპიონი „ჰანოვერს“ დამსახურებულად უგებდა და შეხვედრის მიწურულს, სწორედ ამდენ წამში მიიღო ორი გოლი, რის შედეგადაც დორტმუნდელები უკვე ოფიციალურად ჩაიძირნენ კრიზისში. მართალია, „ბორუსიაში“ სიტყვა კრიზისი არავის უხსენებია და თუ ჟურნალისტები უხსენებდნენ, კრიზისს მწვრთნელიცა და ფეხბურთელებიც თავის ერთი გადაქნევით უარყოფდნენ, სამაგიეროდ, დორტმუნდში აღარც სიტყვა ჩემპიონობას ახსენებს ვინმე. ისე, დორტმუნდელები ჩემპიონობაზე შარშანაც არ საუბრობდნენ. საბოლოო ჯამში, სატურნირო ცხრილი ყველაფერზე ნათლად მეტყველებს და BVB-ს მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** იმას მაინც არ უარყოფს, რომ ის და მისი შეგირდები ახლა ამაზრზენ სიტუაციაში არიან.

მაინც რა მოხდა ასეთი ჰანოვერში? **შინჯი კაგავამ** „ბორუსია“ რომ დააწინაურა, ეს „შავ-ყვითლებისთვის“ გასვლით მატჩებში 463-წუთიანი უგოლო სერიის შეწყვეტა იყო – სტუმრად „დორტმუნდს“ სწორედ ამდენი ხნის მანძილზე არ ჰქონდა გატანილი. მერე კი, მატჩის მიწურულს ჩემპიონებმა ფეხბურთის თამაში რატომღაც შეწყვიტეს, რითაც „ჰანოვერმა“ ისარგებლა და ერთი შეხედვით გადაწყვეტილ მატჩში ყველაფერი თავდაყირა დადგა.

„სამწუხაროდ, მთლად სწორად აღარ ვთამაშობდით. თუ სასწრაფოდ ისევ ისე არ ვიბრძოლებთ, როგორც შარშან ვიბრძოდით და ბოლო წუთამდე მაქსიმალურად კონცენტრირებულები არ ვიქნებით ხოლმე, უარესები მოგველის,“ - თქვა „ბორუსიას“ მარცხენა მცველმა **მარსელ შმელცერმა**.

„ბოლოს ფეხბურთის თამაში შევწყვიტეთ, ძალიან პასიურები გავხდით და მეტოქეს ლაღად თამაშის შანსი მივეცით. ყველაზე მეტად იმაზე გავბრაზდი, რომ ბურთს ბოლოს უაზროდ ვიგერიებდით და თამაშის წესებსაც მარტივად ვარღვევდით. მოკლედ, კონცენტრაცია მოიშალა, რადგან ალბათ ბიჭებს ეგონათ, რომ თამაში მოგებული იყო,“ - ეს კი მთავარი მწვრთნელის, კლოპის ანალიზია.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: უკვე შვიდი თვეა (!), დორტმუნდის „ბორუსიას“ გასვლითი მატჩი აღარ მოუგია. კლოპის ბიჭებმა სტუმრად ბოლოს თებერვალში გაიხარეს – მაშინ BVB-მ „ბაიერნი“ მიუნხენში შესანიშნავი ფეხბურთით 3:1 დაამარცხა.

კაგავას გოლი 2010 წლის 11 დეკემბრის (2:0 ვერდერთან, მეორე წრეში ტრავმირებული იყო) შემდეგ აღარ გატანა და „ჰანოვერთან“ მაგრად გაიხარა, მაგრამ რად გინდა. არადა, ჰანოვერში მოგებით დორტმუნდელები მე-6 ადგილზე აძვრებოდნენ და ახლა გერმანიის ჩემპიონის კრიზისზე ნაღდად არ ვილაპარაკებდით. დღეს კი, „ბორუსიას“ ექვსი ტურის შემდეგ უკვე იმდენი წაგება აქვს, რამდენიც გასულ სეზონში მხოლოდ 26-ე ტურის შემდეგ ჰქონდა. კრიზისი? რას ამბობთო...

„საუბარი იმაზე, რომ საშინელი სტარტი ავიღეთ, არასწორია, მაგრამ ჩვენ უკმაყოფილოები ვართ, რადგან 6 ტურის შემდეგ იმდენი ქულა არ გვაქვს, რამდენიც უნდა გვქონდეს, - ამბობს კლოპი და ეროს მაინც აღიარებს, - *ფაქტია, რომ ახლა უკვე სერიოზული წნეხის ქვეშ ვართ მოქცეულები.“*

შინჯი კაგავა და ივან პერიშიჩი: დორტმუნდელები ვეღარ დაფრინავენ

მაინცსა და მარსელში შმელცერის გარეშე

მომდევნო ტურში კი გერმანიის ჩემპიონი მაინცში ჩადის. დიახ, სწორედ იურგენის მშობლიურ მაინცში. კლოპისთვის კარგი ისაა, რომ **მარიო გიოტცემ** და **სებასტიან კელმა** დისკვალიფიკაციები მოიხადეს, **სვენ ბენდერი** კი გამოჯანმრთელდა. სამაგიეროდ, „ჰანოვერთან“ დაშავდა მარცხენა მცველი შმელცერი, რომელიც არა მარტო „მაინცთან“, არამედ ჩემპიონთა ლიგაში, მარსელის „ოლიმპიკთანაც“ ვერ ითამაშებს. გუნდის მთავარმა თავდამსხმელმა **ლუკას ბარიოსმა**, რომელიც „დორტმუნდს“ სეზონის დაწყებიდან აკლია (კოპა ამერიკაზე დაშავდა), გუნდთან ერთად ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ ჯერ ფორმაშიც არ არის და უახლოეს ორ მატჩში მისი ასპარეზობა სარისკოა. ბარიოსი მოედანზე საუკეთესო შემთხვევაში 1 ოქტომბერს, „აუგსბურგთან“ შეხვედრაში გავა.

● ჰამბურგი

ვინ გარისკავს, ნუთუ მარკო?

ყიდევ სამი კანდიდატი: სტევენსი, ჰრუბეში და ოლსენი

ვიხაელ იონინგი გათავისუფლებულია და როგორც იცით, „ჰამბურგის“ ხელმძღვანელები ორშაბათის შემდეგ გუნდისთვის ახალ მწვრთნელს ეძებენ. ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** ისეთი სპეციალისტი უნდა იპოვოს, ვინც ამბიციური „ჰამბურგის“ განვრთნას გარისკავს და ჩაიბარებს გუნდს, რომელსაც მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურისთვის უნდა ებრძოლა, მაგრამ 6 ტურის შემდეგ აქტივში მხოლოდ ერთი ქულა აქვს და ცხრილში ბოლო ადგილზეა.

„ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი მწვრთნელი გერმანულ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს. ახლა ჩვენ მხოლოდ ისეთი სპეციალისტი გვჭირდება, რომელსაც ფეხბურთელები პატივს სცემენ და რომელსაც დიდი გამოცდილება ექნება. ექსპერიმენტს ვერ მივმართავთ,“ - ამბობს არნესენი, რომელმაც დროებით მწვრთნელად მოყვარულების დამრიგებელი **როდოლფო ესტებან კარდოსო** დანიშნა. პარასკევს, „შტუტგარტთან“ მატჩში „ჰამბურგს“ სწორედ ეს უკანასკნელი უხელმძღვანელებს. ზოგადად, „ჰამბურგი“ და ამ გუნდის მწვრთნელთა კარუსელი ცალკე სასაუბრო თემაა და ამ საკითხის გარჩევა ახლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ HSV-მ ბოლო 10 წელიწადში 11 მწვრთნელი გამოიცვალა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ გუნდის უბედურება და ქაოსი მხოლოდ სპეციალისტების ბრალი არ არის. ისე, გაზაფხულზე ჩრდილოგერმანულ კლუბში ხელმძღვანელობაც შეიცვალა.

ახლა კი მთავარს დაუბრუნდეთ: ვინ შეცვლის იონინგს? კლუბის ქომაგებისთვის ყველაზე სასურველი სპეციალისტები „ჰამბურგის“ ლეგენდარული თავდამსხმელი **ჰორსტ ჰრუბეში** და ყოფილი დამრიგებელი **ჰუუბ სტევენსი** არიან. ჰრუბეში ახლა გერმანიის 19-ნლამდელთა ნაკრების თავკაცია და მართალია, სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში წარმატებით მოღვაწეობდა, მაგრამ საკლუბო დონეზე კი გამოუცდელი და წარუმატებელია (წვრთნიდა მხოლოდ როსტოკის „ჰანზას“ და დრეზდენის „დინამოს“).

სტევენსმა „ჰამბურგი“ 2007 წელსაც გადაარჩინა, თუმცა 2008-ში გუნდი თავისი ნებით დატოვა. რაც მთავარია, ჰუუბი ახლა უმუშევარია და უკვე თქვა, მზად ვარ, ჰამბურგში ისევ დავბრუნდეო. ჩრდილოგერმანული კლუბის გარდა ჰოლანდიელი ბუნდესლიგაში „შალკეს“ (1997 წელს უეფას თასი მოაგებინა), „ჰერტას“ და „კიოლნსაც“ წვრთნიდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები 62 წლის დანიელი **მორტენ ოლსენის** კანდიდატურასაც მოიაზრებენ, თუმცა ეს უკანასკნელი დანიის ნაკრების დამრიგებელია და ჯერ კიდევ აქვს გუნდის ევროპის ჩემპიონატზე გაყვანის შანსი. ოლსენი არნესენის თანამემამულე და ახლო მეგობარია.

„ბილდის“ ცნობით კი თავად არნესენის ფავორიტი ჰოლანდიელი **მარკო ვან ბასტენია**. ამ უკანასკნელს გუშინ „ველტის“ ჟურნალისტი შეეხმიანა და ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა თქვა, რომ მზად არის, „ჰამბურგთან“ მოლაპარაკებები დაიწყოს, თუმცა იქვე დასძინა, ჯერჯერობით არავის დაურეკავსო. 46 წლის ვან ბასტენი ახლა უმუშევარია. 2004-დან 2008 წლამდე ის ჰოლანდიის ნაკრებს ედგა სათავეში, მერე კი ამსტერდამის „აიაქსს“ წვრთნიდა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური სპორტი

● კალათბურთი. ახალი ამბები


დანილო გალინარი

კობი ბოლონიას მიუახლოვდა

დღეისთვის, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერ **კობი ბრაიანტის** ევროპაში გადაბარგების საკითხში ყველაზე აქტიურია ბოლონიის „ვირტუსი“. ამ კლუბის მფლობელმა **კლაუდიო საბატინიმ** დანვრილებით ილაპარაკა ჟურნალისტებთან NBA-ის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავის სავარაუდო ტრანსფერის შესახებ.

„მე შემიძლია გადავიხადო კობი ბრაიანტის კონტრაქტის 50 პროცენტი, მაგრამ ამ კალათბურთელის ფინანსური მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად დამჭირდება სპონსორებისა და ქალაქის ადმინისტრაციის დახმარება.

საერთო ჯამში, ჩვენ ერთად შეგვიძლია ბრაიანტის გაფორმება, მანუ ჯინობილის გაფორმება და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ჩატარება.

მაგრამ თუ დახმარება არ იქნება, იძულებული გავხდები შევწყვიტო მოლაპარაკებები „ლეიკერსის“ ლიდერთან“, - ამბობს საბატინი „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

■ ■ ■

ამასობაში, კობი ბრაიანტი კეთილი უესტის გაკეთებას აპირებს იმ კალათბურთელებისთვის, რომლებიც ლოკაუტის გამო რთულ ფინანსურ სიტუაციაში იმყოფებიან. კობი „გაჭირვებულ“ მოთამაშეებს ფული ასესხებს.

„ვიცი, რომ ბრაიანტი ბოლომდე არის ჩართული ამ პრობლემატურ სიტუაციაში და მზად არის დაეხმაროს სხვა მოთამაშეებს ლოკაუტის გადატანაში. ის და სხვა ვარსკვლავები აპირებენ ფული ასესხონ იმ მოთამაშეებს, რომლებსაც მსგავსი დახმარება დასჭირდებათ“, - ამბობს მოთამაშეთა პროფკავშირის თავმჯდომარე **ბილ ჰანტერი**.

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, „დენვერ ნაგეტსის“ ფორვარდი **დანილო გალინარი** ლოკაუტის პერიოდში იტალიის ჩემპიონატში ითამაშებს - ის „მილანის“ ღირსებას დაიცავს.

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია, რაც მოთამაშის დაზღვევის საკითხების მოგვარების წყალობით გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ იტალიის ნაკრების ლიდერი NBA-ში გამგზავრებამდე სწორედ „მილანის“ შემადგენლობაში თამაშობდა.

■ ■ ■

ბელგიის „შარლერუა“ ამ ზაფხულს კონტრაქტის გაფორმებას ცდილობდა „ბოსტონ სელტიქსის“ ყოფილ ცენტრთან **შაკილ ო'ნილთან**, რომელმაც გასული სეზონის შემდეგ დაასრულა აქტიური კარიერა.

ბელგიური კლუბი ევროლიგის სტარტის წინ ეძებს მოთამაშეს, რომელიც ეფექტური იქნება ფარქვეშ ბრძოლაში. მაგრამ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდამ უარი თქვა „შარლერუას“ რიგებში გადასვლაზე. შაკმა მიზეზად ჯანმრთელობის პრობლემები დაასახელა.

■ ■ ■

როდ-აილენდის შტატის ქალაქ რუმფორდში, საკუთარ სახლში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 73 წლის ასაკში გარდაიცვალა აღმოსავლეთ კონფერენციის დამაარსებელი და პირველი კომისარი **დეივ გევიტი**.

კალათბურთის დიდების დარბაზის წევრი იმითაც არის ცნობილი, რომ მას ამერიკის ნაკრებისთვის უნდა ეხელმძღვანელა 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე, მაგრამ აშშ-ის გუნდმა იმ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა. მოგვიანებით გევიტი ამერიკის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო.

■ ■ ■

მაკედონიის ნაკრების ცენტრმა **პერო ანტიჩმა** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან“. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში 29 წლის კალათბურთელი სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკის“ ღირსებას იცავდა და საშუალოდ 10 ქულასა და 5 მოხსნას აგროვებდა.

ანტიჩი წლევანდელ ევრობასკეტზე მაკედონიის ნაკრების კაპიტანი იყო და დიდი წვლილი შეიტანა ამ გუნდის ნახევარფინალამდე მისვლაში.

● ჩოგბურთი

ვავრინკამ მწვრთნელი მოიცილა

მსოფლიოს მეცხრე ჩოგანმა, შვეიცარიელმა **სტანისლას ვავრინკამ** გამოაცხადა, რომ შეწყვიტა ურთიერთობა ცნობილ შვედ სპეციალისტთან **პეტერ ლუნდგრენთან**.

„შემიძლია ოფიციალურად გამოვაცხადო, რომ მე და პეტერ ლუნდგრენი ერთად აღარ ვმუშაობთ“, - დაწერა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ვავრინკამ.

„მან დიდი როლი ითამაშა ჩემს კარიერაში და ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი. არ შემიძლია სიტყვები გამოვნახო მადლობის გამოსახატავად, რადგან ჩვენ ერთად ბევრ დიდ წარმატებას მივაღწიეთ“, - ამბობს შვეიცარიელი, რომელიც არ აკონკრეტებს თანამშრომლობის გაწყვეტის მიზეზს.

ლუნდგრენი 1995 წელს, საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ გახდა მწვრთნელი. ვავრინკას გარდა, მას ბევრ ცნობილ ჩოგბურთელთან უმუშავია: *მარსელო რიოსთან, როჯერ ფედერერთან, მარატ საფინთან, მარკოს ბაღდატისთან* და **გრიგორ დიმიტროვთან**.

● ჩოგბურთი

აქაც გაფიცვა იწყება

მამაკაცთა ჩოგბურთში დიდი სკანდალი მწიფდება. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) წამყვანმა მოთამაშეებმა, შესაძლოა, მომავალ კვირას გაფიცვა გამოაცხადონ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ასოციაცია და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) არ შეამცირებენ მომავალ წელს ტურნირების რიცხვს. მოთამაშეთა წარმომადგენლები, აგრეთვე ATP-სა და ITF-ის ოფიციალური პირები შანხაიში მასტერსის სერიის ტურნირის წინ შეხვდებიან ერთმანეთს.

ბრიტანელმა ვარსკვლავმა **ენდი მიურეიმ** ჟურნალისტებს განუცხადა იმის შესახებ, რომ პლანეტის წამყვანი ჩოგბურთელები მომავალ კვირას შეიკრიბებიან, რათა შესაძლო გაფიცვის შესახებ იმსჯელონ - ეს აქცია მიმართული იქნება ძალიან მჭიდრო კალენდრის წინააღმდეგ. ამის შესახებ BBC-მ დაწერა.

მიურეის სიტყვებით, ასეთი გაფიცვის ჩატარების ალბათობა საკმაოდ მაღალია. *„რამდენიმე მოთამაშეს ველაპარაკე, რომლებმაც მითხრეს, რომ არ ეშინიათ ამ ნაბიჯის გადადგმის,* - განაცხადა ბრიტანელმა. - *იმედი გვაქვს, რომ ასეთი რამ არ მოხდება, რადგან დარწმუნებული ვარ - დაპირისპირებული მხარეები ყველაფერზე მოილაპარაკებენ“.*

ATP-ისა და ITF-ის წარმომადგენლებთან შეხვედრა შანხაიში მომავალ კვირას გაიმართება, სადაც 9 ოქტომბერს სტარტს აიღებს მასტერსის სერიის უმსხვილესი ტურნირი საპრიზო ფონდით - 3.24 მილიონი დოლარი. სწორედ იქ წამოაყენებენ ჩოგბურთელები თავიანთ მოთხოვნებს, რომლებიც ATP-მა და ITF-მა უნდა დააკმაყოფილონ.

მიურეის თქმით, მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, წამყვანი ჩოგბურთელები გამოვლენ ორივე ორგანიზიციიდან და შესაბამისად, არ ითამაშებენ მათი ეგიდით ორგანიზებულ ტურნირებში.

„ამ კვირას ITF-ში მომუშავე რამდენიმე თანამშრომელს ვესაუბრე. ვფიქრობ, ისინი აცნობიერებენ პრობლემას და სერიოზულად აღიქვამენ ჩვენი მხრიდან სავარაუდო საფრთხეს“, - განაცხადა მიურეიმ.

ბრიტანელი უხსნის ჟურნალისტებს, რომ მას და მთელ რიგ ჩოგბურთელებს სურთ სეზონში ორი-სამი თავისუფალი კვირა ჰქონდეთ, აგრეთვე თანდათან შეამცირონ წლის განმავლობაში ტურნირების რაოდენობა. მისი აზრით, მოთამაშის ორგანიზმი სერიოზულად იფიტება უამრავი დაძაბული და ხანგრძლივი მატჩის შემდეგ, ხშირია ტრავმები, ხოლო ჩოგბურთელებს არ აქვთ შესაძლებლობა სრულფასოვნად მოემზადონ შემდეგი მატჩისთვის ან ტურნირისთვის. ბრიტანელმა მაგალითად მოიყვანა ცოტა ხნის წინ დასრულებული ამერიკის ღია პირველობა, რომელშიც ბევრმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო ტრავმების გამო მატჩების დასრულება.

ენდი მიურეი

● ფორმულა 1

კუბიცას ბედი გადაწყვეტილია?

გოლო დროს გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, „ლოტუს-რენო“ აპირებს, რაც შეიძლება სწრაფად დაადგინოს მომავალი სეზონისთვის საპრიზო პილოტების შემადგენლობა. ავტორიტეტული გერმანული ჟურნალი Auto Motor und Sport ცდილობს გააანალიზოს, რა დგას ასეთი აჩქარების უკან...

გუნდის ხელმძღვანელმა **ერიკ ბულიემ** ამას წინათ განაცხადა, რომ დაახლოებით ოქტომბრის შუაში დაასახელებს მომავალი ჩემპიონატის შემადგენლობას - სწორედ იმ პერიოდისთვის აპირებს მძიმე ტრავმების შემდეგ გამოჯანმრთელებული პოლონელი **რობერტ კუბიცა** სარბოლო სტიმულატორის საჭესთან დაჯდომას.

„ლოტუს-რენო“ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან გუნდებს შორის, რომელსაც მეტად მომხიბვლელი ვაკანსია გააჩნია მომავალი სეზონისთვის. ამ გუნდში მოქმედი კონტრაქტი მხოლოდ რუს **ვიტალი პეტროვს** აქვს, მეორე პილოტის ადგილზე კი რეალურად პრეტენზიას მინიმუმ ორი მრბოლელი - **ბრუნო სენა** და **რომან გროსჟანი** აცხადებს.

„შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოქტომბრის შუაში რობერტ კუბიცა საბოლოოდ ვერ იტყვის - მზად იქნება თუ არა ის 2012 წლის ჩემპიონატისთვის. რადგან გუნდმა გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადა უკვე დაასახელა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „ლოტუს რენომ“ უარი თქვა პოლონელის კანდიდატურაზე?“ - სვამს კითხვას Auto Motor und Sport.

რობერტ კუბიცა

თეორიულად, ამ ვაკანსიით შეიძლება კიდევ რამდენიმე პილოტი დაინტერესდეს: მაგალითად, ვინმე „რედ ბულის“ ახალგაზრდული პროგრამიდან, ვისაც გარანტირებული არ აქვს ადგილი „ტორო როსოში“, აგრეთვე გერმანელები **ადრიან სუტილი** და **ნიკო ჰიულკენბერგი**... გარდა ამისა, „უილიამსში“ უნდა გადაწყვიტონ, ვინ გახდება ვენესუელელი **პასტორ მალდონადოს** მეწყვილე 2012 წელს, რადგან არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ კონტრაქტის გარეშე დარჩეს ბრაზილიელი ვეტერანი **რუბენს ბარიკელო**.

ყველა მიზეზი, რომელიც 2012 წლის ჩემპიონატისთვის აპირებს სტარტზე გასვლას, სწორედ „უილიამსთან“ ან „ლოტუს-რენოსთან“ და არა „ვირჯინთან“ ან HRT-სთან შეეცდება მოლაპარაკებას. კუბიცა შეიძლება იყოს დაინტერესებული „უილიამსთან“ თანამშრომლობით, მაგრამ პოლონელს სპონსორები არ ჰყავს, რომლებიც შეძლებდნენ ბრიტანული საჯინიბოს ბიუჯეტის შევსებას. გარდა ამისა, „უილიამსის“ სახელს უკავშირებენ ადრიან სუტილის კანდიდატურას, რადგან მას გერმანული კომპანია Medion-ის სახით პერსონალური სპონსორი ჰყავს. ჭორების მიხედვით, ადრიანი ცოტა ხნის წინ გროუვში გუნდის ბაზას ესტუმრა, მაგრამ „უილიამსის“ წარმომადგენლებმა უარი თქვეს ამ ინფორმაციის კომენტარზე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

კრივი



ნოკაუტის წინ

საკრივო სამყარო ორად გაიყო

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხარე კამათი გამოიწვია **ფლოიდ მეივეზერის** საქციელმა **ვიქტორ ორტისთან**. ბრძოლის მსვლელობისას - მან მეტოქეს მაშინ მოუქნია ხელი, როცა ის დაუცველი იყო. ზოგიერთნი, მაგალითად, **მენი პაკიაო** და მისი მწვრთნელი **ფრედი როუჩი** მიიჩნევენ, რომ ფლოიდი უმსგავსოდ და მზაკვრულად მოიქცა, სხვები, მათ შორის **რიკარდო მაიორგა** და **პოლ მალინიაჯი** ამბობენ, რომ მეივეზერის ადგილას ზუსტად იმავეს გააკეთებდნენ.

XXI საუკუნეში რთულია ისეთი ბრძოლების გახსენება, რომელსაც ისეთივე დიდი აჟიოტაჟი გამოეწვიოს, როგორც დაუმარცხებელი ფლოიდ მეივეზერისა და ვიქტორ ორტისის შეხვედრამ. რა თქმა უნდა, აქ არ ყოფილა ყურის მოჭმა ან რაიმე სხვა კოშმარული სცენა, მაგრამ ამერიკელთა ბრძოლამ ისეთი მღელვარება გამოიწვია, რომელიც კიდევ დიდხანს არ ჩაცხრება.

როგორც უკვე ვწერდით, მეოთხე რაუნდში მეივეზერმა ორტისისთვის თავით ნიკაპის არეში აკრძალული დარტყმის გამო შურისძიება გადაწყვიტა. ფლოიდმა მომაკვდინებელი ორმაგი დარტყმა მაშინ შეასრულა, როცა ორტისი მეტოქისთვის ბოდიშის მოხდას ცდილობდა და ხელები დაშვებული ჰქონდა, ანუ აბსოლუტურად დაუცველი იყო. უფრო მეტიც, ფლოიდის მრისხანება საკუთარ თავზე ინვნია კრივის ჟურნალისტების გურუმ, **ლარი მარჩანტმა**. საბედნიეროდ, მხოლოდ სიტყვებით. *"კრივში არაფერი გესმის, დროა სამსახურიდან დაგითხოვონ"*, - პირში მიახალა ჩემპიონმა 80 წლის რეპორტიორს.

საჩემპიონო ბრძოლის ასეთი სკანდალური დასასრულის შემდეგ კრივის სამყარო მეივეზერის დამცველებად და მოწინააღმდეგეებად დაიყო.

ამ უკანასკნელთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მენი პაკიაო. *„სპორტული თვალსაზრისით, ფლოიდი მუხანათურად მოიქცა"*, - მიიჩნევს ფილიპინელი. მაგრამ ამასთან, მენის მეივეზერის მოქმედებაში რაიმე უკანონობა არ შეუმჩნევია. პაკიაო, როგორც ყოველთვის, სიტყვაძუნწი იყო - როგორც ჩანს, ის შეურაცხმყოფელი ფრაზები, რომელიც მეივეზერის მხრიდან მისი მისამართით ისმის, სულაც არ აღელვებს ფილიპინელ მოკრივეს. სხვათა შორის მეივეზერს მენის "კეთილი სიტყვებით" მოხსენიება არც ორტისთან ბრძოლის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე დავიწყებია: *"ამ ბიჭს ჩხუბი არ უნდა, ერთადერთი, რასაც აკეთებს, ჩემ მიერ მონელებულ მოკრივეებს ხვდება - რიკი ჰატონს, ოსკარ დე ჰოიას, შეინ მოზლის..."*

პაკიაოს მწვრთნელი ფრედი როუჩი შეგირდს დაეთანხმა. მისი აზრით, ორტისის ნოკაუტში რეფერი **ჯო კორტესიცაა** დამნაშავე.

"მე არ გამიგია ბრძოლის განახლების ნიშანი. ვფიქრობ, კორტესმა დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე", - მიაჩნია მწვრთნელს. თუმცა თავად კორტესი ამბობს, რომ მან მისცა მოკრივეებს ბრძოლის განახლების ნიშანი. *"უბრალოდ, ორტისმა გადაწყვიტა ბოდიში მოეხადა და მეივეზერმა ამით ისარგებლა,* - ახსნა სიტუაცია რეფერიმ. - *ნოკაუტი წესების სრული დაცვით ჩაითვალა.*

არსად წერია, რომ იქამდე, სანამ ჩხუბს გააგრძელებენ, მოკრივეები ერთმანეთს უნდა გადაეხვიონ და ბოდიშები იხადონ".

მეივეზერის ღირსების ერთ-ერთი მთავარი დამცველი აღმოჩნდა მისი ბიძა, წარსულში ცნობილი მოკრივე **როჯერ მეივეზერი**, რომელმაც გვარიანად გამოლანძღა ძმისშვილის მეტოქე. *"თავიდანვე ვიცოდი, რომ ყველაფერი სწორედ ასე დასრულდებოდა. ამ motherf**ker ორტისს ჩხუბი არ უნდოდა!"*

ვიქტორს ახალი ჩემპიონის მამისგან – **ფლოიდ მეივეზერ-უფროსისგანაც** "მოხვდა". *"პატარა ფლოიდმა სწორედ ის გააკეთა, რაც ასეთ სიტუაციაში მოკრივეს მოეთხოვება. თუ მსაჯი ამბობს, რომ უნდა იჩხუბოთ, მაშინ სწორედ ასე უნდა მოიქცეთ. ორტისმა კი მიიღო ის, რასაც იმსახურებდა"*, - განაცხადა მან Fighthype.com-ზე და თან უწმაწური სიტყვებიც მრავლად იხმარა.

„ამ ბრძოლაში ორტისის მხრიდან თავით სამი დარტყმა დავთვალე, - ეს უკვე ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის პოლ მალინიაჯის სიტყვებია. - *ასეთ შემთხვევაში ნორმალური ზრდასრული ადამიანი ამბობს: „F**k you! მე შენთან მეგობრობას არ ვაპირებ და ეხლა მიიღეს საკადრისს!"*

კიდევ ერთი ექსჩემპიონი, ნიკარაგუელი რიკარდო მაიორგაც მეივეზერის მხარდაჭერით გამოვიდა. *„მეივეზერის ადგილას მეც იმავეს გავაკეთებდი,* - თქვა მან. - *ფლოიდმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა და პრეტენზია არავის არ უნდა ჰქონდეს. ორტისი თავად არის დამნაშავე. მას ყურადღება არ უნდა მოედუნებინა"*.

საგულისხმოა, რომ სკანდალური ბრძოლის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა ლარი მარჩანტმა იმ ინციდენტის ანალიზის დროს მხოლოდ ტექნიკურ ასპექტს მიაქცია ყურადღება.

ჟურნალისტმა დაწვრილებით გაარჩია მეტოქეთა მოქმედება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეივეზერმა მოულოდნელი, მაგრამ არააკრძალული დარტყმა განახორციელა. და კიდევ, ფლოიდი მისთვის დამახასიათებელი სტილით მოქმედებდა. 80 წლის მარჩანტმა თავი შეიკავა კონფლიქტის გამწვავებისგან, თუმცა შეგახსენებთ, რომ რინგზე არ მორიდებია მოკრივისთვის საკადრისი პასუხი გაეცა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

TV პროგრამა

21 სექტემბერი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 იტალიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. V ტური. ვილიარეალი-მალიორკა.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. IV ტური. ნოვარა-ინტერი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. VII ტური. ბორდოლილი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ლიგის თასი. III ეტაპი. ლიდსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. V ტური. რასინგი-რეალი (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. V ტური. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბეტისი.
12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როჯერ ფედერერი-რიშარ გასკე. დუბაი. საემიროები.
13:15 ბადმინტონი. მსოფლიოს თასი. ფინალები. ლონდონი. ბრიტანეთი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როჯერ ფედერერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. დუბაი. საემიროები.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლეკბერნი-არსენალი.
19:50 მძლეოსნობა. IAAF-ის სერია - World Challenge. რიეტი. იტალია.
22:20 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. IV ტური. მილანი-უდინეზე (LIVE).
00:45 გოლფი.

GMG-სპორტი 2

16:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედ-ჩელსი.
18:00 ჩოგბურთი. როლან გაროსი 2011.
21:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. პერუ-ჩინეთი. შვეიცარია.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. IV ტური. იუვენტუსი-ბოლონია (LIVE).

I არხი

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-დინამო (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-რეალი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-უდინეზე (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

17:55 ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. რუსეთი-შვედეთი. დანია (LIVE).
19:55 ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. საფრანგეთი-ნორვეგია. დანია (LIVE).
22:40 ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. III რაუნდი. ჩელსი-ფულჰემი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

22:40 ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. III რაუნდი. ბრაიტონი-ლივერპული (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

13:00 ATP-ის ტური. ბუქარესტი. რუმინეთი (LIVE).

SPORT+

22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ბოლონია (LIVE).

EUROSPORT

14:30 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. დროზე განცალკევებული რბოლა. კაცები. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).

EUROSPORT-2

14:30 კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. საკვალიფიკაციო რაუნდი. ინდოეთი (LIVE).
17:45 ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
19:45 კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. საკვალიფიკაციო რაუნდი. ინდოეთი (LIVE).

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

კონფერენსი

ალფერტონი-ბაროუ	2:1
ბეტი-ლუტონი	1:1
კემბრიჯი-ებსფლიტი	2:0
ფლიტვუდი-კიდერმინსტერი	5:2
გრიმსბი-კეტერინგი	2:1
ჰეიესი-ბრენტრი	1:2
ლინკოლნი-გეიტშიდი	1:0
მენსფილდი-ტელფორდი	1:1
ნიუპორტი-სტოკპორტი	1:1
საუთპორტი-რეიხემი	0:0
ტამუორტი-ფორესტ გრინი	0:1
იორკი-დარლინგტონი	2:2

ინგლისი

ლიგის თასი. III რაუნდი

ალდერშოტი-როჩდეილი	2:1
არსენალი-შრიუსბერი	3:1
ასტონ ვილა-ბოლტონი	0:2
ბარნლი-მილტონი	2:1
ლიდსი-მანჩესტერ იუნ	0:3
ნოტინგემი-ნიუკასლი	2:2 დ.დ. 3:4
სტოკი-ტოტენჰემი	0:0 პენ. 7:6
ვულვზი-მილუოლი	5:0
ბლეიბერნი-ლეიტონი	3:2
კრ. პალასი-მიდლსბრო	2:1

იტალია

ნოვარა-ინტერი	3:1

ესპანეთი

ოსასუნა-სევილია	0:0
სოსიედადი-გრანადა	1:0
ვილიარეალი-მალიორკა	2:0

საფრანგეთი

ბორდო-ლილი	1:1

II დივიზიონი

ამიენი-ლავალი	1:0
ბულონი-მინგამი	2:0
კლერმონი-ტური	0:1
ისტრი-შატორუ	3:1
ლანსი-ანჟერსი	0:0
მეცი-ნანტი	1:3
რეიმსი-ბასტია	1:0
ტრუა-სედანი	1:1
ჰავრი-ლე მანი	1:1

პოლანდიის თასი

მონფროოტი-სპარტა	1:6
ვენლო-ჰერენვეენი	0:2
ფეიენოორდი-აპელდორნი	4:0
არკ-მაასტრიხტი	0:8
ბენეკომი-როდა	1:6
კამბური-ცვოლე	0:1
ევვ-ტოპ ოსი	1:5
ექსელსიორი31-ექსელსიორი (რ)	0:5
ფორტუნა-ნიიმეგენი	2:2 დ.დ. 2:4
იგლზი-ჰელმონდი	1:1 დ.დ. 3:1
ჰარკემასი-ვილემი	2:2 დ.დ. 4:2
ისელმეერფოგელსი-დორდრეჰტი	0:2
სპარტა (ნ)-სტაფორსტი	1:1 დ.დ. 4:2
ვაკე ემენი-დენ ბოში	1:2
ცვალუვენი-ვეენენდაალი	1:2
ვიტესი-ბრედა	0:0 პენ. 5:4

ბელგიის თასი

კორტრიკი-ანტვერპენი	1:1 პენ. 6:5
ტუბიცე-ვონსი	0:3

შოტლანდია

ლიგის თასი

აბერდინი-ისტ ფაიფი	3:3 პენ. 3:4
ეირდრი-დანდი იუნ	0:2
კილმარნოკი-ქუინი	5:0
მოზერველი-ჰიბერნიანი	2:2 პენ. 6:7
სტ. ჯონსტონი-სტ. მირენი	0:2

დანიის თასი

აარსი-ჰერლევი	2:5
ჰვიდოვრე-აგფ ორჰუსი	2:2 პენ. 8:9

ავსტრიის თასი

უნიონი-აუსტრია (ლ)	0:7
დორნბირნი-გრიოდიგი	0:2
რაპიდი A-სტ. ანდრე	4:2
აუსტრია A-ლინცერი	0:5
პარნდორფი-ადმირა	0:1
სტ. ფლორიანი-გლაუ ვაისი	0:2
ამსტეტენი-ლუუზტენაუ	2:2 დ.დ. 2:4
გოტცენდორფი-რიდი	2:3
ვილახი-ჰარტბერგი	1:1 დ.დ. 1:2

თურქეთი

ფენერბაჰჩე-მანიზა	1:1
გაზიანთეფი-ძაისერი	1:2
ბუიუძსეჰირი-ორდუ	1:1

ირლანდია

II დივიზიონი

უოტერფორდი-კორკი	1:3

ირლანდიის თასი

ბოჰემიანი-ფანდონკა	1:0

რუსეთის თასი

ფაკელი-გაზპრომი	2:0

სლოვენია

დომჟალე-რუდარი	2:3

არგენტინა

არსენალი-ოლ ბოისი	1:2

პოკერი

კელ

ტორპედო-ვიტიაზი	2:3

გერმანია

კიოლნი-აუგსბურგი	1:2 (ო)

დანია

ესბერგი-როდოვრე	0:1
ოდენსე-ფრედრიკშავნი	3:2 (ბ)
ოლბორგი-ჰვიდოვრე	7:4
სენდერიისკი-ჰერნინგი	3:1

ნორვეგია

მანგლერუდი-ვოლერენგა	1:7

სლოვაკეთი

ჟილინა-პოპრადი	0:5
მარტინი-ნიტრა	5:2
სკალიცა-ტრენჩინი	2:1
ბისტრიცა-ზვოლენი	3:4 (ო)
კოშიცე-სლოვანი	5:1

უნიფეთი

ილვესი-ტას	1:4
იოკერიტი-ჰპკ	6:0
კერპეტი-ლუკო	4:1
ესეტი-ჰელიკანსი	1:2 (ო)

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-ლიტვინოვი	2:1 (ო)
ჟლინი-კლადნო	2:3 (ო)
ბოლესლავი-სლავია	1:5
ბუდეიოვიცე-ტრშინეცი	4:3
ბრნო-პლზენი	3:2 (ო)

ჰეიზეიზარია

დავოსი-ბილი	4:3
ლუგანო-ბერნი	3:4
სერვეტი-ამბრი	2:3
ფრიბურგი-ლანგნაუ	4:5
ცუგი-რაპერსვილი	7:0
ციურიხი-კლოტენი	0:5

ჩოგბურთი

ATP. ბუქარესტი

სერა-ნასო	6:2, 6:4
ჯანესი-მონტანიესი	7:5, 6:4
ბერლოკი-ჰაიდერ მაურერი	6:2, 6:1
ჰანესკუ-**რამოსი**	4:6, 3:6
ანდრეევი-ტორებკო	5:7, 6:4, 7:5
კოპილი-კრივოი	6:3, 6:3
მაშადო-**ვოლანდრი**	3:6, 3:6
სეპი-პროდონი	6:1, 4:6, 6:1
როსოლი-**უნგური**	4:6, 1:6

ATP. მეცი

პერი-გოლუბევი	7:5, 6:2
სისლინგი-დიმიტროვი	6:2, 6:2
კუკუშკინი-**როდრიგესი**	2:6, 6:3, 4:6
ო. როხუსი-რობერი	6:1, 6:3
კამკე-**რენავანდი**	5:7, 4:6
მაუ-ხუნკეირა	6:3, 6:2
ბერერი-**მალისე**	4:6, 6:3, 4:6

WTA. გუნაგჯოუ

ჰსიე-ლუ	6:0, 6:2
სევასტოვა-**სხეპერსი**	5:7, 6:1, 3:6
რიბარიკოვა-კრეიბასი	6:3, 4:6, 6:2
ლუჟანსკა-იოვანოვსკი	6:3, 4:6, 7:6
ჟანგი-**რეზაი**	2:6, 6:7
ჩანი-პერვაკი	4:1 უარი
სუ-**მინელა**	6:2, 6:7, 0:6
კორიტცევა-**ბრემონი**	1:6, 3:6
ჟაო-დოი	6:4, 6:3
სუნი-**დიასი**	1:6, 4:6
ჰანი-**გაიდოშოვა**	2:6, 1:6
კირილენკო-ა. ბონდარენკო	6:4, 6:2
ბრიანტი-**ჟენგი**	6:7, 4:6

WTA. სეული

კინგი-დატე	6:2, 6:2
ბენეშოვა-იაკიმოვა	6:3, 6:2
ტანასუგარნი-**შვედოვა**	2:6, 0:6
სუარეს ნავარო-ბირნერროვა	6:4, 6:4
დანილიდუ-კიმი	4:6, 6:2, 7:5
ვოსკობოევა-მაკაროვა	6:4, 6:4
ბეგუ-ამანმურადოვა	6:1, 6:3
კუკოვა-**ჰერცოგი**	0:6, 2:6
სკიავონე-**დუშევინა**	6:7, 2:6
სემა-**გორჯესი**	1:6, 1:6
როტმანი-**პლიშკოვა**	1:6, 5:7
ლაგოსტერა ვივესი-**ბარტოლი**	2:6, 2:6
მარტინეს სანჩესი-ფალკონი	6:3, 6:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



ფედერერი: ყველაზე პატივსაცემი და სანდო

შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** მეორე ადგილი დაიკავა სოციოლოგიურ გამოკითხვაში, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე პატივსაცემი და სანდო ადამიანი უნდა გამოვლინა. გამოკითხვა ამერიკულმა Reputation Institute-მა ჩაატარა. ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა გამოკითხვაში მხოლოდ სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტ **ნელსონ მანდელასთან** წააგო.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 25 ქვეყნის 50 ათასმა ადამიანმა. ფედერერის გარდა, სპორტსმენთაგან რეიტინგის პირველ ოცდაათეულში შეიყვანეს ამერიკელი ბეისბოლისტი **დერეკ ჯეტერი** (მე-16 ადგილი), ინგლისელი ფეხბერთელი **დევიდ ბექჰემი** (24-ე ადგილი) და ამერიკელი კალათბურთელი **ლებრონ ჯეიმსი** (25-ე ადგილი).

გამოკითხვამ ასეთი პირველი ათეული შეადგინა

1. ნელსონ მანდელა (პოლიტიკოსი, ს. აფრიკა) - 78,5 ქულა
2. როჯერ ფედერერი (ჩოგბურთელი, შვეიცარია) - 72,1
3. ბილ გეიტსი (ბიზნესმენი, აშშ) - 71,7
4. უორენ ბაფეტი (ბიზნესმენი, აშშ) - 69,7
5. რიჩარდ ბრენსონი (ბიზნესმენი, ბრიტანეთი) - 68,3
6. სტივ ჯობსი.(ბიზნესმენი, აშშ) - 68,3
7. ოპრა უინფრი (ტელეწამყვანი, აშშ) - 67,7
8. ბოგო (მუსიკოსი, ირლანდია) - 67,7
9. რატან ტატა (ბიზნესმენი, ინდოეთი) - 66,3
10. ელიზაბეტ II (ბრიტანეთის დედოფალი) - 64,9

ახლა ქორწილიც შეიძლება

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** განაცხადა, რომ ზურგის კუნთის ტრავმა, რის გამოც მან დევისის თასზე **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** მატჩის დასრულება ვერ შეძლო, სერიოზული არ არის, მაგრამ გარკვეული დრო დასჭირდება დასვენებისთვის.

ტკივილის მიუხედავად, ნოვაკი ცდილობდა ნახევარფინალში თავის გუნდს დახმარებოდა, მაგრამ რეიტინგის ლიდერი იძულებული გახდა მეორე სეტში შეეწყვიტა თამაში, რაც არგენტინის ნაკრების ფინალში გასვლას ნიშნავდა.

ჯოკოვიჩი ადრეც აღნიშნავდა, რომ ზურგთან დაკავშირებული პრობლემები მას ამერიკის ღია პირველობის დაწყებისთანავე ანუხებდა. ახლა ის არ გამორიცხავს, რომ უარი თქვას შანხაისა და პეკინის სუპერტურნირებში გამოსვლაზე.

„იმედი მაქვს, რომ იმ დროისთვის მწყობრში ჩავდგები, - ამბობს ჩოგბურთელი. - *თუმცა არ ვაპირებ ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დავაყენო, ამიტომაც დარწმუნებით რაიმეს თქვა არ შეიძლება. ზუსტად ვერ ვიტყვი, რამდენი ხანი დავისვენებ“.*

წარმოქმნილმა იძულებითმა პაუზამ, შესაძლოა, ჯოკოვიჩს საშუალება მისცეს თავის დიდი ხნის მეგობარ გოგონაზე **ელენა რისტიჩზე** იქორწინოს. ადრე სერბი აცხადებდა, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე სურს ამ საკითხში გარკვევა.

ნოვაკ ჯოკოვიჩი

ფინალი ყველას უნდა

ამასწინა, რამდენიმე ესპანურმა ქალაქმა გამოთქვა 2-4 დეკემბერს დევისის თასის ფინალის მასპინძლობის სურვილი. ერთ-ერთმა პირველმა ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციას ამ თხოვნით ვალენსიამ მიმართა. საინტერესოა, რომ, როცა ესპანურ მხარეს საფრანგეთთან ნახევარფინალის მასპინძელი ქალაქის ძიებისას პრობლემები შეექმნა, ვალენსია ერთ-ერთი იყო იმ ქალაქებიდან, რომელმაც მატჩის ორგანიზებაზე უარი განაცხადა. ახლა რეგიონულ საჩოგბურთო ფედერაციაში ამბობენ, რომ ეჭვი არ ეპარებოდათ ესპანეთის ნაკრების გამარჯვებაში და სწორედ გადამწყვეტი მატჩის მასპინძლობა სურდათ, ესპანეთის ფედერაცია კი ზედიზედ ორ შეხვედრას ვალენსიას არ მისცემდა.

კიდევ ორი პრეტენდენტია - სევილია და მადრიდი. მაგრამ ესპანეთის დედაქალაქის კანდიდატურის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს მისი გეოგრაფიული მდებარეობა - ზღვის დონიდან 600 მეტრი. საქმე ისაა, რომ ჩოგბურთელებმა და მათმა მწვრთნელმა **ალბერტ კოსტამ** განაცხადეს - ურჩევნიათ ისეთ ტერიტორიაზე თამაში, რომელიც ზღვის დონეზე იქნება განთავსებული.

ფეხბურთი

მეკავშირიდან დირექტორობამდე

ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში პირველი ქალი გენერალური დირექტორი სექსსკანდალში გაეხვია. როგორც გაზეთი The Sun წერს, კონფერენსის ლიგის (მნიშვნელობით მეხუთე დივიზიონი) ბინადარი „მენსფილდის“ ხელმძღვანელი **კაროლინა სტილი** პროფესიონალი მეძავი ყოფილა. ტაბლოიდის მონაცემებით სტილი ერთდროულად ორ სექსსააგენტოში მუშაობდა.

უფრო მეტიც, სტილი არა მარტო კლიენტების ბინებს სტუმრობდა დღეღამის ნებისმიერ დროს, არამედ შიშველი პოზირებდა სხვადასხვა ეროტიკული ვებგვერდებისთვის.

გაზეთის ინფორმაციით, კაროლინამ უძველესი პროფესია იმის გამო აირჩია, რომ ვალები გაესტუმრებინა და უნივერსიტეტი დაემთავრებინა.

როცა შეიტყო, რომ ჟურნალისტებმა მისი წარსული ამოქექეს, სტილს კომენტარის გაკეთება გაუჭირდა: *„არ ვიცი რა ვთქვა... დათრგუნვილი ვარ...“*, - განაცხადა მან.

■ ■ ■

29 წლის კაროლინა სტილი სულ ცოტა ხნის წინ ჩაუდგა სათავეში „მენსფილდ თაუნს“. *„ეს უდიდესი პატივია ჩემთვის - მივიღე შანსი სათავეში ჩავუდგე საფეხბურთო კლუბს“*, - ასეთი იყო მისის სტილის პირველი სიტყვები, რომელსაც დარემის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ეს სასწავლო დაწესებულება ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია და მესამეა სიძველით ინგლისში.

კაროლინა ყოველთვის მეძავი არ ყოფილა - ის კომპანია Bulgari-სა და Gucci-ის თანამშრომელი იყო, ოღონდ არა მოდელად, არამედ აღმასრულებელ და ფინანსურ დირექტორად მუშაობდა. ალბათ, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, რა გზით მიაღწია მან ამ თანამდებობებს.

ახლა კი ახალი საქმე იპოვა - საფეხბურთო პოსტზე ვინმე **სტივ ბარკერი** შეცვალა. მართალია, „მენსფილდი“ რანგით მეხუთე დივიზიონში გამოდის, სადაც კლუბების ნახევარს ნახევრად-პროფესიული სტატუსი აქვთ, მაგრამ ამან არ უნდა დაგაბნიოთ. თუ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე შეხვალთ, მიხვდებით, რომ ასეთი ხარისხიანი ინტერნეტ-სახლი ბევრ გრანდს არ აქვს, ხოლო მყუდრო და განკრიალებული 7-ათასიანი სტადიონი უკან ჩამოიტოვებს უფრო დიდ, მაგრამ მოძველებულ არენებს. ასე რომ, მისის სტილს საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმე ჩააბარეს.

■ ■ ■

როგორც კი მოხერხებულ სავარძელში მოკალთდა, კაროლინა მაშინვე გადამჭრელ ნაბიჯებზე გადავიდა.

„მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი კლუბს მოედნის მიღმა ახალი იდეები შევთავაზო, - განაცხადა ქალბატონმა გენერალურმა მდივანმა, რომელსაც მოყვითალო ბრიტანულმა გამოცემამ The Daily Mail-მა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სექსუალური მენეჯერი უნოდა. - *უდიდესი ენთუზიაზმი მაქვს. უკვე ჩავატარე რამდენიმე წარმატებული შეხვედრა ჩვენს ყველაზე აქტიურ გულშემატკივრებთან. მინდა გამოვაღვიძო ჩვენი ჩაძინებული ფანები და ამას ახალი, აქამდე არნახული ინიციატივებით გავაკეთებთ. ვაპირებ ჩავატარო უდიდესი სამუშაო ადგილობრივი საქმიანი საზოგადოების წამყვან წევრებთან ურთიერთობის გასავითარებლად. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ კლუბი დამოუკიდებელი და წარმატებული გახდეს“.*

მსგავსი ბანალური სიტყვები ამ შესანიშნავი ლედისგან სხვანაირად ჟღერს, ვიდრე ამას რომელიმე ჭაღარა ან მელოტი მოხუცი იტყოდა.

„ჩვენ ფანტასტიკური გუნდი გვყავს, - დაასრულა გამოსვლა მისის სტილმა. - *ბედნიერი ვარ, რომ კლუბის ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მომენტში ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობა დავიკავე“.*

მართლაც, მომენტი მეტად მოხერხებულია. 2010 წლის სექტემბერში 100 წელს გადაცილებული კლუბი (ის 1897 წელს არის დაარსებული) ბიზნესმენ **ჯონ რედსფორდის** ხელში მოხვდა. მან ინგლისის მეხუთე დივიზიონის საზომით უდიდესი თანხა ჩადო კლუბში - 500 ათასი ფუნტი. *„მენსფილდი ჩემი მშობლიური ქალაქია, მე აქ სკოლაში დავდიოდი. მინდა აქაური კლუბი ძველ სიმაღლეებზე დავაბრუნო. ფინანსირების პრობლემა აღარ იქნება“*, - ამბობს ბიზნესმენი. „ძველი სიმაღლეში“ რედსფორდი გულისხმობს პირველიდან მეოთხე დივიზიონში თამაშს - ამის ქვემოთ უკვე ნახევრად პროფესიული დონეა.

კაროლინა სტილი

კარენ ბრედი

ახალი მეპატრონის მისვლის შემდეგ საქმეები მართლაც გამოსწორდა, მაგალითად, რედსფორდის ხელში პირველი მატჩი „მენსფილდმა“ 4:0 მოიგო. ხოლო ბიზნესმენის გამოჩენიდან ერთი წლის შემდეგ კაროლინ სტილიც მოვიდა. მან ერთ დღეში აქცია მოკრძალებული კლუბი ქვეყნის მთავარ სპორტულ ნიუსმეიკერად. ისტორია ასევე დუმს იმის შესახებ, რა აკავშირებს სტილს რედსფორდთან.

კონკურენტი

თუმცა სტილს არ ეკუთვნის რეკორდი - ის არ არის ინგლისურ ფეხბურთში ყველაზე ახალგაზრდა ქალი მმართველი. 1993 წელს „ბირმინგემის“ აღმასრულებელი დირექტორი გახდა **კარენ ბრედი**. იმ მომენტისთვის გოგონა 23 წლის იყო. კარენს უფრო მოკრძალებული პოსტი ჰქონდა, ვიდრე მის დღევანდელ კონკურენტს, სამაგიეროდ, ათი წლის შემდეგ მისი კლუბი პრემიერლიგაში გადავიდა. უფრო მეტიც, 1997 წელს ბრედმა სრულიად ბრიტანეთის რეკორდი დაამყარა - ალბიონში დარეგისტრირებული ღია სააქციო საზოგადოების ყველაზე ახალგაზრდა ხელმძღვანელი (არა მარტო ქალებს შორის) გახდა. იმ წელს „ბირმინგემი“ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გავიდა.

მაგრამ ქალბატონი ბრედისთვის მართლაც გამორჩეული იყო 1995 წელი. მან არა მარტო 98-ე ადგილი დაიკავა ბრიტანული ჟურნალის FHM-ის მიერ შედგენილ ყველაზე სექსუალური ქალბატონების სიაში, არამედ გათხოვებაც მოასწრო, რა თქმა უნდა, ფეხბურთელზე. მისი რჩეული გახდა კანადის ნაკრების ფეხბურთელი **პოლ ჰესკოსოლიდო** - „ბირმინგემის“ ნახევარმცველი 1992-94 წლებში. ახლა წყვილს ორი შვილი ჰყავს. კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთელი ცოლის მსგავსად საკლუბო მენეჯერი გახდა.

ამ საუკუნის ათიანი წლების ბოლოს ბრედის კარიერაში ახალი საქმე გაჩნდა. ის ახლა „ვესტ ჰემის“ ვიცე-პრეზიდენტად მუშაობს. ჟურნალმა Cosmopilitan-მა „ბირმინგემის“ ხელმძღვანელი გამარჯვებულად გამოაცხადა ნომინაციებში - „წლის ქალი“ და „ქალი, რომელმაც შეცვალა სამყარო“. რამდენიმე ბრიტანული გაზეთის ვერსიით, ის მოხვდა პლანეტის ყველაზე გავლენიანი ქალბატონების რიცხვში.

ახლა, კარენ ბრედი 42 წლისაა, ასე რომ, კაროლინა სტილს 13 წელი აქვს იმისთვის, რომ დაეწიოს და გაასწროს კონკურენტს. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს მენეჯერული მიღწევები, რადგან სილამაზეში შეჯიბრება უაზრობად მოჩანს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა